ბრეგვაძე გიორგი

ჯურსაცხობი მრეწველობის წარმოქმნა და განვითარება საქართველოში

(უძველეს დროდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2004

უაკ (UDC) 338.439.2 (479.22)
ბ 911

ნაშრომი დაწერილია მრავალი ისტორიულ-ეკონომიკური და საარქივო ფონდის მასალების კვლევის საფუძველზე. საქართველო უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანაა და მისი მოსახლეობა ერთერთი პირველთაგანია, რომელმაც დაიწყო ხორბლის საკვებ პროდუქტად გამოყენება და ისწავლა პურის ცხობა. მას შემდეგ პურის ცხობის წარმოებამ განვლო ისეთი ეტაპები, როგორიც ეს იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზირებულ ქვეყნებში.

შესწავლილია პურის ცხობის წარმოება ფეოდალურ საქართველოში (ოჯახური წარმოება, ამქრული კორპორაცია და კუსტარული წარმოება).

გაანალიზებულია ის მიზეზები, თუ რატომ არ გარდაიქმნა არსებული წვრილი კუსტარული პურსაცხობები მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებად.

„საქპურტრესტის“ შექმნასთან დაკავშირებით (1931 წ.) ფართოვდება პურსაცხობი წარმოების ბაზა. იგი გარდაიქმნა საქართველოს კვების მრეწველობის სტრუქტურაში მსხვილ კომბინირებულ დარგად.

წარმოდგენილია პურსაცხობი მრეწველობის პროდუქციის წარმოების დინამიკა და გაანალიზებულია სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები და ასევე, მითითებულია ამ დარგის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში.

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ვ. დათუკიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
თ. ჯოლოხავა

ISBN 99928-0-191-3

წინასიტყვაობა

დღევანდელი პურსაცხობი მრეწველობა წარმოადგენს მაღალ მექანიზებულ ინდუსტრიულ დარგს და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს კვების მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში. მიუხედავად ამისა, ეს დარგი, განსაკუთრებით კი მე-2 მსოფლიო ომამდელი პერიოდი საქართველოს ეკონომიკურ და ისტორიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ ყოფილი საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით (1934 წ.) პურის წარმოების შესახებ ყოველგვარი მიმოწერა და ციფრობრივი მონაცემები გასაიდუმლოებული იყო და კარგა ხანს არქივსაცავების ფონდებში დაცული მასალები და დოკუმენტები მკვლევარებისთვის იყო მიუწვდომელი. ამავე მიზეზებით პურსაცხობი მრეწველობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ყოველწლიურ და საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ სტატისტიკურ კრებულებშიც კი არ იყო შეტანილი. ცხადია, წარმოქმნილი სიძნელეები აბრკოლებდა საქართველოს პურსაცხობი მრეწველობის მეცნიერულ შესწავლას. მიუხედავად ასეთი ხასიათის დაბრკოლებებისა ქართულ ეკონომიკურ, ისტორიულ და სხვა დარგთა მეცნიერულ ლიტერატურაში დაგროვილი მასალა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ კვების მრეწველობის ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ დარგებს, მათ შორის პურსაცხობი მრეწველობის წარმოქმნისა და განვითარების ხანგრძლივ პროცესს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილისა და პ. გუგუშვილის ფუნდამენტალური გამოკვლევები საქართველოში მიწათმოქმედების კულტურის განვითარებისა და მარცვლეულის წარმოების მეურნეობრივი მნიშვნელობის შესახებ.

პ. გუგუშვილის მონოგრაფიებში, აგრეთვე მოყვანილია მასალები საქართველოში მეპურე ამქართა ორგანიზაციული სტრუქტურების, მათში დასაქმებულ მეპურეთა რაოდენობრივი ზრდის, პროდუქციის წარმოებისა და მისი მთლიანი ღირებულების შესახებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ანალოგიური საკითხებია გამოკვლეული ფქვილსაფქვავ მრეწველობაზეც.

საქართველოში პურსაცხობი მრეწველობის წარმოქმნისა და განვითარების შესახებ კომპლექსური მონოგრაფიული გამოკვლევა ჯერ არ დაწერილა. ამის გათვალისწინებით ჩვენ მიზნად დავისახეთ

შეგვესწავლა და დაგვედგინა დარგის განვითარების კანონზომიერებები და თავისებურებები საზოგადოებრივი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების მიხედვით, ხოლო კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შემუშავების დროს. აღნიშნული ნაშრომი გამოადგებათ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლების კვების მრეწველობის სპეციალობის სტუდენტებსა და ამ დარგით დაინტერესებულ პირებს.

თავი პირველი

პურსაცხობი წარმოება საბჭოთამდელ საქართველოში

პურის საკვებ პროდუქტად გამოყენების მიგნება კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის პერიოდად არის მიჩნეული და ცხადია, იგი უშუალოდ დაკავშირებულია ხორბლის წარმოშობისა და მის გამოყენებასთან.

მიწათმოქმედება მეურნეობის უძველესი დარგია. მის წარმოქმნას მიაკუთვნებენ ნეოლითის ხანას, ამიტომ მარცვლეულის და მათ შორის ხორბლის წარმოება ასევე შორეულ საუკუნეთა სიღრმიდან იწყება.

დღეისათვის მეცნიერებს დადგენილად მიაჩნიათ, რომ კულტურული ხორბლეულის ერთ-ერთ თავდაპირველ კერას წარმოადგენდა წინა აზია. როგორც ვ. ლ. მენაბდე აღნიშნავს „წინა აზია ველური ხორბლეულის ძირითადი არიალია, იგივეა თავდაპირველი არიალი კულტურული ხორბლის. ამ არიალში ჩვენ ვხვდებით ხორბლის კულტურის ორ კერას ხეთურ-შუმერულ და ქალდურ კერებს“.[1] ამ წინააზიურ კერაში საქართველოს როგორც უძველეს აგროკულტურის ქვეყანას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება ისე მრავალრიცხოვანი სახეობები ხორბლისა როგორც საქართველოში. ამავე დროს საქართველო გამოირჩევა ხორბლის განსაკუთრებული ენდომური სახეობების სიმრავლით, მათ შორის ზოგიერთი დღესაც ითესება მთიან რაიონებში.

ქართულ დოკუმენტალურ წყაროებში დამოწმებულია ხორბლის უძველესი სახელწოდებანი „იფქლი“, „ასლი“, „დიკა“, „მახა“, „ზანდური“, „დოლი“, „ხულუგო“. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართველმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა, როგორც ხორბლის თავიდანვე კულტურულ სახეობათა ფორმირებაში, ისე მის შემდგომ განვითარების ეტაპზე. ეს კი ნათლად გამოიხატება ბოტანიკურად მკვეთრად დიფერენცირებულ სახეობრივ სახელწოდებებში, როგორიცაა: „გვაწა ზანდური“, „ჩელტა ზანდური“, „წვრილი მახა“, „ჩელტა მახა“, „ასლი“, „დიკა“, „იფქლი“, „დოლი“, „ხულუგო“, „დიკა იფქლი“ და

---

[1] В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, Тб., 1948, с. 256

„თავთუხი“. მოყვანილი თერთმეტ ჯგუფში წარმოდგენილია საქართველოს ხორბლის მთელი მრავალფეროვნება, თითოეული მათგანი ზოგჯერ რამდენიმე ბოტანიკური სახეობისაა და მრავალ სახესხვაობას აერთიანებს.[1]

ვარაუდობენ, რომ ადამიანმა თავდაპირველად ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქაში საკვებად გამოიყენა წყალში დალბობილი ხორბლის მარცვალი, შემდეგ მან დაიწყო მისი მოხალვა და დაბეგვა. საკვები შედგებოდა თხელი ფაფისა და სალაფავისაგან. ადრეულ ნეოლითის ეპოქაში ქვის იარაღებისა და მათ შორის ქვის ხელსაფქვავის გამოგონებასთან დაკავშირებით ჩნდება გამომცხვარი პური თხელი კვერების სახით, რომელსაც აცხობდნენ გახურებულ ბრტყელ ქვებზე ან თიხის კეცებზე. თავდაპირველად მარცვლის დაფქვისა და გამოცხობის საქმიანობას უმთავრესად ქალები ასრულებდნენ, შემდეგში ამ ხელობას მამაკაცებიც კისრულობდნენ. პურის ცხობისას საფუარის გამოყენება ძველ ეგვიპტიდან იწყება და შემდეგ კი იგი გავრცელდა სხვა ქვეყნებში.[2] გერმანელმა მეცნიერმა ვაგნერმა, ჩვენს ერამდე დაახლოებით 1200 წლის წინანდელი სამარხის კვლევის დროს მიიღო იმის დამადასტურებელი საბუთი, რომლის მიხედვით პურს ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ აცხობდნენ მაღალხარისხოვანი საფუარით, რაც იმთავითვე საფუძვლად დაედო პურის ცხობის თანამედროვე ტექნოლოგიას. როგორც მეცნიერი აცხადებს ეს აღმოჩენა იმავდროულად მიგვანიშნებს იმის შესახებაც, რომ პურს საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა. პური დიდ როლს ასრულებდა „საიქიოში ცხოვრების“ შესახებ ბრინჯაოს ხანის ადამიანების წარმოდგენებში და ამიტომაც იმ საგანთა რიცხვში შედიოდა, რომელსაც საფლავში ატანდნენ.

ციურიხის მუზეუმში დღესაც სინახება გამხმარი პური, რომელიც ნახული იქნა მდინარის ფსკერზე ღრმად ჩაფლულ ლამში (მდინარის ზედაპირზე ბოძებზე ნაგები ადამიანთა საცხოვრებელი ყოფილა). პური გამომცხვარია 6 ათასი წლის წინათ.[3]

---

[1] პ. ნასყიდაშვილი „პურის ქვეყანა“, გაზ. „კომუნისტი“, 1984 წ. 7 ივნისი

[2] კოსვენი მ. ო., პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები. თბ., 1971, გვ. 117-118.

[3] В. Кармазин. Наш Хлеб, М., 1986, с. 181.

ეგვიპტის დედოფალის მერიტ-ამონის მავზოლეუმში გათხრის დროს აღმოჩნდა მრგვალი მოყვანილობის პური, რომლის ხნოვანება 3400 წლისაა. იგი ინახება ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმში. პურის კვერი აღმოჩნდა აგრეთვე 1886 წ. ეგვიპტის ფარაონის რამზეს III სამარხში.

1748 წელს პოპპეოში ვეზუვის ლავის გაწმენდის დროს ნაპოვნი იქნა სასწავლებლად გადარჩენილი 2 ათასი წლის წინანდელი გამომცხვარი პური.

რამდენიმე საუკუნის წინათ ადამიანმა შესძლო განსაკუთრებული ღუმელის კონსტრუქტირება, რამაც ცხობა საგრძნობლად შეამსუბუქა.

პური ცხვებოდა სხვადასხვა ხარისხისა და დანიშნულების, მასთან ერთად მას ღრმა სოციალური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. წარმოიქმნა პურის მცხობელთა პროფესია, რომლების საზოგადოების განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა. საკმარისია ავღნიშნოთ, რომ იტალიაში ერთ-ერთ სამარხის გათხრის დროს აღმოჩნდა პურისმცხობელის ევრისაკის საუკეთესოდ გამოკვეთილი ბარელიეფი და პურის ცხობის პროცესი.

საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვდა მრავალი საინტერესო მასალა, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მცენარეთა კულტივირებისა და მასთან დაკავშირებით სამეურნეო ცხოვრების მრავალსაუკუნოვან განვლილ გზას. აქ ჯერ კიდევ გვიანმეზოლით-ადრინდელ ნეოლითის ხანის ტომების მეურნეობაში შეიმჩნევა საკვებად გამოსაყენებელ მცენარეთა ენდემური ჯიშები, მაგალითად, ცივის მღვიმეში აღმოჩნდა ველური ფეტვის დანახშირებული მარცვლები, ხოლო ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის (ძვ. წ. VI-III ათ.) მთელ რიგ ნამოსახლართა ფენებში აღმოჩენილი კულტურული ფეტვის მარცვლები მიგვანიშნებენ, როგორც ამ კულტურათა სიძველეს, ისე ამ პროცესის კავშირს ნეოლითის ადრეულ ეტაპთან.[1]

---

[1] ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ., 1986, გვ. 46, 47, 98.

ნეოლითის ხანაში ჩასახული მწარმოებლური მეურნეობის აღმავლობით განვითარების შედეგად მის შემდგომ პერიოდში (ნეოლითი) შეიმჩნევა მესაქონლე ტომთა შორის მიწათმოქმედების გავრცელება.

ირკვევა, რომ VI-IV ათასწლეულში ბინადარი მოსახლეობა უკვე მისდევდა მიწათმოქმედებას, იცნობდა მის დასამუშავებელ იარაღებს და გააჩნდა კიდეც მარცვლეულის შესანახი ორმოები.[1] ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პუველ ნახევრიდან საქართველოს მოსახლეობა უკვე ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. მოჰყავდა სხვადასხვა პურეული — ხორბალი, იფქლი, ქერი, ფეტვი და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ იმავდროინდელი ხორბლის და ფეტვის ნიმუშები ნაპოვნია ჩვენს ნიადაგშიც, ხოლო სვანეთში ფეტვის გამომსახველი რიტუალური კერი.[2]

მარცვლეულის კულტურის განვითარება ცხადია შეუძლებელია მისი დამუშავებისა და გადამუშავების ხელსაწყო-იარაღბის გარეშე, რომლებიც დიდი რაოდენობით მოპოვებულია ყველა ადრინდელ არქეოლოგიური გათხრების დროს, მათ შორის აღსანიშნავია: სანაყები, საბეგველები, ხელსაფქვავები, რომლებიც წარმოადგენენ თავდაპირველ კერას მოგვიანებით მიკვლეულ იმავე დანიშნულების იარაღებთან შედარებით. ეს კი უთუოდ გენეტიკურ კავშირში იმყოფება წინა აზიაში აღმოჩენილი შესაბამისი ხასიათის ნიმუშებთან.

ამგვარად, საქართველოს და საერთოდ, კავკასიის უძველესი კულტურების შესწავლა გვაცნობს, რომ აღნიშნულ რეგიონებში არსებობდა მწარმოებელი მეურნეობის უძველესი კერა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასის უძველესი მიწადმოქმედ-მესაქონლეთა კულტურის ჩამოყალიბებაში.[3] ამავე დროს ეს რეგიონი წარმოადგენდა მსოფლიოში ერთ-ერთ თავდაპირველ კერასაც, სადაც ადამიანმა გამოიყენა ხორბლეული საკვებად და მაშასადამე ისწვლა პურის ცხოვრებაც. ამ დროიდან მოყოლებული პურის

---

[1] მ. ჯალაბაძე მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 18.

[2] საქართველოს არქეოლოგია, რედ. ა. აფაქიძე, თბ., 1959, გვ. 62, საქართველოს ისტორია, შემდგენელ-რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი, თბ., 1980, გვ. 8.

[3] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 39.

ცხობის განვითარებამ გაიარა ისევითე ეტაპები, როგორც ეს იყო უძველეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზებულ ქვეუნებში.

უძველეს ხანაში ქართველი ტომების მიერ ხორბლისა და მის ფქვილისაგან დამზადებული საკვების სახეწოდება, როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი გვამცნობს „დიარა“ უნდა ყოფილიყო, ხოლო მოგვიანებით — ჩვ. წელთაღრიცხვის დასაწყისიდან მას „პურს“ უწოდებდნენ.[1] ივ. ჯავახიშვილს დასაშვებად მიაჩნია, რომ იგი ნასესხებია ძველ ბერძნულ „პუროიდ“-დან, რომელსაც აგრეთვე იგივე მნიშვნელობა აქვს.[2]

ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, კერძოდ დაბადებისა და საზარების ქართულ თარგმანებში ტერმინი „პური“ ნახსენებია როგორც გამომცხვარი საჭმელი პური „...სულ ერთია რისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი გარეთებული, იფქლი ან დიკა იქნებოდა მასალად ნახმარი თუ ქრთილი ან ქერი“.[3]

ქართულ წყაროებში პურის შესახებ ცნობას პირველად ვხვდებით იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“-ში (V ს. 70-იანი წლები), სადაც ნახსენებია: „...მივიღე მცირედ ღვინო და პური დავალბე“. „პური ვჭამოთ“, „პურის ჭამაი“, „ჟამი პურისაი“, „აჭამეს პური“[4], როგორც ჩანს იაკობ ხუცესი პურს იხსენიებს არა მხოლოდ როგორც ტერმინის, არამედ საერთოდ როგორც ჭამას, რაც დღესაც „ჭამა ჩვენს ხალხს პურის ჭამად აქვს მიჩნეული“.[5] ამრიგად, ძველ წყაროებში „პური“ ეწოდებოდა როგორც ფქვილისაგან გამომცხვარ საჭმელს, ისე საერთოდ ჭამასაც, მაგრამ დროთა მანძილზე „პურს“ ხორბლის მნიშვნელობაც მიენიჭა.[6] პურისათვის ასეთი ცნებების მიკუთვნება უნდა ვიფიქროთ გამოწვეულია იმით, რომ უძველეს დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხის მნიშვნელოვან საარსებო საშუალებას პური წარმოადგენდა. ამოტომ მათ კარგად იცოდნენ ხორ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტომი I, თბ., 1930, გვ. 418.

[2] იქვე, გვ. 429.

[3] იქვე, გვ. 331.

[4] იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“, ქართულ მწერლობა, ტომი პირველი, თბ., 1987, გვ. 228, 229, 231.

[5] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 417.

[6] უფრო დაწვრილებით ის. ბექირბი ხასია, სოციელიტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 20-24.

ბლეულისა და ქრთილეულის მოყვანის აგრობიოლოგიური წესები, აუმჯობესებდნენ მიწათმოქმედებისა და ფქვილსაფქვავ ტექნიკას, დაეუფლენ პურეულისა და ფქვილის შენახვის საშუალებებს და სრულყოფდნენ პურის ცხობის ტექნოლოგიას.

ქართველი ხალხის ყოფაში დამკვიდრდა მეტად მრავალი სახისა და დანიშნულების პურის ცხობა, სადაც იყენებდნენ, როგორც სხვადასხვა ზომაზე ფქვილს, ისე მასში შერეულ მრავალ კომპონენტს (რძე, ერბო, ყველი, ხაჭო, კვერცხი, თაფლი, ხორცი, ნიგოზი, ფსალეული და სხვ.).[1]

უძველეს დროიდან მოყოლებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეურნეო მნიშვნელობა ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: მთიანეთად და ბარად. ამავე დროს გეოგრაფიულ თავისებურებებთან დაკავშირებით საქართველო ორ ბოტანიკურ ზონადაც იყოფოდა. ამის შესაბამისად საქართველოს ჩრდილოეთით მთავარი კავკასიონის ქედის გაყოლებით, უმთავრესად მისდევდნენ მესაქონლეობას და ნაწილობრივ მიწათმოქმედებას. იქ მცხოვრებლები სამეურნეო შეზღუდულობის გამო განიცდიდნენ ხორბლეულის და საერთოდ სურსათის ნაკლებობას, ამიტომ ეკონომიკურად დამოკიდებული იყვნენ ბარზე. ივ. ჯავახიშვილი სავსებით სწორად აღნიშნავს რომ „...ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის უაღრესი მნიშვნელობა ქვემო და ზემო ქართლს ენიჭებოდა. სწორედ აქ იყო მოსავლიანი მიწები: საქართველოს საკვები მცენარეების ნამდვილ ბელელს ჯავახეთი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი, შემოდგომში ბორჩალოდ, საბარათიანოდ და საორბელოდ წოდებული თემი წარმოად-

---

[1] ნ. ჩუბინიშვილის მირ გამოცემულ ქართულ ლექსიკონში აღნიშნულია „...პური საკუთრად ეწოდების გაფუებულსა ნამცხვარსა ხორბლის ფქვილისაგან, ხოლო უფუვარსა და უმარილოდ ნამცხვარსა ეწოდების ხმიადი. 1. სახენი პირველისანი არიან: წინაპური, უკანა პური, ბედისპური, გვიცა, არაგვის კვერი, კაკალა პური, კუტი, ლავაში, ლოლო, ორცხობილა, ანუ პაქსიმადი, საგარეჯო, ქვიბრიწოვანი, ჯიგანა, ფუნთუში. 2. სახენი მეორისანი არიან ბლარჯი, ანუ ბალაჯი, ლელენგო, შაფართხელა, ხვეზა, ხვეზელი, ანუ ღვეზელი... პურად იწოდებიან სხუათაცა მოსავალთა ფქვილისა ნამცხვარნი, ვითარ ქერის პური ანუ ქრთილის პური... ხოლო ფეტვისა და სიმინდის პური ეწოდება მჭადი (ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 381.

გენდა".[1] ამ თავალსაწრისით კახეთსა და ჰერეთსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვინაიდან დასავლეთ საქართველოს სამყოფი პურქრთილეული არ გააჩნდათ მას იღებდნენ, საქართველოს სხვა რეგიონებიდან, განსაკუთრებით ქართლ-კახეთიდან და მესხეთიდან.

შექმნილ ვითარებას მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყალიბდებოდა პურეულის საკვებად გამოყენების ისეთი ტრადიციები, რომლებიც დამოკიდებული იყო ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე და მემინდვრეობის განვითარების დონეზე. ქართლში, კახეთში და მესხეთში უმეტეს წილად პური ცხვებოდა ხორბლეულის ფქვილისაგან, ხოლო მთიან ზონაში ქრთილეულისა და ნაწილობრივ ხორბლეულის ფქვილისაგან. პურის ცხობის საშუალებებიც მის შესაბამისად განსხვავდებოდა. ეს გარკვევით ჩანს დღემდე მოპოვებულ მრავალ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებითაც. იმ რეგიონებში, სადაც ხორბლის წარმოება წარმოადგენდა მეურნეობის ძირითად დარგს უფრო მეტი რაოდენობით და მრავალსახეობით ვხვდებით პურის ცხობის საშუალებებს. ამიტომ აქ უფრო ჩანს პურის ცხობის განვითარების თავისებურებათა ტენდენცია. მაგრამ ამის შესახებ შეუძლებელია ვიმსჯელოთ, თუ მოკლედ მაინც არ გავეცნობით ხორბლეულის გადამუშავების, ანუ ფქვილსაფქვავი წარმოების განვითარებას.

დროთა მანძილზე ქართველი ხალხის მეურნეობით ყოფაში თანდათანობით მცირდება ხელფქვავების მნიშვნელობა და მის ადგილს იკავებს წყლის ენერგიის გამოყენება წისქვილების სახით. ეს მეტყველებდა უდიდეს ტექნიკურ გარდატეხაზე, რომლის შესახებ ზიგიერთ მეცნიერს მიაჩნდა, რომ მანქანების განვითარების მთელი ისტორია შეიძლება განხილული იქნას ხორბალსაფქვავი წისქვილების ისტორიის მაგალითზე.

ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია დიდი თუ მცირე ზომის მდინარეებით, ტბებით და წყაროებით, მათი გეოგრაფიული განლაგება მოიცავს თითქმის მის მთელ ტერიტორიას. წყლის ენერგიის დიდი სიუხვე საუკეთესო პირობებს ჰქმნიდა წისქვილების წარმოქმნა-განვითარებისათვის, ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ საქართველოში მრავლად მოიპოვებოდა ქვის ისეთი საუკეთესო ქანებით მდიდარი საბადოები, საიდანაც ამზადებდნენ, როგორც ხელსაფქვავებს,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 421.

ისე უფრო დიდი მოცულობისა და მოყვანილობის წისქვილების მუშაობისათვის საჭირო ქვებს.

ს. ბედუკიძე, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა არაგვის ხეობაში წყლით მბრუნავი წისქვილების განვითარების საკითხს აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით ყველაზე ადრინდელ ცნობას ქართლში წყლის წისქვილის არსებობის შესახებ გვაწვდის იბნ მასლამი (VII ს. 50-იანი წლები).[1] მას შემდეგ იმავე ქართლის ტერიტორიაზე წისქვილი დასახელებულია ბასილ ზარზმელის თხზულებაში (X ს.), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ ნაწარმოებში აღწერილია IX-X საუკუნეების ამბები და შესაძლებელია ჩვენთვის საინტერესო ცნობა უფრო ადრინდელ პერიოდს მიეკუთვნებოდეს.[2]

X საუკუნის ერთ-ერთი ქართული წყარო გადმოგვცემს, რომ ცხრაძმის ხევში (ქართლი) რამინს და გიორგის აუგიათ წისქვილი.[3]

წისქვილი მოხსენებულია აგრეთვე ბაგრატ IV-ის შიომღვიმისათვის შეწირულების სიგელში (1957 წ.) და დავით აღმაშენებლის ანდერძში (1123 წ.).

თბილისში არსებულ წისქვილების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდიან ორი არაბი ავტორი. გეოგრაფი ისტარჰი (X ს.) გადმოგვცემს, რომ „ქალაქი მდინარე მტკვრის ნაპირებზე მდებარეობს, ხორბალს წყლის წისქვილებში ფქვავენ, როგორც მოსულში“, ხოლო მეორე ავტორის იბნ-ჰაუკალის (X ს.) ცნობით „ქალაქი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. თბილისში მცურავი წისქვილებია, სადაც ფქვავენ ხორბლის მარცვალს“.[4]

როგორც მოყვანილი მასალებით ირკვევა წყლის წისქვილები უმეტესად ნახსენებია ქართლის ტერიტორიაზე, ე. ი. იმ რეგიონში, სადაც ინტენსიურად ვითარდებოდა მიწათმოქმედება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ წყლის წისქვილები არ ყოფილიყოს ფეოდალურ საქართველოს სხვა კუთხეშიც, ან კიდევ იგი უფრო ადრინ-

---

[1] ს. ბედუკიძე, წყლის მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1980, გვ. 18.

[2] ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქართული მწერლობა, ტომი პირველი, თბ., 1987. გვ. 652.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებო დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II., თბ., 1965, გვ. 5, 248, 263.

[4] ს. ბედუკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18. Н. А. Караулов, Сведения арабских географов IX-X веков, СМОМПК, стр. 88-90.

დელი, ვიდრე ამას გვატყობინებს VII საუკუნის არაბი ავტორი. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ცნობა იმის შესახებაც, რომ თურმე თბილისში ისეთივე წყლის წისქვილებით ფქვავენ როგორც მოსულში, მაგრამ სად უფრო ადრე გაჩნდა წყლის წისქვილები წინა აზიაში თუ საქართველოში მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. ისე კი სარწმუნოდ მიგვაცნია, რომ საქართველოში წისქვილები VII საუკუნეზე ბევრად ადრე არსებობდნენ, რაც დასტურდება მიკვლეული არქეოლოგიური მასალებით.

იმთავითვე საქართველოში უფრო გავრცელებული ყოფილა ჰორიზონტალური ბორბლებიანი წისქვილი, თუმცა ყოფილა აგრეთვე სხვა სახის წისქვილებიც. წყლის წისქვილები წარმოებრივი სიმძლავრის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. დიდი მუშაქვით მოწყობილ წისქვილს დოლაბს უწოდებდნენ, ხოლო მცირე მუშაქვით — ბურჭულას. მარცვლეულის დაფქვის შედეგად შესაძლებელი იყო რამდენიმე ხარისხისა და დანიშნულების ფქვილის მიღება, რისაგანაც უმთავრესად პურს აცხობდნენ.

ძველთაგანვე საქართველოში პურის ცხობა უფრო მეტად გავრცელებული იყო თიხისა და ქვისაგან გაკეთებული კეცებისა და თონეების საშუალებებით: თონე გამომწვარი თიხისაგან მზადდებოდა, იყო მრგვალი მოყვანილობის და ორივე მხრიდან ღია. მას ჩასვამდნენ ნიადაგში ზედაპირამდე ან სანახევროდ ისე, რომ ნიადაგის ზედაპირიდან ყოფილიყო 50-60 სმ. სიმაღლეზე. მას გარედან შელესავდნენ და გაუკეთებდნენ ხის სარქველს. დროთა მანძილზე თონის კონსტრუქციამ და მისმა დანიშნულებამ ზოგიერთი ცვლილება განიცადა. ძირითადად ჩამოყალიბდა თონის ორი სახე: ოჯახური ანუ სოფლური თონე და პროფესიული ანუ ხაბაზების თონე. სოფლის მოსახლეობაში უფრო მეტად გავრცელებული იყო პატარა და საშუალო ზომის პირმოხდილი და პირგანიერი თონეები, რომელთა სიმაღლე არ აღემატებოდა ერთ მეტრს. თონეების ქურებში გამოწვისა და შემდგომ მისი ტრანსპორტირების გაადვილების მიზნით, ხშირად მას რამდენიმე ნაჭრად ჭრიდნენ და მიწაში ჩადგმის დროს აწყობდნენ, მაგრამ პატარა ზომის თონეებს ასეთი ტექნოლოგია არ ესაჭიროებოდა. პროფესიული, ანუ ხაბაზების თონე სოფლად გავრცელებული თონეებისაგან განსხვავდებოდა სიდიდითა და მოყვანილობითაც.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თონე მიწაში სხვადასხვა სიღრმით იდგმებოდა, მაგალითად, სანახევროდ, ან მხოლოდ ძირით.

თონის მიწისზედა ნაწილის გასამაგრებლად და სიმხურვალის შესანარჩუნებლად თონე ირგვლივ წნელით შემოიწნებოდა (ამისათვის გამოიყენებოდა აგრეთვე ყავარი, ტკეჩი, თხელი ფიცარი და სხვ.), ისე, რომ თონის კედლისა და შემოწნულს შორის მცირე ადგილი (სივრცე) დარჩენილიყო. შემდეგ ეს ცარიელი ადგილი მიწით ამოივსებოდა და დაიტკეპნებოდა.

თონეები ხშირად სამეურნეო ნაგებობებისა და დარბაზულ სახლის დერეფნებში იყო მოთავსებული. ხოლო მონასტრებში თონე საცხოვრებლის შიდა კომპლექსში იყო მოქცეული. კარმიდამოიან სამოსახლოში თონე გამართული იყო ეზოში, რომელიც უთუოდ დახურული უნდა ყოფილიყო. ასეთი თონე (ე. წ. სოფლური) უფრო მეტად იყო გავრცელებული და მოხერხებული სოფლის ყველა კომლისათვის. თონე გამოიყენებოდა აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის გათბობის, ზოგიერთ სამეურნეო დანისნულების (მაგ. ხის ნაწილების გაშრობა), ხილის ხმობის (ლეღვი, ჩამიჩი და სხვ.) და სხვა საოჯახო საქმიანობისათვის. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიკვლეულია ყველაზე ძველი — ძვ. წ. VIII ს. ურარტული თონე, ხოლო საქართველოში დაახლოებით V ს.[1]

თონეში პურის ცხობისას გამოიყენებდნენ სამტკიცოს (სირმისა და ძუისაგან მტკიცედ მოქსოვილი). ცომი მზადდებოდა საფუარისა ან ხაშისაგან და იზილებოდა ვარცლში ან ხობში (ვარცლი უმეტესად კეთდებოდა ცაცხვის ხისაგან), წყალი უნდა ყოფილიყო ნელთბილი მარილის შეზავებით, მოზელის დროს ცომის ასაფხეკად ხმარობდნენ ასტამს. თონეს ახურებდნენ ძეძვით, ფიჩხით და ხმელი შეშითაც. სანამ თონეში ჩააკრავდნენ პურს ან ლავაშს, მას საგანგებოდ მოასუფთავებდნენ. ლავაშს თონეში აკრავდნენ ლათაფით (ფიცარს ცალ მხარეს ნამჯა ან ბზე აქვს, რომელსაც ტილო აქვს გადაკრული). ლავაშს ზედ ადებენ და ისე აკრავდნენ. გამომცხვარი პური და ლავაში თონიდან ამოჰქონდათ კონჭოლით. პურის მცხობელს ცეცხლისაგან დაცვის მიზნით მკერდზე აფარებული ჰქონდა გულსაფარი, ხოლო ხელებზე მკლავპაჭიჭი.[2]

---

[1] ს. ჭანტურიშვილი, ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში, თბ., 1984, გვ. 95.

[2] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, თბ., 1986, გვ. 9-12.

პური ცხვებოდა აგრეთვე მრგვალი მოყვანილობის (სხვადასხვა დიამეტრისა და სიღრმის) თიხის, ან ქვის კეცებში, რომლებსაც ჩააწყობდნენ ბუხარში (ან „შუა ცეცხლში") ნაკვერჩხალისა და ნაცრის გამოყენებით. პურის გამოცხობის ასეთი წესი მთიან ზონებში წარმოებდა. ანალოგიურად, ოღონდ, კეცების გარეშე პურს — ხმიადს აცხობდნენ მოლაშქრეები და მწყემსები მათი საცხოვრებელი ადგილის დაშორების პირობებში.[1]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პურმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართველი ხალხის სარწმუნოებაში. რელიგიურ დღესასწაულებზე საგანგებოდ აცხობდნენ ლავაშს, ნაზუქს, ქადას, ბასილას ადამიანის გამოსახულებით და სეფისკვერს. ხორბლისაგან ამზადებდნენ წანდილს. მათგან ნაწილი მიჰქონდათ შეწირულობის სახით ეკლესია-მონასტერში, მიცვალებულის პატივსაცემად და სხვ. ხშირად პურზე გამოსახავდნენ ჯვარს, ცომის მოზელვისა და პურის ცხობის დროს ასრულებდნენ სხვადასხვა რელიგიურ რიტუალს. სხვადასხვა დასახელების პურს საგანგებოდ აცხობდნენ მოლაშქრეებისათვის (ხულუგო), ბავშვებისათვის, ავადმყოფებისათვის (თაფლისა და ძმრის გამოყენებით), გასათხოვარ ქალებისათვის და სხვ.

დღემდე შემორჩა გამოცხობილი პურის ასორტიმენტი, მაგალითად, თონის პური (მრგვალი და მოგრძო ანუ შოთი), ლავაში, ნაზუქი, ქადა, ხაჭაპური, კვერი, ხმიადი, ბასილა და სხვ. საუკეთესო პური ცხვებოდა თავთუხისა და ხულუგოსაგან. საკმაოდ იყო გავრცელებული ფქვილისაგან სხვადასხვა საკვები პროდუქტების დამზადება, მაგალითად, ფქვილისა და ყურძნის წვენის შერევით და მოდუღებით მზადდებოდა თათარა, თუ მას დაემატებოდა ცალ-ცალკე ნიგოზი, თხილი, ჩირი და ჩამიჩი — ჩურჩხელა. მათ მაღალი კვებითი თვისება გააჩნდათ, ინახებოდა დიდხანს და აადვილებდა ტრანსპორტირებას. პურის ცომისა და ხორცისაგან მზადდებოდა ხინკალი, ნიგვზით ხაბიზგინი, ხოლო ფქვილისაგან ბურღული, ფაფა და სხვა.

ქართველი ხალხი საკვებად ბრინჯსაც გამოიყენებდა. ბრინჯის გავრცელება საქართველოში ივ. ჯავახიშვილის აზრით IX საუკუნი-

---

[1] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის... გვ. 11, 12, იესე ბარათაშვილი, ცხოვრება — ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონით და საძიებლით ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1950, გვ. 38.

დან უნდა დაწყებულიყო, თუმცა შესაძლებლად მიაჩნია მისი უფრო ადრე შემოსვლა საბერძნეთის, შემდეგ რომისა და ბიზანტიის „ჰეგემონიის ხანაში“.[1] ბრინჯის კულტურა უფრო ფართოდ განვითარდა დასავლეთ საქართველოში, სადაც უკეთესი ბუნებრივი პირობები არსებობდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ დასავლეთ საქართველოში საკვებად უფრო მეტად ღომს გამოიყენებდნენ. მისი გავრცელება საქართველოში XIII საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან ქართულ წყაროებში მასზე ადრე ცნობა არ მოიპოვება.[2] XV საუკუნის ვენეციელი მოგზაური ჯოსაფატ ბარბაროს დამოწმებით სამეგრელოში უმეტესად ღომით იკვებებოდნენ.[3] იგივე დასტურდება აგრეთვე XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით „...მეგრელები ჩვეულებრივ პურით კი არა, ღომით იკვებებიან და უცხოელები დარწმუნებულნი არიან, პური რომ კიდეც მოიტანონ იქ ვერ გაყიდიან“-ო.[4]

ქართველი ხალხის მაურნეობრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი მარცვლეულ კულტურათა შორის სიმინდმა დაიკავა, რომლის გავრცელება დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნიდან დაიწყო, შემდგომ იგი იმერეთისა და აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდა, მაგრამ უფრო ნაკლებად. სიმინდის ფქვილისაგან თიხის კეცებში აცხობდნენ ჭადს, ხოლო ბრინჯსა და ღომს ამზადებდნენ წყალში მოდუღებით.

ხანგრძლივი დროის მანძილზე პურის ყველა სახეობასა და ჭადის ცხობის ტექნიკას რაიმე არსებითი ხასიათის გაუმჯობესება არ განუცდია. ამ მხრივ არ უნდა იყოს ინტერეს მოკლებული ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის (XVII ს. 70-იანი წელი) მიერ მესხეთში ნახული პურის ცხობის პროცესი „ყველაზე დიდი ქოხის შუაში აჩაღებენ დიდ ცეცხლს და ირგვლივ შემოუსხდებიან. ქალები ფქვავენ მარცვალს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა პურის გამოსაცხობად. ცომი ცხვება მრგვალ ქვის კეცში, რომლის დიამეტრი დაახლოებით ერთი ფუტია, სიღრმე კი ორი-სამი თითი. კეცს ძა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 368.

[3] X საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1981, გვ. 85.

[4] დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გამოსაცემას მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ი. ანთელავამ, თბ., 1991, გვ. 51.

ლიან აცხელებენ, დებენ მასში ცომს და ზედ წააყრიან ცხელ ნაცარს და ნაღვერდალს. ზოგ ადგილას პურს პირდაპირ ღადარში აცხობენ; ამისათვის კერაში გამოასუფთავებენ ერთ კუთხეს, ჩადებენ იქ ცომს, დაფარეენ ჯერ ცხელი ნაცრით და ნაკვერჩხლით. ასე გამომცხვარი პურის ქერქი თუმცა ძალიან თეთრი არ არის, მაგრამ პური მეტად გემრიელია".[1] ხოლო, შუა ქართლში ყოფნისას ჟ. შარდენი კმაყოფილებით აღნიშნავს „საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა, ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ".[2] და მართლაც ქართლში, რომ საუკეთესო პური ცხვებოდა ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა „რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართველთასა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი."[3]

XIII საუკუნიდან მოყოლებული საერთოდ ეკონომიკური დაქვეითების პირობებში როცა მხვნელ-მთესველთა უმთავრეს საზრუნავს სიცოცხლის გადარჩენისა და ლუკმაპურისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა როგორც სოფლის მეურნეობის ტექნიკის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა და მაღალი მოსავლიანობის მიღება, ისე ფქვილსაფქვავი და პურის ცხობის საშუალებათა განვითარება, მისი ტექნიკური პროცესების სრულყოფა. მიუხედავად ასეთი ვითარებისა მაინც გამოერეოდა ისეთი წლები, როდესაც საკმაოდ მაღალი ყოფილა ხორბლეულის მოსავლიანობა. ეს უმთავრესად დამოკიდებული იყო, გარდა ამინდისა იმაზე, თუ რამდენად მშვიდობიანი ცხოვრების პირობები არსებობდა. მაგალითად, 1690-1691 წწ. დმანისის ხეობაში (ქვემო ქართლი — ყაფლანიშვილების სათავადო) 1200 კოდი პურისა და ქერის მოსავალი მიიღეს. ეს იმაზე მეტი იყო ვიდრე პურს ადგილზე მოხმარდნენ.[4]

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით XVII ს. 40-იან წლებში ნადირშაჰის მოთხოვნით ერთი თვის მანძილზე ქართლიდან 300 ათასი კოდი პური და ქერი წაუღიათ.[5] ქვემო და ზემო ქართლს თუ

---

[1] ჟან შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 271.

[2] იქვე, გვ. 296.

[3] ქართლის ცხოვრება, აკად. ს. ყაუხჩიშილის რედაქციით. ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 368.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი მეორე, თბ., 1973, გვ. 169.

[5] ქართლის ცხოვრება, აკად. ს. ყაუხჩიშილის რედაქციით. ტ. IV, გვ. 518.

რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თბილისის და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში, საყირადღებო ცნობას გვაწვდის XVIII ს. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხის ქვეყნიდამ ქარავანი. ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი, დიახ, შეწუხდნეს, გაბრძანდა ბატონი საქართველოს ჯარით, რომელიც ქალაქში ახლდნენ... დააყენა გზებზე. გაიხსნა გზები და უკუდგა მტერი, ჩამოვიდა ურიცხვი პური, ღვინო, თუ რაც რა ფერი საზრდო, აივსო ქალაქი ყოველითა."[1]

ამავე ხანაში დაღესტნის ლეკები ხშირად მოდიოდნენ კახეთში ხორბლისა და სიმინდის საყიდლად.[2] მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქვეყანაში შიმშილი მძვენვარებდა. „ქართლში პური ისე ძვირად იყო — იხსენებს პ. ორბელიანი — რომ „...ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდნენ და იმას ჭამდნენ... თუ პურს სადმე გასაყიდს იშოვნიდენ, თავის ხელით შვილებს აძლევდნენ"-ო.[3] ანალოგიურ მდგომარეობას ხშირად ვხვდებით დასავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით სამეგრელოს სამთავროში. არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, როგორც კი ხილი შემოვიდოდა..." აღარავინ თავის ოჯახში არას ხარშავდა და ყველამ თავი უნდა ირჩინოს იმ ხილით, რომელსაც იშოვის მინდვრად ან ბაღებში".[4]

საკვები პროდუქტებისა და მარცვლეულის სიუხვის მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობას ვხვდებით იმერეთის სამეფოში. მარცვლეული ზოგჯერ ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა.[5]

საქართველოში სორბლეულის მოსავალი მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოსახლეობის მოთხოვნილებას, ამიტომ ეს დეფიციტი სხვა მარცვლეულის ხარჯზე უნდა დაფარულიყო. როგორც აღვნიშნეთ ხორბლეული უმეტესად ითესებოდა აღმოსავლეთ საქართველოში კერძოდ, მტკვრის, არაგვის, მეჯუდის, ლიახვის, ძამის, რუხის, მაშავერის, ალაზნის, ქციის, ლებედას და ივრის სანაპიროებზე, მის მოყვანას პრიმიტიული ტექნიკის პირობებში მეტად

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 249.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბ., 1973, გვ. 450-457.

[3] პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[4] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, გვ. 572.

დიდი შრომა სჭირდებოდა. ალბათ ამითაც უნდა აიხსნას პურის მიმართ ისეთი დიიდ მოკრძალება, რასაც ქართველი ხალხი უძველეს დროიდან გამოხატავს.

თონის გახურება და საერთოდ პურის ცხობა ყველა ოჯახში საზეიმო განწყობილებას ქმნიდა, ხშირად დასახმარებლად მეზობლებიც მონაწილეობდნენ. ჩვეულების მიხედვით ახალგამომცხვარ პურს სთავაზობდნენ, როგორც ახლო მეზობლებს ისე ბავშვებს, მოხუცებულებს და ავადმყოფებს. ოჯახში გამოცხობილი თონის პური, შოთი და ლავაში თუ პატრონს ამის საშუალება ჰქონდა შეიძლება გაყიდულიყო ან გაცვლის საგანი ყოფილიყო, მაგრამ მათ არ შეეძლოთ კონკურენციის გაწევა ხაბაზებთან, რომლებსაც ქალაქებსა და დაბებში მსგავსად სხვა ხელოსნებისა, ჰქონდათ საკუთარი დუქნები სათონეებით, სადაც პური ცხვებოდა არა მარტო მომხმარებლის დაკვეთით, არამედ უშუალოდ ბაზრისთვისაც.

ხაბაზები ისე, როგორც ხელოსნების დიდი უმრავლესობა ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. თავის ხაბაზები ყავდათ სამეფო კარს, დიდმთავრებს, თავადებს, ეკლესია-მონასტრებს და დიდ ვაჭრებს. ხაბაზის პროფესია შეიძლება ყოფილიყო მემკვიდრეობით და სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიური მდგომარეობით. „დასტურლამალში“ დასახელებულია რამდენიმე პურისმცხობელი („სახაბაზო მოხელენი“), რომლებიც ვალდებული იყვნენ სამეფო კარზე „პურობისას“ გაეწიათ სათანადო მომსახურეობა.[1]

მაგრამ ეს გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან პური გაუმჯობესებული ტექნოლოგიით უნდა გამომცხვარიყო, როგორც ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ბიოგრაფი პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს „პური სადილისა მისთვის იყო განმტკიცებული — ხორბალი ბაიდარის იყო, მარცვალ-მარცვალ არჩევდნენ თითით, და ღერღავდნენ. ქერქს მოაცლიდნენ და ისე ფქვავდნენ. ხუთნაირი ცხვებოდა პური: მურასა, საგარეჯო, შოთი, პირ-გაჭრილი და კაკალა. ამას გარდა ცხვებოდა ნაზუქები და ლავაში. პური იყო გემრიელი ვით — „ბლამანჟი“.[2]

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 248.

[2] იქვე, გვ. 271, პლატონ იოსელიანი, ცხოვრება მეფის გიორგი XII-სა, თბ., 1936, გვ. 11.

ხაბაზები მეფეს და მთავრებს თან ახლდნენ ლაშქრობებში, მოგზაურობასა და სტუმრობის დროს. სახელმწიფო და საბატონო ვალდებულების მიხედვით (მაგ. სურსათი, სამასპინძლო, ძრვენი და სხვ.) გლეხებს ეკისრებოდა გარკვეული რაოდენობის პურისა და ლავაშის მირთმევა.

მაგალითად, „დასტურლამალში" მითითებულია — „ბატონს სუფრის პური — ლიტრაზე ლავაში ორი, მურასა — ლიტრაზე ერთი, საგარეჯო ლიტრისა. მეჯლისი რომ იყოს, ექუს ლავაშს ჩასდებდეს, ისე იმგვარად მისცემდნენ პურს: ლიტრაზე ოთხი გამოიყუანონ და წმინდათ გაუმტკიცონ. სამეჯლისო ლავაში — ლიტრაზე 4; საულუფო ლავაში — ლიტრაზე 8; მადაური — ლიტრაზე 10. სტუმრისა ამაებში არ არის; იმასაც ცალკე დასწერდნენ".[1]

XVII საუკუნის მანძილზე საქართველოში თუმცა წარმოდგენილი იყო ხელოსნობის როგორც მაღალი, ისე დაბალი ფორმები, მაგრამ მუდმივი ომებისა და საერთოდ ეკონომიკური დაქვეითების პირობებში ფეოდალური მარტივი სასაქონლო ურთიერთობა, რომელიც დამყარებული იყო გლეხისა და ხელოსნის პირად შრომაზე ვერ ჰქმნიდა კაპიტალისტური მარტივი სასაქონლო მეურნეობის შექმნისათვის სათანადო ნიადაგს.

მაგრამ როგორც კი შეიქმნებოდა მეურნეობის განვითარების მშვიდობიანი პირობები შეიმჩნეოდა მარტივი სასაქონლო მეურნეობის გაფართოებისა და მისი ახალი წარმოებით ურთიერთობაში გადასვლის სუსტი ტენდენცია, რის ნიადაგზე ძლიერდებოდა მეურნეობის ნატურალური ხასიათი.[2] ამ მხრივ თვალსაჩინო გარდატეხა ხდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. შეიქმნა შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭარ-მრეწველობის განვითარებისათვის. ყველაზე მეტად ეს ჩანს თბილისის მაგალითზე, თუმცა ეკონომიკური აღორძინების პროცესი საქართველოს ძველ თუ ახლადწარმოქმნილ ქალაქებსაც დაეტყო.

იოვანე ბატონიშვილის გადმოცემით თბილისში ხელოსნური წარმოების მრავალ დარგს მისდევდნენ და მათ ჰქონდათ დუქნები, მათ შორის ხაბაზებს, რომლებიც „აცხობდნენ და ყიდიან პურს".[3]

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 263.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 180.

[3] იოვანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), კალმასობა, ქართული მწერლობა, ტომი მერვე, თბ., 1990, გვ. 358-590.

მისივე ცნობით ჩორქიბაში ფქვილს „დაერიგებოდეს ქალაქთა მეფურნეთა, პურის მცხობელთა და ესევე მათ უწესებდეს ფასთა... აქუნდეს ესე გუარი თადარიგი, რომ არ აკლდეს პური მუნ მცხოვრებთა ხალხთა, ეგრეთვე ქერი, სიმინდი და ფეტვი ამის მიერ იყოს გასაყიდათ". აქედან ჩანს, რომ სახელმწიფო მოხელეს ჩორქიბაშს ევალებოდა ხაბაზების ფქვილით უზრუნველყოფა, გამომცხვარ პურზე ფასის დაწესება და ზრუნვა იმისათვის, რომ ქალაქთა მცხოვრებლებს მარცვლეული არ მოკლებოდათ.[1]

რუსეთის საიმპერიო მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის ხელმძღვანელს აკად. ი. გიულდენშტედტს 1772 წელს თბილისში ყოფნისას შეუნიშნავს, რომ მრავლად არიან სხვადასხვა დარგის ხელოსნები, მათ შორის ხაბაზები, სადაც იყიდებოდა: 1 ბათმანი, ე. ი. 1 გირვანქა პური რუსულ ფულზე – 8 კაპიკად.[2]

სხვა მასალითაც დასტურდება, რომ სურსათ-სანოვაგეზე და მათ შორის გამომცხვარი პურის წონაზე, ხარისხზე და ფასზე დაწესებული იყო სახელმწიფო კონტროლი, რაც ხორციელდებოდა ძველი ტრადიციის მიხედვით, ამ წესის დამრღვევი ვაჭარი სასტიკად ისჯებოდა.[3]

ი. გიულდენშტედტი სხვა საინტერესო მასალასაც გადმოგვცემს. მას ქართლში და კახეთში უნახავს ხორბლითა და სხვა მარცვლეულით ნათესი მინდვრები, აღნიშნავს აგრეთვე თუ თბილისის 20 ათასზე მეტი მცხოვრები მოსახლეობა საიდან და რა საშუალებით მარაგდება ხორბლითა და ქერით.[4] იგი ექსპედიციაში ყოფნის დროს არა ერთხელ დასწრებია თონეში პურის ცხობას და ხაბაზებისაგან ყიდულობდა მათთვის საჭირო რაოდენობის თონეში გამომცხვარ ქართულ პურს.

ი. გიულდენშტენტის ჩანაწერებისა და კაპიტან იაზიკოვის მოხსენებებიდან გაგზავნილს ნ. პანინის სახელზე ვიგებთ, რომ

---

[1] შოთა მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, 1949, გვ. 143.

[2] ი. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართულად თარგმნითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. I, 1962, გვ. 93.

[3] კ. კუცია, ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში „მეცნიერება", თბ., 1984, გვ. 109.

[4] ი. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 27,31, 51.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში რუსეთის ჯარის ნაწილებს და სამეცნიერო ექსპედიციას (1770-1772 წწ.) არ განუცდიათ სურსათისა და განსაკუთრებით პურის ნაკლებობა, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობისაგან ყიდულობდნენ.[1]

ხორბლის ფქვილის საკმაო რაოდენობას უთუოდ ხელს უწყობდა ფქვილსაფქვავი – დიდი თუ პატარა წყლის წისქვილების არსებობა. ვახუშტი ბატონიშვილს დასახელებული აქვს რამდენიმე წისქვილი, მაგალითად, ქართლის აღწერისას აღნიშნავს „ურბნისის დასავლეთით, დუდეს, დის წყარო ფრიად დიდი კიდესა მტკუარისასა, რომლით ბრუნვენ დიდნი წისქვილნი ზამთარიცა, ვინაითგან ვერ გაყინავს“.[2] როგორც ჩანს ქართლის ამ ზონაში მოქმედებდა დიდი წყლის წისქვილები, რომლებიც მუშაობდნენ მთელი წლის მანძილზე და არა სეზონურად. მაშასადამე რამდენიმე ასეთი სახის წისქვილს მთელი წლის მანძილზე შეეძლო დიდი რაოდენობის ფქვილის წარმოება, რაც ალბათ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოსახლეობას და ბაზრის მოთხოვნილებასაც.

წყლის წისქვილების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე ი. გიულდენშტედტი, მას ქსნის ხეობაში უნახავს წისქვილები, რომელთა უმეტესობა 24 საათში ფქვავს 20-დან 24 კოდამდე ხორბალს. ასედან თბილისში და საერისთაოში იღებდნენ მეათედ ნაწილს. ან კიდევ ანაგისხევის (კახეთი) მცირე დინების წყალზე მას დაუთვლია 43 წისქვილი ჰორიზონტალური ბორბლებით, რომლებიც თითოეული 24 საათის განმავლობაში იძლევა 200-250 გირვანქა ფქვილს. ასეთივე სახის წისქვილები ყოფილა მდ. ლაკაბელაზე და მდ. დურუჯზე, რომლებსაც რუსეთში „მუტოვკას“ უწოდებენო. ი. გიულდენშტედტს ისიც დაუზუსტებია, რომ ქართლსა და კახეთში წისქვილებისათვის საჭირო დოლაბებს ღებულობდნენ სარკინეთის (ქციის ხეობა) ქვასატეხიდან. წყვილი დოლაბი, რომელსაც შეეძლო ოც წელიწადს ემუშავა და ღირებულა 40 მანეთი.[3]

გიულდენშტედტის აღმოსავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს ნახული წყლის წისქვილები, მიგვანიშნებს მოსახლეობის არც

---

[1] იქვე, გვ. 29, 73, А. Цагарели, Грамоты, т. №6 СИБ., 1890, с. 176, 195.

[2] ქართლის ცხოვრება, აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. IV, გვ. 373.

[3] ი. გიულდენშტენდტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 27, 31, 57.

თუ მჭიდროდ დასახლების პირობებში, მარცვლეულის (უმთავრესად ხორბლის) დაფქვის მოთხოვნილების ზრდასა და მაშასადამე, პურის ცხობის გაფართოებაზე. ეს კი თავის მხრივ დაკაშირებული იყო იმაზედაც, რომ პური ცხვებოდა არა მარტო საკუთარი, არამედ სავალდებულო გადასახადთა და ბაზრის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაბამისად. ასეთი ტენდენცია უფრო ძლიერდება 80-90-იან წლებში, როდესაც თვალსაჩინო გახდა სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლება, უფრო მეტად ღრმავდება შრომის დანაწილება, ვითარდება ხელოსნური წარმოება, საქალაქო ცხოვრება, საშინაო და საგარეო ვაჭრობა. მრეწველობაში თავი იჩინა კაპიტალისტური წარმოების წესის ნიშნებმა, თუმცა მას ჯერ კიდევ არ შეეძლო ქვეყნის ეკონომიკაზე თავისი გავლენის გავრცელება. ცვლილებები ხდება სოფლის მეურნეობაშიც. უფრო მეტად ღრმავდება გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია, იზრდება თავისუფალ მწარმოებელთა რაოდენობა. ნატურალური გადასახადების ხარჯზე მატულობს ფულადი გადასახადები. მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საზოგადოებრივ განვითარებაში.

ამ ხანისათვის დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრება აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იდგა. მის შემდგომ განვითარებას დიდად აბრკოლებდა ფეოდალური ურთიერთობის მახინჯი მხარეები. მიუხედავად ამისა, წინაურდება ხელოსნური წარმოების ზოგიერთი დარგები. ვითარდება საგარეო და საშინაო ვაჭრობა.[1] ზოგიერთ ქალაქსა და დაბებში ეწყობა ბაზრობები, სადაც სხვა სურსათთან ერთად შეიძლებოდა გამოცხობილი პურის ყიდვაც. მაგრამ დაღესტნელი ლეკების ხშირი თავდასხმებისა და ირანის შაჰის აღა-მუხამედ-ხანის ლაშქრის შემოსევისა და თბილისის განადგურების გამო ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობა საგრძნობლად შეფერხდა. შემცირდა ხვნა-თესვა, პურეულისა და სხვა მარცვლეულის მოყვანა. მოსახლეობას საკუთარი წარმოების პური არ ყოფნიდა. შიმშილი ზოგჯერ მოიცავდა ფართო რაიონებს. სახელმწიფო საწყობებში არსებულ პურის მარაგს უმთავრესად სამხედრო დანიშნულებისათვის იყენებდნენ და ისიც არ აღმოჩნდა საკმარისი რუსეთის 3 ათასი ჯარისკაცისათვის, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების წლებში აქ დაბანაკდა.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი მეოთხე, გვ. 553, 764.

მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებდა, რომ სამხედრო უწყება მოითხოვდა პურის, საბაზრო ფასებთან შედარებით ძალზე იაფად შესყიდვას. ვინაიდან გლეხებს არ გააჩნდათ საკმაო რაოდენობის პური და ამასთან ერთად არ სურდათ დაბალ ფასებში მისი ჩაბარება. მოხელეები მიმართავდნენ სასურსათო ბეგარის ძალით აკრეფას. რუსეთის მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა ხორბალი, ფქვილი და ბურღული რუსეთიდან შემოეზიდათ ასტრახან-ბაქოს, ყულევის (რედუტ-კალე) და ფოთის გზით, ასევე ვლადიკავკაზიდან, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და აძვირებდა მარცვლეულის ღირებულებას.

XIX საუკუნის პირველ მესამედში კავკასიის ომებთან დაკავშირებით საქართველოში რუსეთის ჯარის კორპუსი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ხორბლის წარმოება ომიანობის პირობებში არ მატულობდა. ამიტომ გაიზარდა პურის საბეგარო გადასახადის მოცულობა და მოსახლეობისაგან რეკვიზიციის წესით პურის წართმევა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

შექმნილი ვითარება ზღუდავდა ბაზარზე ხორბლის გატანის შესაძლებლობებს და მასთან დაკავშირებით პურის ცხობის წარმოებასაც, თუმცა მასზე სასაქონლო მოთხოვნილება სულ უფრო მეტად იზრდებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებას (1801 წ.) უმალ მოჰყვა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის თანდათანობით გაერთიანება, მეზობელ ხალხებთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა, შავ ზღვაზე თავისუფალი გასვლით საქართველო დაუკავშირდა რუსეთის სამხრეთ ნაწილს და ევროპის ქვეყნებს. ამრიგად XX ს. 30-40-იან წლებიდან შეიქმნა სათანადო პირობები სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების სწრაფი აღმავლობის. თბილისი და მისი მოსახლეობა მნიშვნლოვნად გაიზარდა, იგი კვლავ გახდა საქართველოს დედაქალაქი, ამასთან ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია გერმანელ მოგზაურს კ. კოხას, რომელიც გადმოგვცემს — „თბილისი რუსეთის შემოსვლის პერიოდში საცოდავი ადგილი იყო, იგი უმთავრესად ნანგრევებისა და ასიოდე სახლისაგან შედგებოდა. უწინდელთან შედარებით ქალაქს ვეღარ იცნობდით. მხოლოდ ის 8 წელი რომ ავიღოთ (ავტორი გულის-

ხმობს 1837-1844 წლებს — გ. ბ.), რომელიც ჩემს პირველსა და მეორე მოგზაურობის დროს გავიდა, უკვე დიდი განსხვავება იგრძნობოდა, ამ ხნის განმავლობაში — ბევრი ახალი სახლი აშენდა; ვაჭრობა და ხელოსნობა საგრძნობლად გაიზარდა, ბაზრები მომრავლდა".[1]

ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 35 ათასზე მეტს აღწევდა. თბილისთან ერთად იზრდება გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, ცხინვალი, ახალციხე, ყულევი, ფოთი, სოხუმი და სხვ. ქუთაისი იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტად, ხოლო 1846 წლიდან საგუბერნიო ქალაქად. როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებსა და დაბებში იზრდება სავაჭრო და სავახშო კაპიტალის როლი. უფრო მეტად ღრმავდება ხელოსან მრეწველთა დიფერენციაცია. ჩნდება ტენდენცია მარტივიდან შედარებით მსხვილ საწარმოებზე გადასვლის. თბილისში გაჩნდა რამდენიმე კაპიტალისტური საწარმო, თუმცა მათი როლი ქვეყნის ეკონომიკურ-საზოგადაებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელო იყო.

სოფლის მეურნეობაში თანდათანობით იზრდება სასაქონლო ფულადი ურთიერთობა, რაც გამოიხატებოდა ყმა გლეხთა საბეგარო გადასახადში ფულადი ბეგარის შედარებით მატებაში. თვალსაჩინო ხდება ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი.

რუსეთის მეფის ხელისუფლებამ ამიერკავკასიისა და საქართველოს კოლონიზაციის მიზნით 1817-1819 წლებში თბილისის მაზრაში ჩამოასახლა გერმანელთა 500-ზე მეტი ოჯახი, რომლებსაც საუკეთესო მიწები მისცეს. უცხო დამპყრობელთა და ლეკიანობის შედეგად განადგურებულ სამხრეთ საზღვრისპირა რაიონებში თურქეთიდან ჩამოასახლეს სომეხთა და ბერძენთა მრავალი ოჯახი. მოგვიანებით საქართველოში დასახლდნენ აგრეთვე დუხობორები, მალაკნები და სხვა რუსეთიდან დევნილი სექტენტები. შეიქმნა მთელი რიგი რუს ჯარისკაცთა სამხედრო კოლონიები.

კოლონისტები უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევდნენ. სოფლად მწარმოებლური ძალების ზრდამ ხელი შეუწყო მარცვლეული კულტურებისა და უწინარეს ყოვლისა ხორბლის წარმოების გადიდე-

---

[1] კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, თბ., 1981 გვ. 219.

ბას, რომელზედაც მოთხოვნილება სულ უფრო მეტად მატულობდა. პურის მთავარი მომხმარებელი მაინც რუსეთის ჯარის ნაწილები და ქალაქის მცხოვრებლები იყო. პურს ფასი დაედო და გლეხებიც დაინტერესებული იყვნენ მეტი მოსავალი მიეღოთ. ამ მიზნით გლეხები მიწათმფლობელებისაგან იჯარით იღებდნენ მიწებს, აფართოებდნენ სახნავ-სათეს მიწებს. მიუხედავად ჩამორჩენილი სამიწათმოქმედო ტექნიკისა პურეულის მოსავალი მატულობს. ხორბლისა და მარცვლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე გადიოდა. თუ 1801-1805 წლებში თბილისის გუბერნიაში ძლივს შეგროვდა 16 ათასი ჩეტვერტი (ჩეტვერტი 7-მდე ფუთს უდრიდა) პური და ბურღული[1], 50-იან წლებისათვის მხოლოდ თბილისში გაჰქონდათ გასაყიდათ 150 ათასი კოდი პური და 40 ათასი კოდი ქერი, აქედან საგრძნობი ნაწილი გამომცხვარი პურის სახით იყიდებოდა.

ხორბლის შესყიდვას საინტენდანტო სამმართველოს გარდა, დიდი ზომით ეწეოდნენ ვაჭრებიც (ალაფები), რომლებიც გლეხობისაგან იაფად შეძენილ ხორბალს მის მოხმარების უმთავრეს ცენტრში — თბილისში და სხვა ქალაქებში ზედმეტ ფასებში ყიდნენ და აძვირებდნენ ბაზრებს. ამის აღსაკვეთად დაწესდა ზოგიერთი შეზღუდვა, მაგალითად, პურ-ძვირობის დროს აკრძალული იყო ხორბლის შესყიდვა, ან სადილობის დრომდე ხაბაზებს უფლება არ ჰქონდათ ბაზარზე ხორბლის ან ფქვილის შესყიდვის. „სინამდვლეში... მსხვილ შემსყიდველებს ამ წესების დარღვევა ძვირად არ უჯდებოდათ... ისინი სოფლიდან ქალაქისაკენ მომავალ პურს თავიანთი აგენტების, წვრილ შემსყიდველთა დახმარებით ხელთ იგდებდნენ უკვე მანამდე, სანამ იგი ქალაქის ფარგლებს მიაღწევდა“.[2] ასეთი გზით ვაჭრები ახერხებდნენ მნიშვნელოვანი კაპიტალის დაგროვებას.

საქართველოში პურსაცხობი წარმოების შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ თბილისის მაგალითზე, ვინაიდან მასზე უფრო სარწმუნო სტატისტიკური ცნობები მოგვეპოვება. როგორც ამ მასალებიდან ირკვევა 1808 წელს თბილისში 32 ხაბაზი ყოფილა და

---

[1] ი. ანთელავა, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“, 1950, №5, გვ. 289-291.

[2] პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. III, თბ., 1959, გვ. 229.

ჰქონიათ 19 დუქანი. ხაბაზებს შორის მრავლდება თავისუფალი ხელსნები თავისი ოჯახებით. ძველი ტრადიციის მიხედვით ისინი გაერთიანებული იყვნენ ამქარში და როგორც სხვა დარგის ამქრებს ხაბაზებსაც ყავდათ თავისი უზენაესი მფარველი — ქრისტე, რომელმაც გადმოცემით ხუთი პურით 5 ათასი კაცი გააძღო.[1]

ინგლისელ მხატვარსა და მოგზაურს რობერტ კერ პორტერს 1817 წელს თბილისში ყოფნისას დიდი ინტერესით დაუთვალიერებია ბაზარი, პორტერს განსაკუთრებით ხაბაზის დუქნისათვის მიუპყრია ყურადღება, სადაც მისთვის უჩვეულო ხერხით თონეში აცხობდნენ პურს. ამიტომ მას დაწვრილებით აღუწერია თონეში პურის ცხობის პროცესი.[2]

ხაბაზებს თავისი დუქნები ჰქონდათ თბილისის გარდა სხვა ქალაქებსა და დაბებში. ზოგი ხაბაზი პურს აცხობდა თავის ოჯახის წევრების ან ქარგლისა და შეგირდის დახმარებით, იყო ისეთი ხაბაზიც, რომელიც პურს თონეში აცხობდა ოჯახებში მიწვევით, ასეთი პურის — მცხობელი სოფლებშიაც იყვნენ. ისე, რომ სასაქონლო პური თანდათანობით ფართო ბაზარს იძენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისათვის პური ცხვებოდა არა მარტო ეროვნული ტრადიციული წესების მიხედვით, არამედ ბაზარზე გამოჩნდა ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის ჯერ კიდევ უცნობი გამომცხვარი პურფუნთუშეული. ეს დაკავშირებული იყო საქართველოში კოლონისტების ჩამოსახლებასთან, რომლებმაც მოიტანეს თავის დამახასიათებელი პურის ცხობის და საკონდიტრო ნაწარმის დამზადების ტრადიციული წესები. როგორც კ. კოხი მოგვითხრობს გერმანელი კოლნისტების „...შედარებით კულტურულმა ნაწილმა მიატოვა კოლონია (თბილისთან მიმდებარე — გ. ბ.) და ქალაქში გადასახლდნენ. იქ მათ სხვადასხვა ხელობას მიჰყვეს ხელი, განსაკუთრებით დურგლობას, ხაბაზობას და ხარაზობას, რითაც კარგ შემოსავალს შოულობდნენ". იგი ამავე დროს შენიშნავს, რომ „გერმანელე-

---

[1] პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. V, გვ. 281.

[2] თამაზ ნატროშვილი, „ინგლისელი მხატვრის თვალით", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1988 წ., 30 იანვარი.

ბის მიერ გამომცხვარი პური ადგილობრივთან შედარებით ორმაგად ფასობდაო."[1]

საქართველოში მცხოვრები კოლონისტები და სამხედრო უწყება თავიანთ საჭიროებისათვის ამჯობინებდნენ ფურნეებში და ე. წ. „რუსულ ღუმელებში" გამომცხვარ პურს. ასეთი სახის პურს ზოგიერთი მეპურე აცხობდა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას მაინც ერჩივნა თონეში გამოცხობილი — ქართული პური და ლავაში, რომელიც სხვა ღირსებებთან ერთად იაფიც ჯდებოდა. თბილისში შემოტანილი ან ადგილობრივ გამომცხვარი პური იყიდებოდა სეიდაბადის მოედანზე.[2]

შემდგომ წლებში ქალაქის განაშენიანებისა და მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით სავაჭრო პუნქტებმა ცვლილება განიცადა, ეს ეხება აგრეთვე პურსაცხობ საწარმოებსაც, ძველ უბნებისა და ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებს ჩვენს დრომდე შემორჩა თავისი დანიშნულება, მაგალითად, პურის მოედანი, პურის ჩიხი, პურის შესახვევი (კრწანისის რაიონი), დღევანდელი პურის მოედანი მოიცავდა მის ახლომდებარე უბანსა და იქ გამავალ ქუჩებს.[3]

1835 წლის აღრიცხვით თბილისში იყო 58 ხაბაზი (მეთონე, მეფურნე, მეფუნთეში), ხოლო 1855 წლისათვის მათი რაოდენობა 150-მდე გაიზარდა.[4] თბილისის ხაბაზებს შორის იყვნენ გერმანელები, სპარსელები, უმრავლესობა კი ქართველები, განსაკუთრებით რაჭიდან საშოვარზე წამოსული ყმა ან თავისუფალი გლეხი. თბილისის ამქართა შორის მეპურეთა ამქარს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა. მათი კორპორაცია ახალ დუქნის მოწყობაზე აწესებდა გარკვეულ გადასახადებს, არეგულირებდა ხორბლეულის მომარაგება-განაწილებას და ვაჭრებთან ურთიერთობას.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული გავეცნოთ ქუთაისის ხაბაზთა ამქრის წესდებას ანუ, როგორც მისი შემდგენლები უწოდე-

---

[1] კ. კოხისა და სპენსერის ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ, გვ. 215.

[2] ვასილ ჩანტლაძე, საქალაქო ფინანსები აღმოსავლეთ საქართველოში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები ტ. III, 1949, გვ. 143.

[3] თბილისი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, „საბჭოთა საქართველო", თბ., 1989, გვ. 281-283.

[4] პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. V, გვ. 128.

ბენ „ხელწერილს“, რომელიც დამახასიათებელია საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ მეპურეთა ამქრის წესდებისათვის, სადაც წარმოჩენილია ამქართა საოციალური, ეკონომიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის ინტერესები. აქ უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ყოველივე ეს ყალიბდებოდა მნიშვნელოვნად ადრე, ვიდრე „ხელწერილი“ დაიწერა. მასში აღნიშნულია „ჩყოა-სა (1871) წელსა, იანვრის კ, ოცსა რიცხვსა, ქვემორე ამის ხელისმომწერმან, ქუთეისის მეპურეემან დავსდევით ესე ხელწერილი:

1. ერთმანეთის ნებით და თანხმობით, რომელი ჩვენ ამევირჩიეთ უსტაბაშათ ისეთივე ძველი უსტაბაში ნიკოლოზ მურისიძე და ავსაყალოთ ისეთივე სიმონა ცუცხაშვილი და პეტრე კაციტაძე. 2. ამ ამორჩეულმან სამმა კაცმა უნდა მართოს საქმე ამქარში სვინდისიერად და კანონისამებრ — რაც შეეხებოდნენ, და აგრეთვე ჩვენ ამქარმან არ ვიწინააღმდეგოთ თქვენს წინაშე.

3. ამას გარდა, რომელმაც ჩვენს ამქარში დუქანს მოუმატოს შეცილებით, შტრაფი ეკუთვნის ოცდახუთიმანეთი.

4. და აგრეთვე, ვინც ჩვენს ამქარში ერთმანეთს უნებლად მოჯამაგირეს მოუმატოს და თავისათვის მეინდომოს გასაყვანათ, იმ კაცმა გადაიხადოს შტრაფი, ერთი თუმანი გადაიხადოს.

5. აგრეთვე შეგირდი ერთი ერთმანეთში ვინც შეაცდინოს და გაიყვანოს, მას ეკუთვნება შტრაფი ერთი თუმანი.

6. თუმცა დაულოცავმა კაცმა დალოცვილს ოსტატს შეაგინოს, იმ კაცმა გადაიხადოს ერთი ოქრო.

7. ეგრეთვე, ვინც ჩვენს ამქარში ახალი დუქანი გა(ა)ღოს, მან გადაიხადოს დუქნის გასაღები თუთხმეტი მანეთი.

8. ეს ხსენებული დუქნის გასაღები და სხვაცა შტრაფებიცა სა(ა)მქროდ დაიდვას და დაიხარჯოს.

9. ეგრეთვე, ერთმა მეორეს ქუჩაში პური არ შეუტანოთ გასაყიდად და არც ერთმანეთს მიკიტანი წავართვათ პურის მომატებით/ უკეთუმცა მოუმატოს, ერთი ოქრო გადაიხადოს.

10. ეგრეთვე, ვინც ამქარში წინააღმდეგობა გას(წიოს) ამ წესისამებრ დაისაჯოს.

ამ წერილსა ვწერ და თანახმა ვარ მეპურე სიმონ კაციტაძე. ამის შემდეგ „ხელმოწერილს“ ხელს აწერს 20-მდე მეპურე.

რაც შეეხება ამქრის მმართველობას, როგორც დავინახეთ სამი არჩეულ პირისაგან შესდგებოდა, რაც დამახასიათებელია XIX ს. თბილისის ამქართა ორგანიზაციულ სტრუქტურისათვის.[1]

ამქრის გავლენისაგან თავის დაღწევა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგალითად, ყმა გლეხმა გოგია ომიაძემ თბილისში პურის საცხობი დუქნის მოწყობაზე ამქრისათვის დაწესებული თანხა არ გადაიხადა, მან ასევე უარი განაცხადა მეორე პურის საცხობი დუქნის მოწყობაზეც. მაშინ ამხედრებულმა ამქრებმა დაანგრიეს ომიაძის პურსაცხობი და აუკრძალეს პურის ცხობა. ამის ინიციატორები ხოსია სულაძე და სხვა ხელოსანი დააპატიმრეს. ხელისუფლების ასეთ მოქმედებას პურისმცხობელთა ამქარმა გაფიცვით უპასუხა. დაიხურა ქალაქის ყველა პურსაცხობი დუქანი. მოსახლეობა უპუროდ დარჩა. პოლიცია იძულებული გახდა ყველა დაპატიმრებული გაეთავისუფლებია, ოღონდ 31 ხელოსანი თითო თუმნით დაჯარიმდა. ასეთი შემთხვევები სხვა დროსაც ხდებოდა. მაგალითად, 1865 წელს, როდესაც საბაჟო გადახდის გამო მკვეთრად გაძვირდა პურის ფქვილი, თბილისში დაიხურა პურსაცხობი დუქნები. აღშფოთებულმა მოსახლეობამ სიცოცხლეს გამოასალმა ქალაქის თავი, მხოლოდ ჯარის საშუალებით შესძლეს ამბოხების ჩაქრობა.[2]

საქართველოში საგლეხო რეფორმების გატარების შემდეგ მკვეთრად იზრდება პურისმცხობელთა რაოდენობა. მაგალითად, 1865 წ. თბილისში იყო 136 მეპურე, გორში 28, სიღნაღში 32, დუშეთში 13.

1876 წლის დამდეგს თბილისში აღრიცხულია:

მეთონე	ოსტატი 134,	ქარგალი 193,	შეგირდი 24,
მეპურე (მეფურნე)	ოსტატი 82,	ქარგალი 156,	შეგირდი 5
მეფუნთუშე	17,	56,	4
მეკონდიტრე	„ 3,	7,	4

ამრიგად პურის მცხობელი ოსტატი იყო –237, ქარგალი – 412, შეგირდი –37. სულ პურსაცხობის წარმოებაში დასაქმებულია

---

[1] შოთა მესხია, „ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან“, საქართველოს მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1949, გვ. 150-152, კ. კუცია, დასახ. ნაშრომი, გვ. 139, 140.

[2] იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985, გვ. 18, 19.

689 კაცი. მეპურეთა კორპორაცია გაერთიანებული იყო 3 ამქარში და 1 მეთონეთა ამქარში.[1] მეთონეთა ამქრები იყო სიღნაღში, გორში და ქუთაისში.[2]

მეპურე ხელოსნებს შორის ღრმავდება ქონებრივი დიფერენციაცია; ზოგი მათგანი უკვე ხდება მეპატრონე ორი, სამი და უფრო მეტი პურსაცხობი წარმოების, ან ამავე დროს ფლობდა სხვა წვრილ საწარმოსაც.

მართალია, პურისმცხობელთა ხელოსნობა უმეტეს წილად საქალაქო მეურნეობის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ასეთი ხელოსნები დაბებში და ზოგიერთ სოფელშიც გამოჩნდა და ასრულებდა სოფლის მეურნეობის დამატებით დანიშნულებას.

პურისმცხობელ ხელოსანთა კორპორაციაში იზრდება დაქირავებული მუშათა ექსპლუატაცია. ქარგალთა ნაწილი ცდილობს საკუთარი წარმოების შექმნას, ხოლო ვინც ამას ვერ ახერხებს ჩაითრია კაპიტალისტურმა მეწარმეობამ საქმიანობის სხვა სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ პურისმცხობელ ოსტატს, საწარმოს მეპატრონეს გააჩნდა სათანადო კაპიტალი, არ ახდენდნენ წარმოების კონცენტრაციას, არ ზრუნავდნენ წარმოების ტექნიკურ გაუმჯობესებაზე. პურსაცხობი წარმოება, განსაკუთრებით მეთონეობა კვლავ დამყარებული იყო ხელით შრომაზე და არქაულ წესებზე. ეს ალბათ, იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ პურსაცხობი წარმოება ისეთ დარგს ეკუთვნოდა, რომლის პროდუქცია არ განიცდიდა კონკურენციას რუსეთში წარმოებულ პროდუქციის შემოტანის შეუძლებლობის გამო. შეიმჩნევა აგრეთვე ზოგიერთ პურსაცხობ საწარმოში შრომის დანაწილების გაღრმავება და ოსტატ მეპურის შრომის პროცესში მონაწილეობიდან განთავისუფლება, მაგრამ პურისმცხობელ ხელოსანთა გამსხვილება და მათი გადაზრდა კაპიტალისტურ საწარმოდ ვერ განხორციელდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პურსაცხობ საწარმოში, სადაც ტექნიკური დონე დაბალი იყო, მაგრამ მუშათა რიცხვი მეტი (5-8 კაცი) შემოსავალი ნაკლები იყო.[3]

---

[1] პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. V, გვ. 293, 297.

[2] ვახტანგ ჯაოშვილი, ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1989, გვ. 85, 87, 95.

[3] ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, I, თბ., 1966, გვ. 149.

პურისმცხობელ ხელოსანთა უმრავლესობა, რომლებიც განაგრძობდნენ წარმოებას ძველებურ წესებით, მათ თანდათანობით იმორჩილებდა საკაჭრო კაპიტალი. ხელოსნობისათვის აუცილებელი ნედლეულის შეძენა დამოკიდებული იყო ვაჭარ შემსყიდველებთან. ეს აძნელებდა მუპურეთა მდგომარეობას. ამ მხრივ ვისაც მეტად გაუჭირდებოდა, მიდიოდნენ დაქირავებულ მუშებად. რაც უფრო ძლიერდებოდა ეს ტენდენცია მით უფრო იშლებოდა პურისმცხობელთა ამქრული ორგანიზაცია.

კარგა ხნის მანძილზე პურსაცხობ წარმოებაში ფეხი ვერ მოიკიდა გაუმჯობესებულმა ტექნიკურმა საშუალებებმა. სამაგიეროდ ვაჭარ-გამყიდველთა ინტერესების შესაბამისად შედარებით წინაურდება ფქვილსაფქვავი წარმოება.

ქალაქად და სოფლად პურზე მოთხოვნილების შეუნელებელი ზრდა კარნახობდა ფქვილსაფქვავი წარმოების გაუმჯობესების აუცილებლობას. საქართველოში არსებული პატარა წყლის ჰორიზონტალური თვლიანი წისქვილები ვერ უზრუნველყოფდნენ დიდი მოცულობის ხორბლის გადამუშავებას, განსაკუთრებით ეს მწვავედ იგრძნობოდა თბილისში, სადაც თავმოყრილი იყო კავკასიის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამიტომ საინტენდანტო სამსახურის რწმუნებულს კ. შმიდტს დაევალა ახალი დიდი სიმძლავრის წისქვილის მშენებლობის ხელმძღვანელობა. ამის შედეგად 1956 წელს მდ. მტკვარზე ორი ვერტიკალური თვლის დახმარებით (თითოეული საშუალოდ 40 ცხ. ძ. სიმძლავრის) ამოქმედდა საქართველოში პირველი მძლავრი წყლის წისქვილი, მის ტექნიკურ მოწყობილობაზე (მდინარის ნაპირის გამაგრება, წყალგასაშვების რაბი და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა) დაიხარჯა 300 ათასი მანეთი. ვინაიდან წისქვილი არ იყო შერჩეული მოხერხებულ ადგილს, მდინარე მას გამუდმებით აზიანებდა. მათი შეკეთება დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომ ეს წამოწყება ზარალიანი აღმოჩნდა. ვერც შმიდტის მემკვიდრეებმა შესძლეს წისქვილის ტექნიკური გამართვა. ასეთ პირობებში წისქვილი შეიძინა გ. თამამშევმა. მან იმასთან დაკავშირებით, რომ წისქვილის მუშაობაზე უარყოფით გავლენა არ მოეხდინა მტკვრის დინების მატებას ან დაკლებას, შვეიცარიიდან (ვიტენტური) გამოიწერა 35 ცხ. ძ. ორთქლის ძრავი, რომელსაც უნდა მოეხდინა ორი ვერტიკალური თვლის მუშაობის რეგულირება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მუშაობდა მხოლოდ წისქვილის ერთი თვა-

ლი და 35 ცხ. ძ. ორთქლის ძრავა. წისქვილის უმთავრესად მარცვლეულს ფქვავდა სამხედრო უწყების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ იღებდა კერძო დაკვეთებსაც. წისქვილთან მოწყობილი იყო მექანიკური სახელოსნო, სადაც დაზგები მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის ძრავას. 1881 წელს 6 დოლაბის მუშაობის დაფქვილი იქნა 250 ათასი ფუთი. წისქვილში მუშაობდა 20 კაცი, მათ შორის ერთი ოსტატი, ეროვნებით გერმანელი, იღებდა თვეში 60 მანეთს. მისი მოადგილე კი 40 მანეთს. დანარჩენი მუშები იღებდნენ 18-დან 22 მანეთამდე.[1] ამავე წლებში 30 ცხ. ძ. ორთწლის წისქვილი ჰქონდა სატსაზოვს, მაგრამ იგი დაიწვა და მისი აღდგენა მეპატრონემ არ მიიჩნია მიზანშეწონილად. ისევე როგორც გ. თამამშევმა მდ. მტკვარზე გამართული წისქვილი იყიდა გ. პარუმბეკოვმა, მაგრამ იძულებული გახდა მისი მუშაობა გადაეყვანა ორთქლის ძრავაზე (30 ცხ. ძ. სიმძლავრის). წისქვილის 3 დოლაბი გამართულად მუშაობდა და შესაძლებელი იყო ყველა ხარისხის ფქვილის წარმოება. მეპატრონე მარცვლეულის დასაფქვავად არ იღებდა სხვა კლიენტებს იმ მოტივით, რომ წისქვილი მუშაობდა მხოლოდ მაკარონის ფაბრიკისათვის, რომელიც აგრეთვე მას ეკუთვნოდა. პრუსიის ქვეშევრდომს ფ. ფეოდოროვიჩსაც ჰქონდა მდ. მტკვარზე მოწყობილი წისქვილი, მაგრამ ამჯობინა მისი გადაყვანა შვეიცარიიდან გამოწერილ ორთქლის ძრავზე (12 ცხ. ძ. სიმძლავრის). წისქვილის არახელსაყრელი ადგილმდებარეობა აძნელებდა დასაფქვავ ხორბლის მიტანას, ამიტომ წისქვილის (2 დოლაბი) ნაკლებად იყო დატვირთული, მუშაობდა 4 კაცი, 1881 წელს დაიფქვა 1000 ფუთი. ამ მხრივ უფრო წინდახედული აღმოჩნდა შვეიცარიის მოქალაქე ფ. მაიერი, რომელმაც მდ. მტკვრიდან დაშორებით ააგო შვეიცარიიდან მიღებული მოწყობილობებით ორთქლის ვალცური წისქვილი (8 ცხ. ძ. სიმძლავრის), რომელიც კარგ შტაბეჭდილებას სტოვებდა მუშაობდა 10 კაცი, 1881 წელს 3 დოლაბით დაიფქვა 50 ათასი ფუთი.[2]

1887 წელს მცხეთის რკინიგზის სადგურთან ახლოს გ. გორნიუჩმა ააგო ორთქლის წისქვილი (8 ცხ. ძ. სიმძლავრის) ორი დოლაბით. მუშაოდა 4 კაცი.

---

[1] С. Г Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тиф., 1888, с. 124-125, 127.

[2] იქვე, გვ. 125, 126.

1883 წელს ცნობილმა ვაჭარმა ოთაროვმა წითელ-წყაროში საკუთარი ნავთობის სარეწავის ბაზაზე აამოქმედა ორთქლის ძრავის გამოყენებით (12 ცხ. ძ. სიმძლავრის) წისქვილი ორი დოლაბით, სადაც მუშაობდა 8 კაცი. 1881 წ. დაიფქვა 50 ათასი ფუთი.

ს. შერემეტევმა თავის კარდანახის მამულში, ღვინის ქარხნის გვერდით, მოაწყო წისქვილი (6 ცხ. ძალის სიმძლავრის), მაგრამ ეს წისქვილი მხოლოდ სეზონურად მუშაობდა. წისქვილში დასაქმებული იყო 6 მუშა. 1881 წელს ორი დოლაბით დაიფქვა 1000 ფუთი.

გარდა შერემეტიევის მამულის წისქვილისა, ზემოთ დასახელებულ წისქვილების საქვაბეებში გამოიყენებოდა ნავთობის საწვავი, მაგრამ მასში გაწეული დანახარჯები არ იყო ერთნაირი, მაგალითად, ოთაროვის წისქვილში საათში ერთეულ სიმძლავრეზე იხარჯებოდა 10 ფუთი ნავთობი, ხოლო თამამშევისაში იგივე მაჩვენებლების მიხედვით 4 ფუთი. ეს დამოკიდებული იყო საქვაბის კონსტრუქციის, მისი მუშაობის, მოვლისა და სხვა მიზეზებზე. არსებობდა აგრეთვე განსხვავება მუშათა შრომის ანაზღაურების მხრივაც. ეს მაჩვენებელი თამაშევის წისქვილში უფრო მაღალი იყო, ვიდრე დანარჩენ წისქვილებში. აქ მუშათა შრომის ანაზღაურება არ აღემატებოდა საშუალოდ თვეში 15 მანეთს.

1904 წელს მაისში ბორჩალოს მაზრაში გიაურარხის საუფლისწულო მამულში დამთავრდა ბამბის საწმენდი ქარხნისა და წისქვილის მშენებლობა, რომლებიც მოძრაობაში მოყავდა 35 ცხ. ძ. წყლის ტურბინას. ტურბინა შეძენილი იქნა ამერიკაში ჯემს ლეფელის ქარხანაში 1300 მანეთად, ხოლო წისქვილის მთელი მოწყობილობა 856 მანეთად.[1] მამულის საკუთრებაში იყო აგრეთვე რამდენიმე წისქვილიც.[2] საუფლისწულო მამულის მმართველობა ყოველწლიურად (მოსავლის აღებისას) შედარებით დაბალ ფასებში ყიდულობდა დიდძალ ხორბალს, ფქვავდნენ წისქვილებში და ბაზარზე ყიდდნენ მაღალ ფასებში. ადგილობრივ მცხოვრებლებს კი ის „შეღავათი“ ეძლეოდათ, თუ წისქვილები არ იყო გადატვირთული, იქ მიეტანათ საფქვავი.[3]

---

[1] თ. ჩხეიძე, კაპიტალიზმი აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში, თბ., 1978, გვ. 78.

[2] იქვე, გვ. 33.

[3] საქართველოს ცსია, ფონდი 351, ანაწ. I, საქ. 192, ფ. 61, 62, თენგიზ ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

მოგვიანებით ორთქლისძრავით წისქვილები მოქმედებდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის, რომელიც ეკუთვნოდა ქ. კურტივას და ბათუმისა ლ. პარაჩს. ისინი 14-17 მუშას ამუშავებდნენ და წლიურად მხოლოდ 7700-დან 20100 მანეთის შემოსავალს იღებდნენ.[1]

სტატისტიკური მონაცემებით 1902 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სულ 12 ორთქლის წისქვილის მუშაობდა, სადაც დასაქმებული იყო 49 მუშა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ საქართველოში სხვა სახის წისქვილებიც არსებობდნენ, მათ შორის უმრავლესობას წყლის წისქვილები შეადგენდნენ. ცარიზმის ოფიციალურ სტატისტიკას ვინაიდან არ ჰქონდათ შემუშავებული მეცნიერულ საფუძველებზე დაყრდნობილი აღრიცხვის მეთოდი, ხშირად სწორად ვერ ასახავდა სინამდვილეს, მაგალითად, 1902 წლისათვის ოფიციალური ცნობით საქართველოში აღრიცხულია 3161 წისქვილი. სტ. გულიშამბაროვის გადმოცემით ჯერ კიდევ 80-იან წლებში მხოლოდ თბილისის გუბერნიაში ყოფილა 3000 წისქვილი, აქედან ქალაქებში 180, ხოლო სოფლად – 2820, მათ შორის მაზრებში: ახალციხე – 119, ახალქალაქი –234, გორის – 815, ბორჩალო – 308, თბილისი – 95.[2] თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში 80-იან წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და მატულობს ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და საკურორტო ადგილებში (განსაკუთრებით ზაფხულის სეზონის დროს) მცხოვრებთა რაოდენობა, ცხადია ასეთ პირობებში გამომცხვარ პურზე გაიზრდებოდა მოთხოვნილება. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ფქვილსაფქვავი წარმოება არ უნდა შემცირებულიყო. მიუხედავად ასეთი ხასიათის ნაკლოვანებებისა სტატისტიკური მონაცემები მაინც გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან ფქვილსაფქვავი წარმოების მოცულობის და მისი ზრდის ტემპების შესახებ, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (იხ. ცხრილი1).

---

[1] გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917, თბ., 1967, გვ. 324.

[2] С. Г. Гулишамбаров, Обзор фабрики и заводов... с. 129.

ცხრილი 1

მონაცემები წისქვილების რაოდენობის, პროდუქციის ღირებულებისა და მუშათა რაოდენობის შესახებ 1899-1911 წწ.[1]

წლები	წისქვილების რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მანეთობით)	მუშათა რაოდენობა
1899	2080	355	2354
1902	3161	287	3300
1908	3632	530	3800
1910	2953	548	3209
1911	1926	350	1908

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს 1911 წელს წისქვილების საერთო რაოდენობა 1908 წელთან შედარებით შემცირებულა 1805 ერთეულით. ჩვენი აზრით ეს უნდა გამოწვეული იყოს სხვადასხვა რაიონში აღრიცხვის ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომის შედეგად, რამაც თავის მხრივ გავლენა იქონია პროდუქციის ღირებულებისა და მუშათა რაოდენობის მაჩვენებლებზეც. ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ იმ დროს წისქვილის პროდუქციის ღირებულება აღირიცხებოდა დაფქვილი მარცვლეულის არა წლის მანძილზე წარმოებული მთელი ნაწარმი, არამედ მხოლოდ სამინდო გადასახადი, რაც მთლიანი პროდუქციის ღირებულების დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენდა და სამინდო მოსაკრებელი სხვადასხვა წისქვილში და რაიონში არ იყო ერთნაირი ზომის. მოყვანილი მონაცემებიდან მაინც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ორთქლის წისქვილები ჯერ კიდევ ნაკლებ როლს ასრულებდნენ საერთოდ ფქვილსაფქვავ წარმოებაში, ხოლო დანარჩენი წისქვილები არ წარმოადგენდნენ მსხვილ საწარმოებს, როგორც წარმოებული პროდუქციის, ისე მასში დასაქმებული მუშათა რაოდენობის მხრივ.

ყველა სახის პურის ცხობა და საერთოდ, პურსაცხობი წარმოების შემდგომი განვითარება დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ფქვილის საბაზრო ფასსა და ტექნიკურ დონეზე, არამედ მის ტრან-

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967 პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 112.

სპორტირებასა და საწვავის ხარჯებზე. ეს ფაქტორები უარყოფით გავლენას ახდენდნენ გამომცხვარი პურის ღირებულების სტაბილურობაზე. მაგალითად, თბილისში შემოზიდული შეშა ძვირი ჯდებოდა — ერთი საჟენი 30-35 მანეთი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წლის ყველა დროს და განსასკუთრებით ზამთრის დადგომისას მოსახლეობა დიდი რაოდენობის შეშას მოითხოვდა, მაშინ გასაგები გახდება თუ რა სიძნელის წინაშე იქნებოდნენ მეპურე ხელოსნები, რომლებიც ყოველდღიურად მოითხოვდნენ რამდენიმე ურემ შეშას. ს. კლიმიაშვილის გაანგარიშებით თბილისში 25 ქართული პურსაცხობ თონეს თვეში ესაჭიროებოდა 200 კუბ. მ. შეშა, ხოლო წელიწადში — 14600 კუბ. მ. ეს ეკოლოგიურ თვალსაზრისითაც დიდი ზიანის მომტანი იყო ქვეყნისათვის — დაუნდობლად ნადგურდებოდა ტყის მასივები, განსაკუთრებით თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე.[1] პურის მცხობელი ვაჭარ-მრეწველები ხედებოდნენ, რომ პურის ცხობის ძველი საშუალებებით არ შეიძლებოდა მასზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, საჭიროდ მიიჩნიეს ქარხნული წესით პურის ცხობის დაწყება და ამ გზით გარკვეული სარგებლის მიღება. როგორც სტ. გულიშამბაროვი გადმოგვცემს ამ მიმართულებით დაწყებულმა პურველმა ცდებმა არ გაამართლა. 1882 წელს თბილისში სტოკკიმ და მელკუნოვმა ააშენეს ფურნე, სადაც დაიდგა დიდი პურსაცხობი ღუმელი, მაგრამ ამ წარმოებამ იარსება მხოლოდ ერთი წელი.

1883 წლის მეორე ნახევარში საქართველოში ცნობილ ვაჭარ-მრეწველების ონიკაშვილის, ზუბალაშვილისა და ამხანაგობის ინიციატივით თბილისში დამთავრდა პურის ქარხნის მშენებლობა. მისი მოწყობილობა (პარკინსის სისტემის ორი განუწყვეტელი მოქმედების ღუმელი, ტექნიკურად გაუმჯობესებული ვისტმოსტისა და პაგის მიერ) მიღებული იქნა გერმანიიდან. წარმოებრივი სიმძლავრე დღე-ღამეში შიადგენდა 400 ფუთს და იხარჯებოდა 20 ფუთამდე ნავთობი. მისი ღირებულება თბილისში მოტანით დაჯდა 15000 მანეთი. ამასთან ერთად გერმანიიდან მოიწვიეს პურისმცხობელი ოსტატები. სულ ქარხანაში მუშაობდა 1 მემანქანე და 5 მუშა. ქარხანაში გამოცხობილი პური, რომელიც იწონიდა 9 გირვანქას თუმცა იყო კარგად გა-

---

[1] ა. კლიმიაშვილი, მიწა დაიძრა მთებიდან „საბჭოთა საქართველო", თბ., 1968, გვ. 70.

მომშრალი, მაგრამ იგი თვისი გემოვნური თვისებებით ჩამორჩებოდა თონეში გამომცხვარ პურს. ამიტომ ქარხნული პური იყიდებოდა შედარებით იაფად და მყიდველის მოთხოვნით ბინაზეც მიტანით. ქარხნის პურმა ვერ ჰპოვა მომხმარებელთა დაინტერესება და მეპატრონეები ზარალს განიცდიდნენ. ამიტომ მათ მნიშვნელოვნად შეზღუდეს პურის ცხობის წარმოება. სტ. გულშამბაროვი ამას ხსნის იმ მოტივით თითქოს ღუმელებს, რომ ემუშავათ განუწყვეტლივ დღე-ღამით ქარხანა სრული დატვირთვით იმუშავებდა და ნავთობიც ნაკლები დაიხარჯებოდა, ამასთან დაკავშირებით ზარალიც ნაკლები იქნებოდაო.

ჩვენ გვგონია, რომ ეს არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქარხანა დამატებით მოითხოვდა მუშახელის რაოდენობის ზრდას, ხოლო ქარხნის სრულ დატვირთვას შეიძლება გამოეწვია პროდუქციის სიჭარბე და მისი რეალიზაციის სერიოზული დაბრკოლება იმ დროს, როდესაც ადგილობრივი მცხოვერბლები შეიძლება შეუჩვევლობის გამოც ამჯობინებდა თონეში გამომცხვარ პურს. რაც შეეხება ნავთობზე გაწეულ ხარჯების ზრდას, მასზე უთუოდ ფასები შემცირდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით. 1887 წელს ქარხანამ ერთი თვის მანძილზე გამოაცხო 1008 ფუთზე მეტი პური და მასზე დაიხარჯა 720 ფუთი ფქვილი. ამავე წლის დამლევს პურის ქარხანა მისმა მეპატრონეებმა ივჯარით გადასცეს სხვა პირებზე.[1]

თბილისში თამამშევის წისქვილის ბაზაზე შეიქმნა პურსაცხობი ფურნე. 1900 წელს წისქვილიში და პურსაცხობში მუშაობდა 25 მუშა, წარმოებული პროდუქციის ღირებულება 1900-1908 წლების მანძილზე 36 ათას მანეთიდან 50000 მანეთამდე გაზრდილა.[2]

ოფიციალური სტატისტიკური ცნობით 1900 წელს თბილისში აღრიცხულია 149 პურსაცხობი ფურნე (2-8 მუშით) თითოეული 1000-დან 25 ათას მანეთამდე ბრუნვის მოცულობით. ამ საწარმოთა პროდუქციის ღირებულება 764 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 519.[3] ასევე წვრილი პურსაცხობები (2-4 მუშით)

---

1 С. Г. Гулишамбаров, Обзор фабрики и заводов... с. 129-132.

2 გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917, გვ. 324.

3 პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი მეხუთე, გვ. 330.

აღრიცხულია თბილისის გუბერნიის სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, გორში – 19, სიღნაღში – 1, ახალციხეში – 1, ბორჩალოში – 2 და სხვ., სადაც დასაქმებული იყო 919 მეპურე და 208 კონდიტერ-მეფუნთუშე.[1] 1903 წლისათვის მეპურე-მეფუნთუშეთა რაოდენობა შეადგენდა 1401, მეკონდიტერთა – 278 კაცს,[2] ხოლო ბრუნვის მოცულობა 1000-დან 40000 მანეთს და პროდუქციის ღირებულება 900000 მანეთს შეადგენდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისისა და სხვა პუნქტებში განლაგებულ ჯარის ნაწილებში თავის მოთხოვნილებისათვის აცხობდნენ პურსა და ორცხობილას, რაც არ არის აღნიშნული სტატისტიკურ მონაცემებში.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამ დროისათვის თავი იჩინა საქართველოსა და ამიერკავკასიაში პურეულისა და კერძოდ ხორბლის წარმოების შემცირებამ და მათი ფასის მატებამ. თუ აქამდე შესაძლებელი იყო მოსახლეობისა და კავკასიის საინტენდანტო სამსახურის უზრუნველყოფა საკუთარი მარცვლეულის წარმოებით და იგი ექსპორტის სახითაც გადიოდა საზღვარგარეთ, ახლა საჭირო შეიქმნა დამატებით მარცვლეულის შემოზიდვა. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო საერთოდ მოსახლეობის გამრავლებით და საქალაქო ცხოვრების. განვითარებით, მრავალწლიან ნარგავთა და განსაკუთრებით ტექნიკური კულტურათა განუხრელი ზრდით, მოსავლიანობის შემცირებით და მარცვლეულის ტექნიკური გადამუშავების დაბალი დონით და სხვ.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარცვლეულის წარმოების შემცირებამ, რამაც თავი იჩინა ამ დროს, მწვავედ დასვა საკითხი, რუსეთიდან, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიიდან მარცვლეულის შემოზიდვის ორგანიზაციის მოგვარებისა და, ეს სარფიანი საქმე მსხვილმა კომერსანტებმა იკისრეს (ქავთარაძე, შტრანკი და სხვ.).[3] მარგამ ამ საქმეს ართულებდა თვით რუსეთში მარცვლეულის მოსავლიანობის შემცირება, რაც საგრძნობ გავლენას ახდენდა საქართვე-

---

1 Сборник статистичсских сведении по Закавказскому краю, т. I, Тиф., 1902, с. 237, 244.

2 პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი მეხუთე, გვ. 266.

3 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. მესამე, გვ. 426.

ლოსა და ამიერკავკასიის მარცვლელით უზრუნველყოფის სტაბილურობაზე.

რკინიგზის საშუალებით პურეულის (მარცვლეული და ფქვილი) საქართველოში საშუალო წლიური შემოტანა 1909-1913 წლების მანძილზე შეადგენდა (ფუთობით): მარცვლეული 1.254.083, მათ შორის ხორბალი – 52.093, სიმინდი 128.533, ქერი – 831.617, ფქვილი – 4.407.689, მათ შორის ხორბლისა – 4.368.786, ბურღული – 40.675, ქატო – 348.700.[1] თუმცა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარცვლეულის შემოტანა წარმოებდა უმთავრესად რკინიგზის საშუალებით, მაგრამ იგი შემოჰქონდათ აგრეთვე შავი და კასპიის ზღვების ნავსადგურებით და საქართველოს სამხედრო გზით და როგორც აკად. პ. გუგუშვილი აღნიშნავს „ამიერკავკასია ამ დროს საშუალოწლიურად 24 მილიონამდე ფუთ შემოტანილ პურეულს მოიხმარდა და აქედან საქართველოზე მოდიოდა, არაპირდაპირი გაანგარიშებით, 10-11 მილიონი ფუთი“.[2] თუ გავითვალისწინებთ, რომ 1912-1914 წწ. საქართველოში პურეულის საშუალოწლიური მოსავალი დაახლოებით უდრიდა 51 მილიონ ფუთს, ხოლო შემოტანილი 10-11 მილიონ ფუთს, მაშინ მთელი მოხმარება აღწევდა 61-62 მილიონ ფუთს, აქედან 16,3 პროცენტი მოდიოდა შემოტანილ პურეულზე. იმავდროინდელი სტატსტიკური გაანგარიშებით საქართველოში პურეულის მახმარება (მარცვლეულზე გადაყავნით) მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოწლიური იყო ქალაქის მოსახლეობისა – 12 ფუთი, სოფლისა – 15 ფუთი.[3]

პურეული უმეტესად დაფქვილი სახით იყიდებოდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში, სპეციალურ მაღაზიებში, აგრეთვე ბაზრებზე.

1900 წელს თბილისში იყო 25 ფქვილის გასაყიდი მაღაზია, 15000-30000 მან. ბრუნვის მოცულობით, 1135 მან. პროდუქციის ღირებულების და 54 მუშით. ამასთან ერთად ვითარდება საკონდიტრო წარმოება. ამის შესახებ გაზ. „ცნობის ფურცელის“ კორესპონდენტი შენიშნავს „აქამდე თბილისში ქართველთაგან ორი-სამი კან-

---

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. მესამე, გვ. 390.
[2] იქვე, გვ. 391, 398.
[3] იქვე, გვ. 385.

დიტერი — მეფუნთუშე იყო, ერთი მათგანი, ალ. ჭავჭავაძის ნაყმევი, რომელიც ბატონს მიუცია ფრანგებისათვის და ეს ხელობა უსწავლებია 1840 წელს. 1850 წელს თბილისში უკვე იყო ქართველი მეფუნთუშე აბრამ ხუციშვილი, მას შემდეგ მიდის დრო და ეს საქმე ქართველთა შორის ფეხს იდგამს. აი, ერთი საკონდიტრო კიდეც ეხლა მოუწყვიათ ავჭალის ქუჩაზე, დიდ მაღაზიაში, ევროპულად, კარგად, პატრონი არის ვინმე ქართველი კათოლიკე ევთაევი".[1] 900-იან წლებში საკონდიტრო ნაწარმის პროდუქცია თბილისის გარდა იყიდებოდა გორში, ბორჯომში, ახალციხეში, ქუთაისში, ბათუმში და სხვ. თბილისში მეკონდიტრეთა ბრუნვის მოცულობა 2000-დან 50000 მანეთს შეადგენდა. დასაქმებული იყო 144 მუშა.[2]

ფქვილის ყველაზე მეტი მომხმარებელი მაინც პურის მცხობელები იყვნენ, განსაკუთრებით თბილისის მეპურეები. 1912 წლის მონაცემებით თბილისში მეთონეთა, მეფურნეთა და მელავაშეთა რაოდენობა 1247 კაცს შეადგენდა, აქედან ოსტატი იყო 328, ქარგალი 786, შეგირდი 139 კაცი.[3] მეპურეთა (მეთონეთა) შორის უმრავლესობა რაჭიდან „საშოვარზე" წამოსული მშრომელი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ, რომლებიც მომხმარებელთა პატივისცემას იმსახურებდნენ, მათ შორის უმრავლესობას მუდმივი მყიდველი ჰყავდა, რასაც კონკურენციის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

თონეში პურის ცხობის პროცესი მოითხოვდა მეპურის მძიმე ფიზიკურ დატვირთვას, მათ უნდა შეესრულებიათ დიდი მოცულობის ტომრების გადმოტვირთვა, შეშის (რცხილა) დაჭრა, ცომის ხელით მოზელა და, რაც მთავარია მხურვალე თონეში ცალი ხელით ჩაკიდებული მუშაობა. მათთვის არ იყო განსაზღვრული სამუშაო დრო. მუშაობას იწყებდნენ 5-6 საათიდან და ხშირად ამთავრებდნენ ღამის 10-11 საათისათვის. მუშაობდნენ კვირა და ზოგჯერ უქმე დღეებშიც.[4] პურის ცხობის მთელი სიმძიმე ქარგლებსა და შეგირდებს ეკისრათ. ასეთი ხასიათის სამუშაოთა შესრულება მხოლოდ ფიზიკურად ძლი-

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1898, 23 სექტემბერი.

[2] საქართველოს ცსია, ფონდი 414, ანაწ. 1, საქ. 13, ფურც. 113, Сборник статистических сведений... с. 139

[3] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. მესამე, გვ. 269.

[4] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. მესამე, გვ. 234.

ერ ადამიანებს შეეძლოთ. ალბათ, ამიტომაც ეგუებოდა მთის პირობებში აღზრდილი რაღაცელი ახალგაზრდობა მეპურეთა სპეციალობის დაუფლებას და უნდა ითქვას, რომ ისინი ამ კეთილშობილურ საქმეს წარმატებით ასრულედნენ თავის სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთაც.[1]

ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში წერდა „...ბევრი საჩუქრები მიმიღია საზოგადოებისაგან, ბევრჯერ მათ რიცხვში ძვირფასიც. ჩემი თავი იმათ ღირსადაც არ მიმიჩნევია, მაგრამ არც ერთი მათგანი ისე ძვირფასი არ ყოფილა, როგორც იობას პურები". ასეთი მაღალი შეფასება მიუძღვნა დიდმა მგოსანმა აკაკიმ რაჭველ პურისმცხობელ — იობა ისაკაძეს და მის მიერ გამოცხობილ პურს.[2]

მეპურეებს, რომ მუდმივი სამუშაო ჰქონებოდათ ეს ბევრად იყო დამოკიდებული ბაზარზე ფქვილის ხელმისაწვდომ ფასებში შეძენაზე. 1910 წლიდან მოყოლებული და განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით მეპურეები დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ. თბილისში, სადაც საწყობებში ყოველთვის იყო ფქვილის დიდი მარაგი, თანდათანობით ილევა და მათი შევსება ტრანსპორტის ნაკლებობით გართულდა. ამით სარგებლობდნენ ადგილობრივი ვაჭრები და ფქვილზე ფასს უწევდნენ. ერთი ტომარა ფქვილი ღირდა 15-დან 17 მანეთამდე, წინააღმდეგ დადგენილი ფასისა — 13 მან. და 40 კაპ.[3] ფქვილზე ფასების შეუნელებელი ზრდა იწვევდა მეპურეთა უკმაყოფილებას. ისინი იძულებული ხდებიან თავის მხრივ მოემატათ პურის ფასიც. 1914 წ. 17 დეკემბრის თბილისის გუბერნატორის დამტკიცებული ნიხრის მიხედვით პირველი ხარისხის ფურნის პური (გირვანქობით) ღირდა — 5 კაპ., იმავე ხარისხის თონის პური — 5 1/2 კაპ., მეორე ხარისხის ფურნისა — 4 კაპ., თონისა — 4 1/2 კაპ., ჭვავის შავი — 3 კაპ., ლავაში პირველი ხარისხის — 5 1/2 კაპ., მეორე ხარისხის — 5 კაპ., ფრანგული ბულკი — 5 კაპ. (1/2 გირვანქა).[4]

---

[1] ლევან ფრუიძე, რაჭა ეთნოგრაფის თვალით, თბ., 1988, გვ. 15.

[2] გაზ. „თემი", 1903, 27 ივლისი.

[3] ა. ვაშაკიძე, მუშათა კლასი თბილისის გუბერნიაში პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914-1917 წწ.), „საისტორიო მოამბე", თბ., 1975, გვ. 428.

[4] საქართველოს ცსია, ფონდი, 108, საქ. 4380. ფურც. 250.

მეპურეებს ზარალი, რომ არ ენახათ მიმართავდნენ სხვა საშუალებებსაც, კერძოდ, მეორე ხარისხის ნაცვლად პურს ყიდდნენ როგორც პირველ ხარისხისას.[1] ქალაქში თანდათანობით მცირდება პურსაცხობები, პურის მაღაზიებთან ჩნდება რიგები. მეპურეთა წარმომადგენლებმა არა ერთხელ მიმართეს ქალაქის პოლიციას დახმარებოდნენ ფქვილით ვაჭრობის სპეკულაციის აღსაკვეთად, მაგრამ რეალურ დახმარებას მათგან ვერ იღებენ. ჯერ კიდევ 1898 წლის მაისში, როგორც გაზ. „ცნობის ფურცელის" კორესპონდენტი იტყობინებოდა თელავში პურის ფქვილზე ფასების მომატების გამო გაიფიცნენ მეპურეები და ქალაქის მცხოვრები ორი დღე სრულიად უპუროდ დარჩენო,[2] როგორც ამ ცნობიდან ირკვევა თელავის მეპურეებს ფქვილის ფასების მომატების გამო მიუმართავს უკიდურეს ზომის — გაფიცვისათვის, მაგრამ ამავე დროს ჩანს, თუ მეპურეები რა დიდ როლს ასრულებდა ქალაქის პურით უზრუნველყოფის საქმეში.

1915 წლის 28 აპრილს თბილისში 350 პურის მცხობელმა მოკლევადიანი გაფიცვა მოაწყო, რაც გამოწვეული იყო პურის ფქვილზე ფასების მომატებით და შრომის პირობების გაუარესებით. რამდენიმე დღის შემდეგ (4 მაისს) მეთონეები შეიკრიბნენ ქალაქის გარეთ კუკიის სასაფლაოზე და, როგორც პოლიციის მასალებიდან ირკვევა „...ისინი შეიკრიბენ იქ მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებზე სათათბიროდ".[3] მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მთავრობის დაკვეთით თბილისის მეპურეებმა იკისრეს კავკასიის არმიისათვის ორი თვის მანძილზე (მაისი — ივნისი) 80000 ფუთი ორცხობილას დამზადება.[4] ახლა ფქვილი ქალაქში საკმარისი აღმოჩნდა, მაგრამ მეპურეებს აღარ შეეძლოთ ზემოთაღნიშნულ მიზეზების გამო ქალაქის მოსახლეობის მთლიანად დაკმაყოფილება. პურზე ფასები კიდევ უფრო მატულობდა. შეწყდა მესამე ხარისხის პურის გამოცხობა, რომელსაც ყიდულობდა ღარიბი მოსახლეობა.[5]

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებსა და დაბა-სოფლებში შიმშილის საფრთხის ასა-

---

[1] იქვე, ფონდი 17, საქ. 9328, ფურც. 2-6.
[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1898, №534.
[3] საქართველოს ცსია, ფონდი, 108, საქ. 8305. ფურც. 152.
[4] იქვე, ფონდი 17, საქ. 643, ფურც. 29.
[5] იქვე, ფონდი 17, საქ. 9328, ფურც. 2-6.

ცილებლად შეიქმნა „კავკასიის სასურსათო კომიტეტი“, რომლის უპირველეს ამოცანას არმიისა და ზურგის სასურსათო პროდუქტებით მომარაგება შეადგენდა. მართალია ამ კომიტეტმა ნაწილობრივ შეამსუბუქა მხარის სურსათითა და მარცვლეულით უზრუნველყოფა, მაგრამ სასურსათო კრიზისი კიდევ უფრო მეტად გართულდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შექმნის დღიდან (1917.11.15), როდესაც მოიშალა კავშირურთიერთობა რუსეთის სამრეწველო ცენტრებთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან. რკინიგზის ტრანსპორტი არ იყო უზრუნველყოფილი მოძრავი შემადგენლობით და საწვავით, ხოლო საზღვაო ტრანსპორტი თითქმის მთლიანად დაიკავა მეომარი მხარეების სამხედრო ნაწილებმა. შექმნილი ვითარებით მოხერხებულად სარგებლობდნენ სპეკულიანტები, რომელნიც გადანახულ პურზე მაღალ ფასებს აწესებდნენ.[1] შეუნელებლად იზრდებოდა პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე ფასები, ხელფასი კი მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. მაგალითად, 1918 წ. პირველ მოთხოვნილების პროდუქტებზე 1915 წელთან შედარებით ფასებმა მოიმატა – 10-ჯერ მეტად, ხოლო შრომის ანაზღაურება გაიზარდა მხოლოდ 4-ჯერ.[2] ასეთ პირობებში მოუხდა მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც ამავე დროს იბრძოდა გარეშე მტრების წინააღმდეგ თავისი ისტორიული ტერიტორიის მთლიანობის დასაცავად, რაც მოითხოვდა დიდ ფინანსური რესურსების მობილიზაციას. მიუხედავად ამისა, მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა მოსახლეობის სურსათითა და სამრეწველო საქონლით მომარაგების უზრუნველყოფა. მაგრამ ისედაც სუსტი მრეწველობა, რომლის უმრავლესობა თავმოყრილი იყო თბილისში მწვავედ განიცდიდა ნედლეულისა და საწვავ-სათბობის ნაკლებობას. კერძო მესაკუთრეები ამჯობინებდნენ თავიანთ კაპიტალის დაბანდებას უფრო სარფიან საქმიანობაში, რომელიც დიდ მოგებას იძლეოდა, ვიდრე წვრილი საწარმოები. სახელმწიფოს ბიუჯეტის მაღალი დეფიციტის გამო მთავრობას არ გააჩნდა ფინანსური სახსრები მრეწველობის განვითარების ხელშეწყობისათვის. უცხოეთის კაპიტალი მხოლოდ წიაღისეული

---

1 Газ. "Борьба", 1918, №133.

2 А. Гуния, Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тб., 1961, с. 88.

სიმდიდრეთა დამუშავების მიმართულებით იჩენდა ინტერესს, ხოლო საგარეო ვაჭრობას აბრკოლებდა სათანადო რაოდენობის ვალუტის უქონლობა.

ჯარში გლეხობის გაწვევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის მწარმოებლური ძალა, რამაც გამოიწვია ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემცირება. შექმნილი ვითარება კარნახობდა მარცვლეულის წარმოების აუცილებლივ გადიდებას. ამ მიზნით განხორციელდა ნაწილობრივ მიწის რეფორმა, ათვისებული იქნა აგრეთვე ახალი მიწები, სოფლის მეურნეობის საქმიანობაში ჩაება რესპუბლიკის ქალაქებიდან დაბრუნებული მოსახლეობა, ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად მატულობს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მათ შორის მარცვლეულის წარმოება, მაგრამ ეს მაინც ვერ აკმაყოფილებდა პურზე მოსახლეობის მოთხოვნილებას.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ამ დროისათვის ზოგმა პურსაცხობმა საწარმომ შეყვიტა მოქმედება, ზოგი კი არასრული დატვირთვით მუშაობდა, მაგრამ რომელი საწარმო რა რაოდენობის პურს აცხობდა არ არის ნაჩვენები.

ერთ-ერთ საარქივო მასალიდან ცნობილი ხდება, რომ თბილისის მოსახლეობის გამომცხვარი პურით უზრუნველყოფისათვის დიდ როლს ასრულებდა „საქალაქო კავშირის“ დიდუბის ცენტრალური პურსაცხობი, რომელიც ადრე სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა.[1] იგი წარმოადგენდა ქალაქის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოს, სადაც დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენდა 92 კაცს. მათ შორის: პურის მცხობელი — 18, უფროსი ცომისმზელავი — 8, ცომისმზელავი მუშა — 48, დამხმარე მუშა — 8, მოწაფე — 1, მრეცხავი — 2, მწონავი — 1, მტვირთავი — 2, მოანგარიშე — 1, საქმის მწარმოებელი — 2, გამგე —1.

1918 წლის ნოემბრის მონაცემებით ცენტრალური პურსაცხობი გერმანიიდან მიღებული ხორბლის ფქვილისაგან ყოველდღიურად აცხობდა საშუალოდ 200 ფუთ პურს. მაგრამ მასში შერეული ყოფილა 20 პროცენტი სიმინდის ფქვილი.

გამომცხვარი პური იგზავნებოდა საქართველოს პარლამენტში — 17 ფუთი და 2 გირვანქა, საავადმყოფოში (ყოფ. არამიანცის) —

---

[1] საქართველოს ცსია, ფონდი 1923, ანაწ. 1, 1013, ფურც. 12

20 ფ., მილიციის სამმართველოში 40 ფ., ქალაქის ეკონომიკურ საზოგადოებაში – 60 ფ., ტრამვაის სამმართველოში – 60 ფუთი.[1]

რესპუბლიკის მთავრობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებები საზღვარგარეთის, განსაკუთრებით ევროპის, ქვეყნებთან პოლიტიკურ და ეკონომიკური ურთიოერთობის დამყარებისათვის. ამ ღონისძიებათა შორის დიდი ადგილი ეთმობოდა ქვეყნის სურსათითა და სამრეწველო საქონლით მომარაგების საკითხებს. გარდა მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლებისა, მისიებისა და დელეგაციებისა, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება-გაფართოების საქმიანობაში დიდ როლს ასრულებდნენ კოოპერაციული საზოგადოებები, საკრედიტო ამხანაგობები და კერძო პირები, რომლებსაც შესყიდვით ან უფრო მეტად ბარტერული წესით საქართველოში შემოჰქონდათ ის დეფიციტური საქონელი, რაც მათ აკლდათ, უპირადესად პური და სამრეწველო საქონელი, თუმცა ეს იყო მცირე მოცულობის და მასთან არასტაბილური, მაგრამ იგი მაინც ხელს უწყობდა პირველი მოთხოვნილების საქონელზე დეფიციტის შემცირებას.

1919 წლის მაისში დიდების ცენტრალურ პურსაცხობში ჩატარდა ცდები იმის დადგენისათვის, თუ კანადიდან შემოტანილ წმინდა ხორბლის ფქვილში 14%, 20% და 25 სიმინდის ფქვილის შერევით, რამდენ ნამატს მიიღებდნენ. ამრიგად დადგინდა ხორბლის ფქვილის ნაკლებობის შემთხვევაში რამდენი ნამატი მიიღებოდა.[2] ამის შესაბამისად ცხვებოდა უფრო მეტი მოცულობის პური. მისი ხარისხის გაუარესების გზით, სამაგიეროდ პურს აწვდიდნენ უფრო მეტ ორგანიზაციებს, ვიდრე წინა წელს.

გირვანქა პური ღირდა I ხარისხის 11 მან. და 81 კაპ. III ხარისხის 6 მან. და 90 კაპ. ქალაქის მოსახლეობას ეძლეოდათ ნორმით გათვალისწინებული 1,1/8 გირვანქა პური.

ცენტრალური პურსაცხობის მუშებს დიდი დატვირთვით უხდებოდათ მუშაობა. სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდისა და საქალაქო ტრანსპორტზე (ტრამვაი) მგზავრობის ღირებულების გადიბებამ აიძულა მუშები კატეგორიულად მოეთხოვათ ხელფასის მომატება, განსაკუთრებით მათთვის ვინც გამოიმუშავებდა ნორმაზე მეტს

---

[1] იქვე, საქ. 71, ფურც. 4.

[2] საქართველოს ცსია, ფონდი 1923, ანაწ. 1, 126, ფურც. 293.

ას და ვისაც მესამე ცვლაში უხდებოდა მუშაობა. პროფკავშირების აქტიური მხარდაჭერით მუშების მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოემატათ ხელფასი. მაგალითად, პურის მცხობელებს 500-დან 700 მანეთამდე, ხოლო უფროს ცომისმზელავებს 650-დან 700 მანეთამდე. ასევე მოემატათ ხელფასი სხვა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებსაც. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა სხვა პურსაცხობ საწარმოებში, ოღონდ ცენტრალურ პურსაცხობთან შედარებით მუშები უფრო ნაკლებ ხელფასს იღებდნენ, რადგან ასეთ საწარმოებში არასრული დატვირთვით მუშაობდნენ და ხშირად პურის ნაცვლად ცხვებოდა ჭადი.

როგორც დავინახეთ ადგილობრივ მოწეული სიმინდი დიდ როლს ასრულებდა პურის დეფიციტის შემცირების საქმეში, ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ქართველ ხალხს გააჩნდა სიმინდის საკვებად გამოყენების დიდი ხნის ტრადიცია. ამიტომ საქართველოს პურის ნაკლებობა ისე უკიდურესად მძიმედ არ განუცდია როგორც ეს რუსეთის ზოგიერთ რეგიონში იყო. თუმცა პურის საბაზრო ფასმა საქართველოში ასტრონომიულ ციფრს მიაღწია, მაგალითად, თბილისში 1920 წელს ერთი ფუთი ხორბალი –2100,50 მან. ღირდა, ხორბლის ფქვილი 2417,50, სიმინდი – 1088,70 მან.[1] ხორბლის ფქვილის განსაკუთრებული მაღალი ფასის გამო და იმასთან დაკავშირებითაც, რომ ყოველთვის არ ხერხდებოდა მისი შესყიდვა, მრავალი კერძო პურსაცხობი დაიხურა.

1920 წლის დამდეგიდან საქართველოში შიმშილობა უფრო მეტად გამწვავდა და მან თითქმის მასიური ხასიათი მიიღო. მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ხორბლის ქვეყნის გარედან შემოტანას, მაგრამ მას შედეგი არ მოყოლია. ასეთ მძიმე ვითარების დროს გენერალმა დენიკინმა, რომელიც იმ დროს სათავეში უდგა ე. წ. სამხრეთ რუსეთის მთავრობას, 1920 წლის თებერვალს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას შესთავაზა დიდი რაოდენობის პურის გამოგზავნა თუ თავის გემების საჭიროებისათვის, სანაცვლოდ მიიღებდა ერთ მილიონ ფუთ ქვანახშირს. ამავე გემებით უნდა განხორციელებულიყო პურის შემოტანა საქართველოს ნავსადგურებში. ამასთან ერთად გენერალი დენიკინი მოითხოვდა სამხედრო კავშირის დადებას

---

[1] А. Гуния, Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тб., 1961, с. 90.

იმ შემთხვევისათვის, თუ საბჭოთა რუსეთი გადაწყვეტდა კავკასიის ანექსიას, გაეწიათ ერთობლივი წინააღმდეგობა, რისთვისაც საქართველოს მხარეს დროებით სარგებლობისათვის უნდა დაეთმო თავისი ნავსადგურები. საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ასეთ შეთანხმებაზე კატეგირიული უარი განაცხადა.[1] მთავრობა სასურსათო კრიზისის დაძლევას იმედოვნებდა საკუთარი საშუალებებით, ამის საფუძველს იძლეოდა მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდის ტენდენცია. ალბათ, ამას გულისხმობდა მინისტრი ნ. ხომერიკი, როდესაც 1920 წლის ოქტომბერს თბილისში ოფიციალურ წრეებში განაცხადა „პური ვერსაიდან მივიღეთ, მაგრამ ადვილი მოსატანი რომ იყოს პური სადმედან, ჩვენ დღეს მისი შეძენის საშუალება მაინც არ გვაქვს, რაც უნდა ვეცადოთ, ჩვენ ვერ ვიშოვით იმ ათეულის მილიარდების ვალუტას, რომელიც საჭიროა ამდენი პურის შესაძენად, არ დავივიწყოთ, რომ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა ისეთია, რომ ნებას არ გვაძლევს სხვა ქვეყნების პურით ვირჩინოთ თავი. ეს შეუძლია სამრეწველო ქვეყანას, რომელსაც უცხოეთში გააქვს დამზადებული საქონელი და კაპიტალი, მაგრამ არ შეუძლია საქართველოს, რომელიც თვითონვე საჭიროებს მერწველობის პროდუქტებსაც და კაპიტალსაც, ამიტომ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პოლიტიკა სავსებით მიმართული უნდა იყოს საკუთარი საყოფი პურის დამუშავებისაკენ“-ო.[2] მაგრამ სულ მალე — ახალი მოსავლის აღებამდე გამოირკვა, რომ თბილისის საწყობებში ერთი-ორი დღის პურის მარაგი იყო დარჩენილი. ასეთ ეკონომიკურ კრიზისის პირობებში მოხდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია.

---

[1] საქართველოს ცსია, ფონდი 1864, ანაწ. 1, საქ. 19, ფურც. 10-11.

[2] გაზ. „ერთობა“, 1920 წ., №237.

თავი მეორე

პურსაცხობი მრეწველობა საბჭოურ ხელისუფლების პირველ წლებში

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ანექსიის შედეგად საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება რევოლუციური კომიტეტების საშუალებით დაიწყო, რომელნიც ერთი წლის მანძილზე ასრულებდნენ საბჭოების ფუნქციებს. რევოლუციურმა კომიტეტებმა არ დააყოვნეს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებისათვის მთელი რიგი შესაბამისი დეკრეტების გატარება.

საქართველოში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები იმთავითვე საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური პარტიისა და პირადად ვ. ი. ლენინის მითითებებით სრულდებოდა, რაც გულისხმობდა სახელმწიფო მმართველობის ისეთი მბრძანებლურ-ბიუროკრატიული აპარატის შექმნას, როგორც ეს იყო დამკვიდრებული საბჭოთა რუსეთში და გულისხმობდა საქართველოს სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებას, თუმცა ოფიციალურად საქართველო აღიარებული იყო, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.

საქართველოს რევკომის 1921 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.[1] ამ ახლად შექმნილ ორგანოს დაევალა რესპუბლიკის ერთიანი სამეურნეო გეგმის შედგენა და მასთან დაკავშირებით მრეწველობის წარმართვა გეგმურ საწყისებზე. სმუს უწინარესად დაევასა სამრეწველო საწარმოთა და მათი მეურნეობრივი საქმიანობის ყოველმხრივი შესწავლა, რათა დაგროვილ მასალათა ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულიყო მრეწველობის ნაციონალიზაციის ხასიათი, განვითარების ტემპები და ფორმები.

საქართველოში მრეწველობის ნაციონალიზაციის განხორციელება საბჭოთა რუსეთთან შედარებით დიდ სიძნელეებთან იყო დაკავ-

---

[1] Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921-март 1922), Сб. Документов и материалов, составитель И. Ахалая, I, 1963, с. 197

შირებული ვინაიდან საქართველოში მრეწველობა საერთოდ მეტად იყო ჩამორჩენილი, მრეწველობაში ჭარბობდა წვრილი საწარმოთა რაოდენობა. მრეწველობის არათანაბარი ტერიტორიული გაადგილების გამო სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა ისე, როგორც მეფის ხელისუფლების დროს, თავმოყრილი იყო თბილისში. ამიტომ რევოლუციური კომიტეტის უმნიშვნელოვანეს აქტს წარმოადგენდა მიწისა და მრეწველობის ნაციონალიზაციის განხორციელება, რაც გატარდა საქართველოს ოკუპაციის პირველ თვეებში. 1921 წლის 8 აპრილის დეკრეტით რესპუბლიკის მთელი მიწები გამოცხადდა მშრომელი გლეხობის საკუთრებად, აიკრძალა მიწის გაყიდვა და გასხვისება. ჩატარდა მსხვილი მემამულეების, ეკლესიებისა და მონასტრების კუთვნილი მიწების კონფისკაცია. 1921 წლის 1 ივნისს გატარდა ნაციონალიზაცია ტყავის, თამბაქოს და კვების მრეწველობის ზოგიერთი საწარმოების, 5 ივნისს — პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოების, 16 ივნისს — ელექტროსადგურების (არანაკლებ 20 ცხ. ძ. სიმძლავრის).[1] 13 ივნისის დეკრეტით გამოცხადდა მომპოვებელი და დამმუშავებელი მრეწველობის ნაციონალიზაცია, რომლის მიხედვით მთელი რიგი საშუალო და მსხვილი საწარმოები ცხადდებოდა სახელმწიფო საკუთრებად, მაგრამ ზოგიერთი საწარმო, მაგალითად, კოოპერაციისა და უცხოეთის კაპიტალისტების სარგებლობაში მყოფი საწარმოებზე დეკრეტი არ ვრცელდებოდა.[2] რევკომის დეკრეტებით ნაციონალიზებული იქნა აგრეთვე რკინიგზა, სავაჭრო ფლოტი, კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვა.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით ნაციონალიზაციას დაექვემდებარა 16 დამმუშავებელი მრეწველობის საწარმო, დანარჩენი დარჩა კერძო მეპატრონეთა განკარგულებაში ან (განსაკუთრებით წვრილი, უმოქმედო საწარმოები) ჩაირიცხა საიჯარო ფონდში.

სრულიად საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პირველი ყრილობის (1921 წ. ოქტომბერი) რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკის წვრილ კუსტარულ მრეწველობას შეუძლია მოუტანოს გარკვეული სარგებლობა მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვან მოთხოვნილებათა ნაწილობრივ დაკმაყოფილების

---

[1] საქართველოს უიცისა, ფონდი 281, საქ. 223, ფურც. 42, 43, 217-222.

[2] ჟურ. „საქართველოს მოამბე", 1956 წ. №9, გვ. 283.

საქმეში, ამიტომ არა წინააღმდეგობით წვრილი მრეწველობისადმი, არამედ მისდამი მხარდაჭერით, ზოგ შემთხვევაში ნედლეულის, მომარაგებითაც კი, უნდა წარმართულიყო მისი მოღვაწეობა მსხვილი მრეწველობის აღდგენა-განვითარების ინტერესებისათვის.[1]

1921 წლის მონაცემებით ყველაზე მსხვილი საწარმოებიდან ნაციონალიზაციას დაექვემდებარა 86 პროცენტი, ხოლო 39 პროცენტი ეკუთვნოდა კერძო პირებს. წარმოების ჯგუფების მიხედვით მსხვილი ნაციონალიზირებული საწარმოები შეადგენდა: მოპოვებითი მრეწველობის 79 პროცენტს, დამმუშავებელი 28 პროცენტს, ტრანსპორტის 91 პროცენტს, ვაჭრობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა 73 პროცენტს. კერძო საწარმოები კი ყველაზე მეტი იყო: სამკერვალო მრეწველობაში 91 პროცენტი, კვების 86 პროცენტი, ტყავის – 81 პროცენტი, სამთო 76 პროცენტი, ქიმიური 66 პროცენტი, თამბაქოს 66 პროცენტი.[2]

სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო მრეწველობას რომ უფრო მეტი ხვედრითი წონა ჰქონებოდა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად ზოგიერთი საწარმოები გაერთიანდა ტრესტებში, რომლებიც იმყოფებოდა საქართველოს სმუს დაქვემდებარებაში. კვების მრეწველობიდან შეიქმნა მხოლოდ ორი ტრესტი – ღვინისა და თამბაქოს.

საქართველოს სმუს-ის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, კერძოდ: საწარმოთა კონცენტრაციის გაუმჯობესებამ და მათი სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ, სათბობისა და ნედლეულის გეგმაზომიერმა განაწილებამ, ნაწილობრივ მუშათა ხელფასის რეგულირებამ, სამრეწველო კანონმდებლობის შემუშავებამ და მუშახელით საწარმოების უზრუნველყოფამ, საგრძნობლად შეუწყვეს ხელი მრეწველობის გამოცოცხლებას. მაგრამ მრეწველობის შემდგომ განვითარებას მაინც შეუძლებლად მიიჩნევდნენ მძიმე მრეწველობის განვითარების გარეშე. რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, მათი განვითარების დაბალი დონე, ვერ უზრუნველყოფდნენ საკუთარი ძალებით მანქანური მრეწველობის შექმნა-განვითარებას. ამიტომ, მის განხორციელებას იმედოვნედნენ საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით, მაგრამ რუსეთის მრეწველობა ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი. შექმნილი ვითარება თავისი

---

1 გაზ. „Правда Грузии“ 1921 წ. 12 ოქტომბერი.

2 А. Л. Гуния, Воспроизводство рабочей силы в промышленности... с.125.

მხრივ აჩქარებდა ლენინური იდეის – ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის რეალიზაციას, რაც ფაქტიურად ნიშნავდა სუვერენული სახელმწიფოს უფლებათა მკვეთრად შეზღუდვას. ამ მიმართულებით 1921 წელსვე უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებით, მაგრამ მას დასრულებული სახე არ მიუღია. 1922 წლის დეკემბრის დასაწყისში შეიქმნა ჯერ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა,[1] ხოლო იმავე თვის დამლევს ყველა საბჭოთა რესპუბლიკები ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანდა. თუმცა საქართველომ ფაქტიურად დაკარგა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ ეტაპზე, ეკონომიკური ინტეგრაცია რუსეთსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, აჩქარებდა სახალხო მეურნეობის აღდგენას და მის შემდგომ განვითარებას.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია ქართველი ხალხის უმრავლესობამ უარყოფითად მიიღო, ე. წ. სოციალისტურმა გარდაქმნებმა კიდევ უფრო გაამწვავა მასების უკმაყოფილება. რუსეთის მეთერთმეტე არმიისა და სხვა საჯარისო შენაერთების დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო საქართველოში და მათ შემცირებას ან გაყვანას რუსეთი არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად.

ევროპის ქვეყნების დემოკრატიული ძალები პროტესტს უცხადებდნენ საბჭოთა რუსეთს საქართველოსა და ამიერკავკასიის ანექსიის გამო. რუსეთის მთავრობა მოითხოვდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან გაეშალათ ფართო პროპაგანდა ანექსიის უარყოფის შესახებ, მაგრამ, როგორც ადგილობრივ მასებში ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში იგი ვერ პოვებდა მხარდაჭერას. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საქართველოში მყოფი რუსი ჯარების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს მოსახლეობას. გააქტიურდა პოლიტიკური ბრძოლა ძალით დამყარებული ხელისუფლების წინააღმეგ.[2] ასეთ პირობებში საბჭოთა რუსეთი იძულებული შეიქმნა თავის მოშიმშილე რეგიონების მოსახლეობისათვის დაეკლო პური და გამოეგზავნა საქართველოში. საბჭოური ისტორიოგრაფია ამ აქტს ხსნის როგორც რუსეთის მხრივ საქართველოსადმი ჰუმანურ, უანგარო დახმარებად, მაგ-

---

[1] Первый Закавказский съезд Советом, стенограф. очест. т. I, 1933, с.129

[2] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 262, 264

რამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს ინიციატივა უპირატესად გამოწვეული იყო პოლიტიკური მოტივებით. 1921 წლის მარტიდან დაწყებული ოქტომბრამდე რესპუბლიკამ რუსეთიდან მიიღო ხორბალი 107672 ფ. პურის ფქვილი 13533 ფ., სიმინდის ფქვილი 13367 ფ., სიმინდი 68507 ფ., სულ პურის პროდუქტები – 233666 ფ.[1]

1921-1922 წლების მანძილზე საბჭოთა რუსეთმა საქართველოში გამოგზავნა 950 ათას ფუთზე მეტი პური. გარდა ამისა რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1921 წლის 21 მაისის დადგენილებით საქართველოსათვის გამოიყო 5 მლნ მანეთი ოქროთი.[2] ეს სახსრები უნდა გამოყენებულიყო პურისა და სხვა სურსათის შესასყიდად. გადაწყდა ისიც, რომ ამიერკავკასიაში მყოფი შეიარაღებული ძალები, რკინიგზის ტრანსპორტი, საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები პურს მიიღებდნენ ცენტრალიზებული წესით. მაგრამ ცხადია, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენა და სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უწინარესად თვით საქართველოს მშრომელ მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა. 1921 წ. მარტში რუსეთში მიღებული ახალი ეკონომკური პოლიტიკის კურსი ვრცელდებოდა საქართველოზეც. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მისი რეალიზაციის მიზნით საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 25 ივლისის დეკრეტით დაისახა მთელი რიგი ღონისძიება პურის ნატურალური გადასახადის დაწესების შესახებ. როგორც დეკრეტშია აღნიშნული, მის მიზანს შეადგენდა პურის სააღებ-მიცემო საქმის სახელმწიფოებრივ დონეზე დაყენება და მოწესრიგება, პურის სპეკულაციის მოსპობა. პურის გადასახადის რაოდენობა წელიწადში განისაზღვრა – 1 მლნ. ფუთი ხორბალი, თითოეულ გლეხურ მეურნეობაში მჭამელთა რიცხვისა და ადგილის მოსავლიანობის მიხედვით, რაც თორმეტი კატეგორიით განისაზღვრებოდა. თითოეული ცალკე მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობა უნდა გადაეწყვიტა სამაზრო ნატრალური გადასახადის კომისიას. გადაამხდელებს წილი გადასახადი თავისი საშუალებებით უნდა მიეტანათ მისაღებ პუნქტებში, დამამზადებელ კანტორებში, კოოპერატივების საწყობებში და სხვ. დეკრეტის შესრულება ევალებოდა რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარი-

---

[1] ბექირბი ხასია, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[2] Газ. "Заря Востока", 1923, 26 января

ატს. პურის, ქერისა და შვრიის გადასახადის ჩაბარება უნდა დამთავრებულიყო არა უგვიანეს 1921 წლის 1 ოქტომბერს, ხოლო დანარჩენი პროდუქტები არა უგვიანეს იმავე წელს 15 დეკემბრისა.[1]

როგორც რესპუბლიკაში დამზადების გზით მიღებული, ისე მის ფარგლებს გარედან შემოზიდული პური ჰქმნიდა სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფ მარცვლეულის ფონდს და იგი მოთხოვნილების შესაბამისად ნაწილდებოდა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, უპირატესად კოოპერატიულ გაერთიანებისა და „ცეკავშირის" ხაზით. მარცვლეულის გაყიდვა წარმოებდა აგრეთვე კერძო პირების მიერ, მაგრამ მათი საბაზრო ფასი გაცილებით მაღალი იყო ვიდრე სახელმწიფოსი.

საბჭოთა მთავრობა წამოჭრილ ეკონომიკურ სიძნელეების გამო ყოველმხრივ ცდილობდა მარცვლეულით ვაჭრობის გაფართოვებას ევროპის ქვეყნებთან. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება ეკისრებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების, განსაკუთრებით საქართველოს და მის საზღვაო ნავსადგურებს. საკავშირო მთავრობის კომისიის მიერ დამტკიცებული იქნა სამეურნეო და სახელმწიფო ორგანიზაციების სია, რომლებსაც მიეცათ უფლება საზღვარგარეთ ბაზარზე გასვლისა. როგორც სასურსათო სახალხო კომისრის — კრასინის ხელმოწერილ დოკუმენტიდან ჩანს (1923 წ. 1 მარტი) დაუყოვნებლივ უნდა შექმნილიყო მომავალი წლის კამპანიისათვის პურეულის საექსპორტო ორგანიზაცია, ევროპის ქვეყნების ქალაქებში (ლონდონი, ბერლინი, კილი, ჰელსინფორსი, სტოკჰოლმი) კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობებთან. სიაში აღნიშნულ მთელ რიგ ორგანიზაციებს შორის დასახელებულია საკავშირო საშინაო ვაჭრობის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოც.[2]

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პურითა და სხვა სურსათით მომარაგების გაუმჯობესებისა და ამიერკავკასიის ფულის ნიშნების სტაბილიზაციის ხელის შეწყობის მიზნით შეიქმნა ამიერკავკასიის „პურპროდუქტების" სამმართველო, რომლის მოქმედების დებულება დამტკიცებული იქნა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის აპრილს.[3] დებულების მიხედვით ახლადშექმნილი

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 281, საქ. 114, ფურც. 7.
[2] საქართველოს უიცსა, ფონდი 617, ანაწ. 1, საქ. 3, ფ. 17.
[3] იქვე, საქ. 46, ფ. 78.

სამმართველო არ უნდა შეზღუდულიყო მხოლოდ გადასახადების აკრეფით, მომარაგების გეგმის შესრულებით, მის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა მარცვლეულისა და სხვა სასურსათო პროდუქტების დამზადება და ვაჭრობა, როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ. „პურპროდუქტების“ დამამზადებელ აპარატს თავის ყოველდღიური საქმიანობა ისე უნდა წარემართა, რომ არ გამოდევნებოდა მაღალ მოგების მიღებას. ყოველ ოპერაციის შესრულების დროს მხედველობაში უნდა მიღებულიყო სახელმწიფო-სამეურნეო ინტერესების შესაბამისი მიდგომა, რომ ოპერაციები უნდა ეწარმოებინათ უპიატესად მსხვილი მასშტაბით, ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე.[1]

„პურპროდუქტების“ დასახული გეგმის განხორციელება ბევრად იყო დამოკიდებული კოოპერაციული ორგანიზაციების მოქნილ მუშაობაზე, ვინაიდან ოპერაციების მოცულობის ზრდის კვალობაზე შესაძლებელი გახდებოდა თანდათანობით პურის ფასების რეალურ ღირებულებამდე დაწევა, რადგან ეს აიძულებდა კერძო ბაზარს ანგარიში გაეწია ფასებისათვის. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო სათანადო საწყობების გამართვა და მარცვლეულის ფონდის დაგროვება.

მრძანებლურ-ბიუროკრატიული მართვის სისტემის გამო მეტად გართულდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ქალაქებში (თბილისი, ბაქო, ერევანი) ამიერკავკასიის „პურპროდუქტების“ განყოფილებების გახსნა და მათთვის სათანადო საწყობებისა და მაღაზიების გამოყოფა, ეს კი უნდა მომხდარიყო სხვადასხვა ორგანიზაციების წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. მის დაჩქარებისათვის საგანგებოდ გამოყოფილმა კომისიამ მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო ამ ღონისძიებათა განხორციელება.

ამიერკავკასიის მთავრობის გადაწყვეტილებით მარცვლეულის ფონდისათვის თვითოეულ რესპუბლიკას უნდა გამოეყო 350 ათასი ფუთი მარცვლეული, მათ შორის საქართველოს – 150 ათასი ფუთი, აზერბაიჯანს – 100 ათასი, ხოლო სომხეთს – 100 ათასი ამ რესპუბლიკების არსებულ მარაგიდან შესაძლებელი გახდა აზერბაიჯანიდან 136 ათასი ფუთი ხორბლის და საქართველოდან მხოლოდ 70 ათასი ფუთი სიმინდის მიღება, სომხეთმა ვერ შესძლო მარცვლეულის გამოყოფა. ნაწილი ამ ფონდიდან გაიგზავნა სტიქიისაგან დაზა-

---

[1] იქვე, საქ. 46, ფ. 79.

რალებულ (მდ. მტკვრის ადიდების გამო) აზერბაიჯანელ და საქართველოში – გორის მაზრის გლეხობას.[1]

საქართველოში მოყვანილი 60 ათასი ფუთი სიმინდი, რომელიც უნდა გაეტანათ ფოთის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ, სიმინდზე გადასახადის გადიდების გამო ვერ მოხერხდა მისი გაგზავნა მარსელში (საფრანგეთი).[2] სიმინდი ზაფხულის სიცხეების გამო, რომ არ გაფუჭებულიყო, გადაწყდა ადგილზე გაყიდვა, მაგრამ თვით გლეხობას აღმოაჩნდა სიმინდის დიდი მარაგი, ამიტომ იგი გადაეცა წარმოებას სპირტის გამოსახდელად.

როგორც დავინახეთ უკვე 1923 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა წინა წლებთან შედარებით სიმინდის ნაკლებობას არ განიცდიდა. თავისუფალ ბაზარზე მარცვლეულის ფასმა მკვეთრად დაიკლო, ერთი ფუთი სიმინდი ძლივს იყიდებოდა 30 კაპიკად, „ცეკავშირი" კი გლეხობისაგან ყიდულობდა 50 კაპიკად, მაგრამ ფასები სამრეწველო საქონელზე საგრძნობლად მატულობდა.[3] ასეთ პირობებში გლეხობისათვის არ იყო ხელსაყრელი სამრეწველო საქონელი შეძენა, შეფერხდა სამრეწველო საქონლის გაყიდვა, ირღვეოდა ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი, რასაც მოჰყვა მთელი რიგი სიძნელეები, უფრო მეტად, რომ გაფართოებულიყო სახელმწიფო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირურთიერთობა, დიდი როლის შესრულება ეკისრებოდა კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ზომების შედეგად 1923 წლის 1 დეკემბრიდან 1924 წლის იანვრამდე სამრეწველო საქონლის ფასებმა დაიკლო 37 პროცენტიდან 53 პროცენტამდე.[4] მაგრამ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის პროდუქციაზე ფასები მაინც არ იყო სტაბილური. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჯერ კიდევ 1922 წლის დამლევს რუსეთმა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ფულის მტკიცე კურსის შენარჩუნების, საქონლისა და ვალუტის ინვესტიციის მიზნით გამოუყო 1,5 მლნ ფუთი

---

[1] იქვე, ფ. 80, 81.

[2] იქვე, საქ. 46, ფ. 82.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VII, თბ., 1976, გვ. 180.

[4] „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", თბ., 1954, ნაწ. I, გვ. 901.

პური, სამრეწველო პროდუქცია და 10 მლნ მანეთი ოქროთი,[1] მაგრამ 1923 წლის მარტისათვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ 700 ათასი ფუთი ხორბლის ფქვილის მიღება დანარჩენი ფქვილის შემოტანა იკისრა ამიერკავკასიის „პურპროდუქტების“ სამმართველომ, მაგრამ ნაცვლად 800 ათასისა მიღებული იქნა 700 ათასი ფუთი თეთრი ფქვილი. მისი რეალიზაციის პუნქტებში მიტანით დაიხარჯა 4230 ჩერვონეცი და 11 257 976 ათასი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით. იმავე წლის აპრილს საქართველოში მიღებულ პურიდან 15 ვაგონი ფქვილი განაწილდა ქუთაისის რაიკავშირზე, ჭიათურისა და ბათუმის მუშკოპზე. ივლისში კი მიიღეს 85 ათასი ფუთი ფქვილი, რომელიც განაწილდა თბილისის მუშკოპებზე იმ პირობით, რომ იგი უნდა გაყიდულიყო მუშკოპის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით, რათა მას მოეხდინა გავლენა პურის ფასის რეგულირებაზე.[2]

1923 წლის მოსავლიდან შესაძლებელი გახდა „ცეკავშირის“ გამგეობას შეესყიდა გლეხობისაგან 1,5 მლნ ფუთი სიმინდის ნამატი პროდუქცია და იგი ხერლსაყრელ ფასებში გატანილი იქნა საზღვარგარეთ.[3]

გასულ წლებთან შედარებით, გასაღების პროცესის მოწესრიგების შედეგად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების თავისუფალ ბაზარზე პურის ფასმა დაიკლო. 1924 წლის ნოემბრის მონაცემებით ერთი ფუთი ხორბლის საშუალო ფასი შეადგენდა (1924 წლის ფასებით) 2 მან. და 5 კაპ. ფქვილის 2 მან. და 7 კაპ., ყუბანიდან შემოტანილ ფქვილის — 3 მან. და 31 კაპ., სიმინდის 1 მან. და 01 კაპ.

საქართველოს ქალაქებში კი ხორლისა და სიმინდის ფასი შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 2).

---

[1] იქვე, გვ. 167-168.

[2] საქართველოს უიცსა, ფონდი 617, ანაწ. 1, საქ. 46, ფ. 82, 83.

[3] იქვე, ფონდი 38, ფ. 29, საქ. 67, ფ. 2.

ცხრილი 2

ხორლისა, ხორბლის ფქვილისა და სიმინდის ღირებულება საქართველოს ქალაქებში (ფუთობით)[1]

ქალაქებ დასახელება	ადგილობრივი ხორბალი	ადგილობრივი ხორბლის ფქვილი	ყობანიდან შემოტანილი ფქვილი	სიმინდი
თბილისი	2-00	2-40	2-35	1-50
გორი	1-80	2-00	3-60	0-80
ჭიათურა	2-00	2-50	5-50	1-40
სოხუმი	1-80	2-20	3-60	1-50
დანარჩენ 17 ქალაქში საშუალოდ	1-75	2-10	3-10	1-01

ხორბლის, ხორბლის ფქვილისა და სიმინდის ღირებულების განსხვავება, რაც შეინიშნება ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან დამოკიდებული იყო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდაზე, ფქვილსაფქვავი საწარმოთა არათანაბარ ტერიტორიულ გადაადგილებაზე და ბაზრის კონიუნქტურაზე.

1923-1924 წწ. ამიერკავკასიაში განხორციელებული ფულადი რეფორმების, პურის ფასების რეგულირებისა და სამრეწველო პროდუქციის ფასების დაკლების გზით შესაძლებელი გახდა თანდათანობით სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების დაახლოება.

ამ ეტაპზე, პურის დამზადებისა და ვაჭრობის ადრინდელი სისტემა ვერ ამართლებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ეს უფრო თვალსაჩინო გახდა, როდესაც საქართველოში შემოღებულმა სასურსათო-ნატურალურმა გადასახადმა ვერ გაამართლა და, საჭირო გახდა მისი შეცვლა პროგრესულ-საშემოსავლო, საკომლო და სხვა

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 632, ანაწ. 1, საქ. 35, ფ. 47.

ადგილობრივი ხასიათის გადასახადებით. გარდა ამისა, მთლიანად ყოფილ სსრ კავშირში პურფურაჟის წარმოება, დამზადება, გადამუშავება და მისი საბოლოო რეალიზაცია დაქვემდებარებული იყო მრავალ საუწყებო ორგანიზაციაზე. ეს ართულებდა პურსაცხობი მრეწველობისა და ფქვილ-საფქვავი მრეწველობის განვითარებას და მასთან დაკავშირებით ხალხთა მატერიალურ კეთილდღეობის ამაღლებას. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1925 წლის გადაწყვეტილებით, შინაგან ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა „პურის კომიტეტი". რომლის ამოცანას შეადგენდა პურის ვაჭრობის მოწესრიგება და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა, პურის ბაზრის მდგომარეობის შესწავლა, ფქვილსაფქვავი მრეწველობის დახმარებისათვის ღონისძიებების შემუშავება და დაფქვილი პროდუქციის სტანდარტების დადგენა. პურის (მათ შორის გამომცხვარის) ფასების რეგულირება, ტრანსპორტირებისა და საწყობებში შენახვის გეგმების შედგენა.[1] ასეთი ღონისძიებების განხორციელება ითვალისწინებდა სახელმწიფო სექტორის საქონელბრუნვისათვის მტკიცე ბაზრის შექმნას, მის შემდგომ გეგმაზომიერ განვითარებას და პურის ვაჭრობის სფეროდან კერძო კაპიტალის თანდათანობით განდევნას.

პურით ვაჭრობის მოწესრიგებასთან ერთად გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა მარცვლეულის გადამმუშავებელი და პურსაცხობი მრეწველობის აღდგენა-განვითარება და მათი წარმართვა „სოციალისტური" განვითარების გზით. ამის საფუძველს იძლეოდა ისიც, რომ უკვე 1925 წლის დამლევისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მთლიანმა მოსავალმა უკვე მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო მარცვლეულის დარგში 16,45 პროცენტით გადააჭარბა კიდეც.[2] თუმცა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზით განვითარება მოითხოვდა ბუნებრივი და კლიმატური პირობების შესაბამისად ხორბლეულისა და სიმინდის კულტურის შეცვლას ძვირფასი კულტურებით. ამიტომ, რესპუბლიკის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფა უნდა განხორციელებულიყო მისი გარედან შემოტანის საშუალებით.

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 700, ანაწ. 1, საქ. 91, ფ. 97.

[2] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967. პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, გვ. 154.

ამიერკავკასიის სტატისტიკური სამმართველოს არაზუსტი გაანგარიშებით საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 2448 ათას კაცს, მათ შორის დიდი ქალაქებისა 339 ათას, პატარა ქალაქების — 168 ათას, სოფლის მოსახლეობის — 1946 ათას კაცს.[1] მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად პურზე მოთხოვნა შეადგენდა: დიდ ქალაქებში — 10 ფუთს, პატარა ქალაქებში — 12 ფუთს, სოფლად — 18 ფუთს, ხოლო მთლიანად რესპუბლიკის მოსახლეობაზე — 38600 ათას ფუთს.

1926 წელს რესპუბლიკაში მიღებული უნდა ყოფილიყო მარცვლეულის მოსავალი შემდეგ რაოდენობით: ხორბალი 7522 ათასი ფუთი, ქერი — 4177 ათასი ფუთი, სიმინდი 27677 ათასი ფუთი, სულ პურპროდუქტი — 39378 ათასი ფუთი.

ნათესი ფართობის მოსავლიანობისა და სათესლე მოთხოვნილების შეფარდების გათვალისწინებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დეფიციტი პურზე განისაზღვრა 13 მლნ. 500 ათასი ფუთი. პურის მთავარ მომხმარებელს წარმოადგენდა ბაქო და თბილისი, პირველი მოიხმარდა 320 ათას ფუთს თვეში, ანუ წელიწადში 4 მლნ. ფუთს, მეორე — 250 ათას ფუთს, ანუ წელიწადში 3 მლნ. ფუთს. ამრიგად, შემოტანილი პურის თითქმის 50 პროცენტი უნდა მოხმარებოდა დასახელებულ ორ ქალაქს, დანარჩენი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სხვა ქალაქებსა და რაიონებს. მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების პურით უზრუნველყოფისათვის ფაქტიურად განსაზღვრული იქნა 11,5 მლნ. ფუთი პურის შემოტანა, აქედან აზერბაიჯანი მიიღებდა — 6000 ათას ფუთ პურს, საქართველო — 3500 ათას და სომხეთი — 2000 ათას ფუთ პურს.[2] მარცვლეულის შემოზიდვა დაეკისრა „პურპროდუქტსა“ და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს, შედგა მისი შე-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 619, ანაწ. 1, საქ. 483, ფ. 12.

[2] შემოტანილი პურის საერთო რაოდენობიდან, უნდა გამოყოფილიყო 2 მლნ. ფუთი მებამბეობის რაიონების მომარაგებისათვის, რაც ნაწილდებოდა ცალკეული რესპუბლიკებს შორის, აქედან საქართველოს წილი 50 ათას ფუთს შეადგენდა. გარდა ამისა ხორბლის ფქვილი ცალკე გამოეყო აგრეთვე სამხედრო ნაწილებისა და სახელმწიფო მომარაგებისათვის, მაგრამ მათი რაოდენობა მასალებში არ ჩანს. ცენტრის მიერ პურის განაწილების რეგულირებით არ იკრძალებოდა კერძო პირებისა და ორგანიზაციების ინიციატივით რესპუბლიკაში მარცვლეულის შემოტანა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მარცვლეულის დეფიციტის დაფარვისათვის.

მოზიდვის გრაფიკი და განისაზღვრა ცალკეულ რესპუბლიკების მიხედვით კრედიტის მოცულობა. გეგმური საწყისებზე გადაყვანით დაედო საზღვარი ამიერკავკასიის რესპუბლიკების პურით მომარაგების სტიქიურობას და ბაზრის დამოკიდებულებას კერძო პირებზე. უკვე 1925 წელს დამდეგისათვის უმთავრესად მუშათა კოოპერაციული ორგანიზაციების პურსაცხობი საწარმოები აკმაყოფილებდა დიდ ქალაქებში მცხოვრებთა მოთხოვნილებას 70 პროცენტით, ხოლო პერიფერიას 30 პროცენტით.[1]

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირობებში წისქვილების ნაციონალიზაცია, როგორც წვრილი და ნაკლებად რენტაბელური საწარმოებისა არ განხორციელებულა, მათი უმრავლესობა დარჩა კერძო პირების ხელში, მცირე ნაწილი კი გაიცა მოიჯარადეებზე, მაგრამ მარცვლეულის ნაკლებობის გამო წისქვილები არ იყვნენ დატვირთულები, ან უქმად იდგნენ. ამიტომ მთავრობის გადაწყვეტილებით წისქვილებზე გადასახადი გაუქმდა.

ამიერკავკასიის სტატისტიკური სამმართველოს 1924-1925 წწ. მონაცემებით საქართველოს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებაში მოქმედებდა 46 შედარებით მსხვილი წისქვილი, სადაც დასაქმებული იყო 70 მუშა. მათი მთლიანი პროდუქციის ღირებულება წელიწადში 972020 მანეთს შეადგენდა.[2]

მარცვლეულის გადამმუშავებელი საწარმოთა დაბალი ტექნიკური დონე ვერ უზრუნველყოფდა მარცვლეულის გადამუშავებას, მაღალი იყო დაწესებული სამინდო მოსაკრებელი, ხოლო წარმოებული ფქვილი უხარისხო, ამიტომ უკეთესად იყო მიჩნეული რუსეთიდან და უკრაინიდან პურის დაფქვილი სახით მიღება, სადაც მძლავრი და შედარებით მაღალ ტექნიკურ დონეზე აღჭურვილი ელევატორები გააჩნდათ (მაგ. ნოვოროსიისკი), გარდა ამისა გარედან შემოტანილი ხორბლის ტრანსპორტირება და მისი საწყობებში მოთავსება იწვევდა საგრძნობ დანაკარგს. ამიტომ იყო, რომ პურის შემოზიდვა წარმოებდა, ისე როგორც უწინ, შავი ზღვით — ფოთის ნავსადგურში, ხოლო რკინიგზით — ბაქომდე, სადაც უფრო მძლავრი წისქვილები და სათანადო საწყობები გააჩნდათ, აქედან ფქვილი რკინიგზით თბილისში იგზავნებოდა.

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 617, ანაწ. 1, საქ. 483, ფ. 21, 22, 23.
[2] იქვე, ფონდი 632, ანაწ. 1, საქ. 52, ფ. 5.

მარცვლეულის გადამმუშავებელი საწარმოთა უმნიშვნელო წარმოებრივი სიმძლავრე, მათი ტექნიკური აღჭურვილობის დონე მოითხოვდა ახალი ტექნიკით შეიარაღებას და გადაყვანას გეგმურ მუშაობაზე. ეს ამოცანა უნდა გადაწყვეტილიყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დროს, რომლის განხორციელების კურსი აღებული იქნა 1925 წ. დეკემბრის დამლევს.

მარცვლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა ახალი ტექნიკით აღჭურვა თავის მხრივ მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა რესპუბლიკის პურსაცხობი მრეწველობის დაჩქარებით განვითარებას.

როგორც ზემოთ ითქვა საქართველოში გამოცხადდა კერძო ვაჭართა და კერძო სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციათა ნაციონალიზაცია, მაგრამ 1921 წლის ზაფხულიდან ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კურსის აღებასთან დაკავშირებით წვრილი სავაჭრო ორგანიზაციები, ასევე წვრილი კუსტარული საწარმოები და მათ შორის პურსაცხობები დაუბრუნდათ კერძო მეპატრონეებს, ხოლო შედარებით მსხვილი გადაეცათ კოოპერაციულ სავაჭრო ორგანიზაციებს: საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას და გაერთიანებულ მუშათა კოოპერაციას. ეს ორგანიზაციები დიდ როლს ასრულებდნენ ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის, სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების დაახლოების მიმართულებით.

„ცეკავშირს“ როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო ორგანიზაციას, დაკისრებული ჰქონდა აგრეთვე სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა პურველი მოთხოვნილების საგნებით და მათ შორის გამომცხვარი პურით, ამიტომ მას ევალებოდა სოფლად პურსაცხობი საწარმოების ფართო ქსელის შექმნა, რასაც იგი თანდათანობით ანხორციელებდა. თუ 1924 წლისათვის სამომხმარებლო კოოპერაციაში ითვლებოდა 500 სავაჭრო დუქანი, 1925 წლისათვის მათი რიცხვი გაიზრდა 871-მდე, ხოლო შესაბამის წლებში საქონელბრუნვა გაიზარდა 21509000 მან-დან 45760000 მანეთამდე.

ზოგიერთ დუქნებში იყიდებოდა სურსათ-სანოვაგე და ცხადია, მათ შორის გამომცხვარი პურიც, რომელსაც იღებდნენ „ცეკავშირის“ პურსაცხობებიდან. დაბალი რენტაბელობის გამო მათი ხვედრითი წონა მთლიან საქონელბრუნვაში ჯერ კიდევ არ იყო მნიშვნელოვანი.

ამ დროისათვის გამომცხვარი პურის წარმოება უფრო მეტად „მუშკოპების“ საშუალებით ხდებოდა, ყველაზე მსხვილ ორგანიზაციას თბილისის „მუშკოპი“ წარმოადგენდა. მისი მოქმედების სფერო ვრცელდებოდა თბილისსა და მის მიმდებარე რაიონებზე (სართიჭალა, მარტყოფი, ნორიო, გარდაბანი და მათთან დაკავშირებული სოფლები) მის გამგებლობაში მყოფი საწარმოები უმთავრესად აწარმოებდნენ პურის ცხობას და ყველის გამოყვანას, მაგრამ ყველაზე მეტად წინაურდებოდა პურსაცხობი წარმოება.

თბილისის „მუშკოპს“ 1923-1924 წწ. ეკუთვნოდა 61 საწარმო. აქედან 4 დიდი, 24 საშუალო და 33 წვრილი. 1925 წლის დამდეგისათვის მათ საერთო რიცხვი გაიზარდა 118-მდე, მათ შორის 4 დიდი, 24 საშუალო და 90 წვრილი. როგორც დავინახეთ სწრაფად იზრდება წვრილი პურსაცხობ საწარმოთა რაოდენობა, რაც დაკავშირებული იყო პროფესიულ პურისმცხობლთა სამუშაოზე მიზიდვასა და სოფლის მოსახლეობის გამომცხვარი პურით უზრუნველყოფასთან. აღნიშნულმა საწარმოებმა 1923-1924 წწ. გამოაცხო — 447 961 ფუთი პური, ხოლო 1925 წ. პირველ მეოთხედში 258 199 ფუთი.[1]

პურის ცხობის მოცულობის განუხრელი ზრდა დაკავშირებული იყო მეპაიეთა რაოდენობის გადიდებით, 1923-1925 წლების მანძილზე მათი რიცხვი გაიზარდა 12120-დან 19234 წევრამდე, რაც შეადგენდა ქ. თბილისის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ ორგანიზაციების (გარდა რკინიგზელების) 50 პროცენტს. თბილისის „მუშკობის“ პურსაცხობ საწარმოთა ზრდის შედეგად საგრძნობლად შევიწროვდნენ კერძო პურისმცხობელები. მისმა ხვედრითმა წონამ საქალაქო პურის ვაჭრობაში 55-60 პროცენტს მიაღწია.

ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის „მუშკოპს“ ეკუთვნოდა თბილისის ცენტრალური პურის ქარხანა და პერიფერიებში რამდენიმე წვრილი საწარმო. რესპუბლიკის ყველა სავაჭრო ორგანიზაციებთან შედარებით მსხვილი პურსაცხობები (იგულისხმება ფურნეები) თბილისის „მუშკოპის“ დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ, რაც 1924 წელს შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 600, ანაწ. 1, საქ. 296, ფ. 3.

№1 პურსაცხობი, მდებარეობდა ყოფ. ელისაბედის ქ. №113-ში მუშაობდა 37 კაცი, დღე-ღამეში ცხვებოდა 1000-მდე ფუთი პური.[1]

№2 პურსაცხობი, მდებარეობდა ყოფ. წისქვილის შეს. №2-ში, მუშაობდა 156 კაცი, მათ შორის 146 მუშა, დღე-ღამეში ცხვებოდა 600-800 ფუთი პური.[2]

ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის – „მუშკოპის" ცენტრალური პურსაცხობი, მდებარეობდა ყოფ. ჩერქეზოვის ქ. №18-ში, მუშაობდა 63 კაცი, მათ შორის 52 მუშა, დღე-ღამეში ცხვებოდა 600-700 ფუთი პური.[3]

საკონდიტრო ფაბრიკა აწარმოებდა ფუნთუშეულსა და ნამცხვარს, აგრეთვე საგალანტერიო პროდუქციას.[4]

ვინაიდან ყველა ზემოთდასახელებული საწარმო ექსპლუატაციაში გადაცემული იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში (1913-1918 წწ.) მათი ისედაც პრიმიტიული მოწყობილობა გაცვდა და მოძველდა. ფურნეების უმთავრეს მოწყობილობას შეადგენდა ორმხრივი ღუმელები, ცომსაზელის და საფუარის ვარცლები, წყლისა და საწვავის აუზები, ხელის საქაჩავები, ფრქვევანები, სასწორები და სხვ.

ოდნავ უკეთეს მდგომარეობას ვხვდებით მაკარონისა და ვერმიშელის ფაბრიკაში, რომელიც მდებარეობდა ორთაჭალაში (ყოფ. მნაცაკანოვის ქ. №26-ში) დღევანდელ კრწანისის რაიონში.

ფაბრიკა აღჭურვილი იყო ადგილობრივი და საზღვარგარეთული მექანიზირებული მანქანა-დანადგარებით, მაგრამ მათი უმრავლესობა მოცვდა და დაბალი იყო მათი მწარმოებლურობა. ფაბრიკა დღეში აწარმოებდა 400 ფუთ მაკარონსა და ვერმიშელს. 1923-1924 სამეურნეო წელს 20971 ფუთი უმაღლესი ხარისხის ფქვილისაგან დამზადებული იქნა 17567 ფუთი, აქედან 13176 ფუთი მაკარონი და 4391 ფუთი ვერმიშელი, სულ 141166 მანეთის ღირებულების. ფაბრიკაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რაოდენობა შედგენდა 33 კაცს, მათ შორის 30 მუშა.

---

[1] საქართველოს უიცსა, ანაწ. 1, საქ. 356, ფ. 1.
[2] იქვე, საქ. 357, ფ. 4, 11, 16.
[3] იქვე, საქ. 355, ფ. 16.
[4] იქვე, საქ. 357, ფ. 26.

ყველა მსხვილ პურსაცხობებში, გარდა მაკარონისა და ვერმიშელის ფაბრიკისა, ხორბლის სხვადასხვა ხარისხის ფქვილთან ერთად გამოიყენებოდა აგრეთვე სიმინდისა და სხვა მარცვლეულის ფქვილიც.

თბილისის გაერთიანებული მუშათა კოოპერაცია, ისე როგორც სხვა სავაჭრო ორგანიზაციები თავიანთ შესაძლებლობის მიხედვით ზრუნავდნენ პურის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებაზე, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1924 წელს „მუშკოპის" პურსაცხობებში დაწესებული იქნა სხვადასხვა ფორმისა და წონის ე. წ. რუსული პურის ცხობა. მათი მოცულობა მთლიან პროდუქციაში 30 პროცენტს შეადგენდა, ქართული პურისა კი 10 პროცენტს.

ქალაქის ფქვილით უზრუნველოფის კვალობაზე თანდათანობით მცირდება პურის ფქვილში სიმინდის ფქვილის შერევა. დაწესდა კონტროლი პურის ცხობის ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვაზე. 1924 წელს დღე-ღამეში ცხვებოდა 1700 ფუთი პური. თბილისში „მუშკოპის" დაქვემდებარებაში იმყოფებოდა აგრეთვე 19 პურის გასაყიდი ჯიხური.[1]

იმდროინდელ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ კრებულებში, საარქივო მასალებსა და დოკუმენტებში ვერ ვხვდებით ზუსტ მონაცემებს თუ საქართველოს ქალაქებსა და სასოფლო ადგილებში რამდენი იყო წვრილი, კუსტარულ-ხელოსნური, საწარმო, მათში დასაქმებული მუშა, პროდუქციის წარმოების მოცულობა და სხვ. ამ საკითხებზე გაბნეული მასალები ერთმანეთის საწინააღმდეგოა და არ შეიძლება მიღებულ იქნას სარწმუნოდ. ჩვენ მაინც მივაკვლიეთ ზოგიერთ მასალას, რომლის მიხედვით მიახლოებით მაინც შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1924-1925 წწ. მონაცემები (იხ. ცხრილი 3).

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 632, ანაწ. 1, საქ. 357, ფ. 26, საქ. 354, ფ. 12.

ამიერკავკასიაში წვრილი (არაცენზირებული), კუსტარულ-ხელოსნური პურის ცხობის წარმოება ქალაქად, ქალაქის ტიპისა და სასოფლო დასახლებებში 1924-1925 წწ. (ფუთობით)[1]

პურსაცხობი წარმოება	ამიერკავკასია			აზერბაიჯანი			სომხეთი			საქართველ		
	საწარმოთა რაოდენობა	მათში დასაქმებულთა რაოდენობა	მთლიანი პროდუქცია წელიწადში	საწარმოთა რაოდენობა	მათში დასაქმებულთა რაოდენობა	მთლიანი პროდუქცია წელიწადში	საწარმოთა რაოდენობა	მათში დასაქმებულთა რაოდენობა	მთლიანი პროდუქცია წელიწადში	საწარმოთა რაოდენობა	მათში დასაქმებულთა რაოდენობა	
1. ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებებში	1203	2471	9017432	240	432	2225664	149	340	1640400	814	1699	5
2. სასოფლო დასახლებაში	57	86	132766	17	30	97710	21	29	18154	19	27	1

როგორც ცხრილში მოვანილი მონაცემებიდან ჩანს საქართველოს ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებებში წვრილი პურსაცხობების საწარმოთა რაოდენობა 2-ჯერ მეტად, წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობა 2,2-ჯერ, ხოლო მთლიანი პროდუქცია 1,5-ჯერ აღემატება აზერბაიჯანისა და სომხეთის შესაბამის მაჩვენებლებს ერთად აღებულს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ საქართველოს ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე აზერბაიჯანში და სომხეთში. რაც შეეხება სოფლად მცხოვრებლების უზრუნველყოფას გამომცხვარი პურით, ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში თითქმის ერთგვაროვანი მდგომარეობაა, მაგრამ მაინც შეიმჩნევა საქართველოში სოფლად პურსაცხობ საწარმოთა ნაკლებობა, სხვა

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 632, ანაწ. 1, საქ. 52, ფ. 5, 12

ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზი უნდა იყოს ისიც, რომ სოფლის მოსახლეობა ნაყიდ პურს შინგამომცხვარ ჭადსა და პურს ამჯობინებდა.

საერთოდ ყველა სახის პურსაცხობებში დასაქმებული მუშების (ფქვილის გამცრელი, ცომის მზელავი, მცხობელი) შრომის პირობები როგორც აღვნიშნეთ მეტად მძიმე იყო, ხშირ შემთხვევაში მუშებს შრომა უხდებოდათ შეუფერებელ სადგომებში (უსინათლო, დაბალი ჭერი, დაზიანებული კედლები და სხვ.) და რაც მთავარია მაღალი ტემპერატურის პირობებში დიდი იყო ფიზიკური შრომითი დატვირთვა. ადრე დადგენილი წესის მიხედვით პურსაცხობებში დასაქმებულ 3 მუშას დღის მანძილზე უნდა დაემთავრებინა 18 ფუთი ფქვილის დამუშავების მთლიანი ტექნოლოგიური ციკლი და შეესრულებინათ კიდევ სხვა სახის სამუშაო. ასეთი მძიმე ფიზიკური მუშაობა იწვევდა მეპურეთა ქრონიკულ დაავადებებსა და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას.

ამ საკითხების უფრო ღრმად შესწავლის მიზნით გემო-კვების სახალხო კომისარიატის პროფკავშირების კომიტეტმა გამოყო საექსპერტო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.[1] როგორც კომისიის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, მათ შეუმოწმებიათ თბილისის „მუშკოპის" მე-2 პურსაცხობი, (ფურნე) სადაც დასაქმებული იყო 146 მუშა, ორ ცვლაში ცხვებოდა 600-800 ფუთი პური.

პურსაცხობის 16 ღუმელს ემსახურებოდა 8 ბრიგადა, თვითოეულ ბრიგადაში იყო: 1 მცხობელი, 1 ფქვილის მცრელი და 2 ცომის მზელავი. ბრიგადა იღებდა 35 ფუთ გაუცრელ ფქვილს და მისგან აცხობდნენ 50-52 ფუთ პურს. მუშების განცხადებით პიველი ცვლა იწყებდა მუშაობას დილის 5-6 საათზე და ამთავრებდა დღის 12 საათზე; მეორე ცვლა მუშაობას იწყებდა 12-13 საათზე და ამთავრებდა 20-21 საათზე. კვირაობით არ მუშაობდნენ. პურსაცხობი შედგებოდა ორ მთავარ განყოფილებისაგან, თვითოეულ განყოფილებაში იყო 8 ღუმელი, რომლებსაც თხევადი სათბობის ფრქვევანებით აცხელებდნენ. მუშებს მარცხენა მხარის განყოფილებაში უკეთესი პირობები ჰქონიათ ვიდრე მარჯვენა მხარის განყოფილებას. აქ ჭერი ყოფილა დაბალი, უსინათლო (ფანჯრებზე მინის ნაცვლად ფიცრები ყოფილა

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 819, ანაწ. 1, საქ. 361, ფ. 4.

აკრული). ორივე განყოფილებაში არ მუშაობდა ვენტილაცია. მუშებისათვის გამოყოფილი ყოფილა გასახდელი ოთახი და სპეცტანსაცმელი. აღინისნა აგრეთვე, სხვადასხვა სახის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის შემთხვევა. შემოწმების დროს ფქვილი იყო შემდეგი შემადგენლობის: ხორბლისა — 50 პროცენტი, ჭვავისა 20 პროცენტი და სიმინდისა 30 პროცენტი. პირველ განყოფილებაში დღის 13 საათზე მოხდა საფუარის ჩადგმა, ხოლო 14 საათზე მეორე საფუარის ჩადგმა. 15 საათსა და 30 წუთზე დაიწყო ცომის ზელვა და ღუმელების გაცხელება, 16 საათზე და 40 წუთზე კი ცომის გუნდების მოთავსება ფორმებში, 17 საათზე და 15 წუთზე შეუდგნენ ფორმების ღუმელებში შეწყობას; 17 საათზე და 40 წუთზე დაიწყო ფქვილის გაცრა, რომელიც დამთავრდა 18 საათზე და 35 წუთზე. 19 საათზე და 30 წუთიდან ღუმელებიდან გამოიტანეს გამომცხვარი პური და 20 საათზე მოთავსდა საწყობში.

20 საათზე და 15 წუთზე დამთავრდა პურსაცხობის დალაგება — დასუფთავება, 8 საათიდან მუშებმა დაიწყეს ტანისამოსის გამოცვლა და შეეძლოთ თავიანთ ბინებში წასვლა.

შექმნილ ვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს გემო-კვების პროფკავშირების კომიტეტმა. მათი გადაწყვეტილებით 1922 წლის 17 ივნისს მოიწვიეს თბილისის პურსაცხობების პროფკავშირის კომიტეტიბისა და კერძო კუსტარულ საწარმოთა რწმუნებულების თათბირი, სადაც კატეგორიულად დაისვა საკითხი მეპურეთა შრომის პირობების შემსუბუქების მიზნით 18 ფუთი ფქვილის დამუშავების ნაცვლად 12 და 15 ფუთის დაწესება, მაგრამ ორივე ამ წინადადების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს კერძო მეწარმეებმა და მოიჯარადეებმა.

თათბირის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატს ეთხოვა დაავალდებულოს პურსაცხობების რწმუნებულები, რათა დაუყოვნებლივ დადონ ხელშეკრულებები და დაამტკიცონ პურის ცხობის გამომუშავების ნორმა 3 მუშაზე (ფქვილის მცრელი, ცომის მზელავი, პურის მცხობელი) 15 ფუთი ფქვილი. მალე ეს ნორმა დაწესდა კოოპერაციულ სისტემის პურსაცხობებში, მაგრამ კერძო მესაკუთრეები მის შესრულებას აყოვნებდნენ.

მეპურეთა მძიმე ფიზიკური შრომა იწვევდა კვალიფიციურ მეპურეთა გაბნევას, მათ სამუშაო ადგილის ხშირ ცვლას. მეპურეთა კადრები არსად არ მზადდებოდა, თუმცა ზოგიერთ „მუშკოპის“ პურ-

საცხობში ყავდათ მოწაფეები ან დამხმარე მუშები და ეუფლებოდნენ პროფესიას, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. კვალიფიციურ მეპურეთა კადრებს მოითხოვდა არა მარტო პურსაცხობების ქსელი, არამედ წითელი არმიის ნაწილებიც.[1]

პურის ცხობის წარმოების დაქსაქსულობა და მათი ტექნიკური ჩამორჩენილობა პროდუქციის მოცულობის გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების საშუალებას არ იძლეოდა, პურსაცხობ მრეწველობას უკვე აღარ შეეძლო მის წინაშე წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. კვების მრეწველობის ამ მნიშვნელოვანი დარგის შემდგომი განვითარება დაკავშირებული იყო დიდ სახსრების გამოყოფასთან, რაც რესპუბლიკას არ გააჩნდა. ეს საკითხი დადებითად რომ გადაწყვეტილიყო, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1924 წლის 29 მაისის დადგენილებით საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური კომუნალური ბანკის საშუალებით ამიერკავკასიის პურსაცხობი მრეწველობის მექანიზაციისა და ახალი სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის გამოიყო 1 მლნ 100 ათასი მანეთი ხანგრძლივი კრედიტების სახით. თანები გაიცემოდა ნაწილობრივ 1925-1926 საბიუჯეტო წელს.[2] როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, წინასწარი გაანგარიშებით, თბილისში გამომცხვარი პურის მოთხოვნა განისაზღვრა თვეში 227310 ფუთი, ხოლო ახალი პურის ქარხნის წარმოებრივი სიმძლავრე კი თვეში 72 ათასი ფუთი (დღე-ღამეში 3 ათასი ფუთი), ქარხნის მთლიანი ღირებულება შეადგენდა 600 ათასი მანეთს, აქედან 350 ათასი მან. დაიხარჯებოდა მშენებლობაზე, ხოლო 250 ათასი მან. მოწყობილობებზე. ამის გარდა ნაწილობრივი მექანიზაცია განხორციელდებოდა ქუთაისისა და ბათუმის პურსაცხობ საწარმოებში. თითოეული დანადგარის სიმძლავრე გაიზრდებოდა თვეში 12 ათას ფუთამდე. ცალკეულ ქარხანაზე გამოყოფილი სახსრები კი 50 ათას მანეთს უდრიდა. აქედან 39 ათასი მანეთი დაიხარჯებოდა მოწყობილობებზე, ხოლო 11 ათასი მანეთი შენობის გადაკეთებაზე. დადგენილებაში აღნიშნული იყო ისიც, თუ საქართველოს სათანადო ორგანოები მოითხოვდნენ და ამას სათანადოდ დაასაბუთებდნენ, თბილისის პურის ქარ-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 617, ანაწ. 1, საქ. 461, ფ. 117.

[2] იქვე, ფონდი 700, ანაწ. 1, საქ. 114, ფ. 65.

ხნის სიმძლავრის გადიდება შესაძლებელი იქნებოდა დღე-ღამეში 5000 ფუთამდე.

ამიერკავკასიის საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მოითხოვა შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოთ დასახელებული დადგენილებაში დამატებით შეეტანათ ცვლილება ბაქოსა და თბილისის პურის ქარხნების სიმძლავრეთა გადიდების შესახებ, კერძოდ, გათვალისწინებული ყოფილიყო თბილისის პურის ქარხნის სიმძლავრის გადიდება 5 ათას ფუთამდე. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ თბილისის სამხედრო გარნიზონმა ნაწილობრივ შეწყვიტა ადგილობრივ პურის ცხობა და მოითხოვდა დღე-ღამეში 800 ფუთზე მეტი გამომცხვარი პურის მიწოდებას. ამგვარად ახალი პურის ქარხანა შესძლებდა ქალაქის მოსახლეობის დაკმაყოფლებას 50 პროცენტით, დანარჩენი კი უნდა უზრუნველეყო ჯერ კიდევ შემორჩენილ კერძო კუსტარულ და კოოპერაციულ საწარმოებს.[1]

როგორც დავინახეთ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და მათ შორის მარცვლეულისა, გაუტოლდა ომამდელ დონეს და ზოგიერთი მაჩვენებლების მიხედვით გადააჭარბა კიდეც. ამავე დროს, მოსახლეობის მომარაგება შემოტანილი პურ-პროდუქტებით გახდა რეგულარული და საიმედოდ გარანტირებული, მიუხედავად ამისა პურსაცხობი მრეწველობის კონცენტრაციისა და მისი შემდგომი მრეწველური განვითარების ამოცანა აღდგენითი პერიოდის დასასრულს ვერ განხორციელდა, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა უწინარესად, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის შიმშილის დაძლევისა და მათი გამომცხვარი პურით უზრუნველყოფის საქმეში. ამრიგად, სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის მთავარი ამოცანა — ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობრივი ნედლეულის ბაზის აღდგენა-განვითარება „ნეპის“ გატარების პირობებში რამდენადმე შესრულდა.

თუ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში მრეწველობის აღდგენა-განვითარება განხორციელდა ძველი ფაბრიკა-ქარხნების ამოქმედებით და მასთან ზოგიერთი ახალი საწარმოთა მშენებლობის გზით, აღდგენითი პერიოდის დასასრულს წარმოების შემდგომი განვითარება მოითხოვდა მომქმედი საწარმოების გაფართოება-რეკონსტრუქციას, მათი უახლესი ტექნიკით აღჭურვას, მდიდარი ბუნებრი-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 617, ანაწ. 1, საქ. 461, ფ. 120.

ვი რესურსების გამოყენების ბაზაზე ახალი საწარმოების მშენებლობას.

მრეწველობის ჩქარი ტემპით განვითარება შეუძლებელი იყო კაპიტალდაბანდებათა განუხრელი ზრდის გარეშე, რესპუბლიკას კი იმ დროს არ გააჩნდა ამისათვის საჭირო სახსრები, მაგრამ დაგროვების დამატებითი წყაროების გამონახვისა და სახელმწიფოს მთელი რიგი დახმარების აღმოჩენით, სახალხო მეურნეობრივი კაპიტალდაბანდებათა ოდენობა იზრდება. 1921-1928 წწ. მანძილზე რესპუბლიკის კაპიტალდაბანდების ოდენობა (ფაქტიური ღირებულებით, ლიმიტგარეშე დაბანდებათა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით) აღწევდა დაახლოებით — 110 მლნ. მანეთს, აქედან მრეწველობაზე მოდიოდა — 50,2 პროცენტი, სოფლის მეურნეობაზე — 14,2 პროცენტი, დანარჩენი სხვა დარგების განვითარებაზე.[1] გაღებულ სახალხო მეურნეობრივი კაპიტალდაბანდებიდან დიდი ნაწილი მოდიოდა ტექნიკური რეკონსტრუქციის წლებზე. (1926-1927 წწ.).

1926-1928 წლებში ამუშავდა რამდენიმე ათეული მსხვილი საწარმო, მათ შორის მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებიც. გაიზარდა მრეწველობის ძირითადი ფონდები, მრეწველობის გაფართოების კვალობაზე იზრდებოდა მუშათა საერთო რაოდენობაც.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საერთო ბიუჯეტიდან აგრეთვე სახბანკების საშუალებებით გარკვეული სახსრები ხმარდებოდა მსხვილი ქალაქების პურსაცხობი მრეწველობის უახლესი ტექნიკით აღჭურას, რომლის შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 4).

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ბაქოს პურსაცხობი საწარმოთა მექანიზაციის, ასევე მათ მექანიზაციაზე გაწეული ხარჯები (1926-1927 წწ.) უფრო მეტია, ვიდრე თბილისისა და ერევნის პურსაცხობი საწარმოების. აქ ითვალისწინება გარდა მოსახლეობის დიდი რაოდენობისა ბაქოს სარეწავების განსაკუთრებული სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა და მათში დასაქმებული მუშახელის სიმრავლე. ამიტომ ქალაქის პურსაცხობი საწარმოთა მექანიზაციისათვის თანხებს არ იშურებდა „გაზნავთობის“ სამმართველოც. მაგრამ მომდევნო 1927-1928 წწ. მდგომარეობა იცვლება თბილისისა და

---

[1] საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921-1967, გვ. 175.

ერევნის პურსაცხობი მრეწველობის სასარგებლოდ. ბაქოს საწარმოთა მექანიზაციისათვის არ ყოფილა გამოყოფილი სახსრები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეული იყო დასახელებული ქალაქების პურსაცხობი მრეწველობის განვითარების ტემპების გათანაბრების პრინციპის შესაბამისად. რეკონსტრუქციის პერიოდში ისე, როგორც რესპუბლიკის კვების მრეწველობის სხვა დარგებში, პურსაცხობი მრეწველობის დარგშიც დაიწყო ახალი საწარმოების მშენებლობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მექანიზებული პურსაცხობი ქარხანა №1-ის მშენებლობის დაწყება.

თბილისის მოსახლეობის გამომცხვარი პურით უზრუნველყოფაში კოოპერაციული ორგანიზაციების გარდა კვლავ დიდ როლს ასრულებდა კერძო პირთა კუსტარული პურსაცხობები, მათგან ერთი ნაწილი საქართველოს სახკომსაბჭოს 1925 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით გაერთიანდა შინამრეწველ-ხელოსანთა საკრედიტო კოოპერაციულ ამხანაგობაში.

წინასწარი ორგანიზაციული მუშაობის შედეგად 1927 წლის იანვარს შეიქმნა საქართველოს შინამრეწველთა და ხელოსანთა კოოპერაციული კავშირი — „სარეწაო კავშირი", სადაც გაერთიანებული იყო 54 საწარმო, მათ შორის 5 პურსაცხობი კოოპერაციული არტელი.

„სარეწაო კავშირი" აერთიანებდა — 2385 წევრს. ყველა არტელის საკუთარი თანხა შეადგენდა — 265144 მანეთს, ნასესხები — 455309 მან.[1] ამრიგად, საქართველოში მოსახლეობის პურეულით უზრუნველყოფა დავალებული ჰქონდათ და გააჩნდათ საკუთარი ამბარები მთელ რიგ ორგანიზაციებს, მაგალითად, საქვაჭრობას, ცეკავშირს, მუშკოპს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას, სარეწაო კავშირს, სახბანკს, შინამრეწველთა საკრედიტო კოოპერაციულ ამხანაგობას და სხვ. მათი საქმიანობის პარალელიზმი უარყოფითად მოქმედებდა პურსაცხობი მრეწველობის შეუფერხებელ მუშაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო მთავრობა (სახკომსაბჭოს 1927 წლის 3 მაისის დადგენილება) ავალებდა სათანადო ორგანიზაციებს სარეწაო კოოპერაციისა და კუსტარულ-ხელოსნურ მრეწველობისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობას, ადგილებზე ზოგიერთი ორგანიზაცია უგუ-

---

[1] იქვე, ფონდი 600, ანაწ. 1, საქ. 607, ფ. 150.

ლებელყოფდა მის შესრულებას, ასე მაგალითად, საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის ქსელის — თბილისის პურსაცხობ არტელებს „რაჭას“, „მოსავალს“, „მომარაგებას“ და „პურს“, აგრეთვე კერძო მეპურე შინამრეწველებს, სადაც დასაქმებული იყო რამდენიმე ასეული კაცი აუკრძალა „პურპროდუქტის“ ამბარებიდან შეღავათიან ფასებში პურის ფქვილის შესყიდვა. ვინაიდან ისინი წარმოების ნორმალური მუშაობისათვის ფქვილს სხვაგან ვერ იშოვიდნენ იძულებული გახდნენ ეზრუნათ თავიანთი საწარმოების ლიკვიდაციისათვის, განსაკუთრებით ამას მწვავედ განიცდიდნენ მეპურე შინამრეწველები, რომლებიც მოკლებული იქნენ თითქმის ყოველგვარ საბრუნავ თანხას.[1] საქართველოს ეკონომიკური საბჭოს გადაწყვეტილებით სათანადო ზომების მიღების შედეგად შექმნილი ვითარება გამოსწორდა, მაგრამ სხვა ხელშემშლელი პირობები მაინც დარჩა გადასაწყვეტი. პურისმცხობელ შინამრეწველობა გარდა იმისა, რომ თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მოსახლეობის გამომცხვარი პურით უზრუნველყოფის საქმეში, მათ ამავე დროს დიდი როლი ეკუთვნით კვალიფიციურ ხელოსან-სპეციალისტების (ხაბაზების) მომზადებაში.

ამრიგად, შინამრეწველების განვითარების ამოცანები კვლავინდებურად შედიოდა საქართველოს მთელ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის სფეროში.

როგორც საერთოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში გატარებულმა ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, როგორც ფიქრობდნენ უკვე 1928 წლისათვის შექმნა სათანადო პირობები სახალხო მეურნეობაში სოციალიზმის საძირკველის აშენებისათვის, რომელიც გულისხმობდა კერძოსაკუთრების და მათ შორის, კერძო პურის მცხობელთა თანდათანობით ლიკვიდაციას.

---

[1] იქვე, ფონდი 600, ანაწ. 1, საქ. 1174, ფ. 11.

ცხრილი 4

ამიერკავკასიის მსხვილი ქალაქების (თბილისი, ბაქო, ერევანი) პურსაცხობი მრეწველობის მექანიზაციისათვის დაფინანსება (მანეთობით) 1926-1928 წლებში[1]

ქალაქები	მექანიზებული მოწყობილობა ღირებულება	ბიუჯეტიდან ასიგნება 1925-1926 წწ.	ასიგნება 1926-1927 წწ.				ასიგნება 1927-1928 წწ.		
			ბიუჯეტიდან	ბანკიდან	აზნაურობიდან	სულ	ბიუჯეტიდან	ბანკიდან	სულ
თბილისი	153.000	–	31.600	16.000	–	47.000	48.000	58.000	106.000
ბაქო	327.000	68.000	125.000	63.000	100.000	288.000		–	
ერევანი	127.000	–	34.000	16.000		50.000	52.000	25.000	77.000
ამიერკავკასია	607.00	68.000	190.000	95.000	100.000	385.000	100.000	83.000	183.000

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 634, ანაწ. 1,. საქ. 2336, ფ. 104.

თავი მესამე

პურსაცხობი მრეწველობის განვითარება ომამდელ ხუთწლედებში (1928-1940 წწ.)

ა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნები. „საქპურტრესტის“ შექმნა და მისი ამოცანები

ახალი ეკონომკური პოლიტიკის ვითარებაში მიღწეულმა შედეგებმა საფუძველი მისცა კომუნისტურ პარტიას აეღო გენერალური კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლედის გეგმაში. ამ გეგმის შესაბამისად შემუშავდა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმაც, რომლის მიხედვით საქართველოს შემდგომი განვითარება უნდა წარმართულიყო არსებული დარგების განვითარებით და ახალის შექმნით, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გამოყენების ბაზაზე. ამასთან ერთად დასახული იქნა წვრილი გლეხური მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე თანდათან გადასვლა. დიდი ყურადღება ეთმობოდა ტექნიკური კულტურების დაჩქარებით განვითარებას, მარცვლეულის, განსაკუთრებით ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტების ზრდას. გეგმა ითვალისწინებდა მსხვილი მანქანათმშენებლობის განვითარების საფუძველზე მთელი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული საკავშირო მრეწველობისათვის. კიდევ უფრო მაღალი ტემპებით უნდა განვითარებულიყო მრეწველობა საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებსა და ოლქში.[1]

დასახული გეგმის რეალიზაცია დაფუძნებული იყო კაპიტალური დაბანდების მოცულობის პროგრესული მატებისა და მის სახალხო მეურნეობის დარგებს შორის რაციონალურ განაწილებაზე. ხუთწლიანი გეგმით მთლიანად სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდება

---

[1] საქართველოს ისტორია, XIX საუკუნის 90-იან წლებიდან დღემდე, თბ., 1984, გვ. 281, რედაქტორი ი. მ. კაჭარავა.

გათვალისწინებული იყო –(შესადარ ფასებში)– 148 მლნ. მან., აქედან მრეწველობაში –53 მლნ. მან., სოფლის მეურნეობაში – 19 მლნ. მან., ტრანსპორტისა და კ/გაბმულობის – 19 მლნ. მანეთი.[1] კაპიტალური დაბანდების უდიდესი ნაწილი მოდიოდა წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებაზე.

დასახული გეგმების შესაბამისად ისე როგორც მთლიანად კავშირში, საქართველოშიც ფართოდ გაიშალა მოძრაობა წვრილი გლეხური მეურნეობების მსხვილი კოლექტიური მეურნეობად გაერთიანებისაკენ, რომლის გადამწყვეტ ეტაპს პირველი ხუთწლედი წარმოადგენდა. ეს მოძრაობა იმთავითვე დირექტიულ, ზემოდან თავსმოხვეულ მოძრაობად იქცა, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა. გამონაკლის ამ შემთხვევაში არც საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობას ახასიათებდა რიგი სპეციფიკურობა. უწინარესად, მცირე მიწიანობა და მათი დაქუცმაცება, დაბალი ტექნიკური დონე, სასოფლო–სამეურნეო წარმოების არასრული სპეციალიზაცია და ტრადიციული დარგების სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენდნენ მსხვილ მეურნეობებად გარდაქმნის მიმდინარე პროცესებზე. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის მთლიანი კოლექტივიზაციის ორგანიზებულ საქმიანობაში დაშვებული იქნა უხეში დამახინჯებანი, რაც გამოიხატებოდა საკოლმეურნეო მშენებლობის ყოვლად გაუმართლებელ დაჩქარებაზე. თუმცა ამის შესახებ საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, მაგრამ საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკა არ იქნა მიღებული და გათვალისწინებული, პირიქით, მისი მხარდამჭერები მიიჩნიეს პარტიის იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ.

ინდუსტრიალიზაციისა და საყოველთაო კოლექტივიზაციის დაჩქარებული ტემპების გამო მრავალი გლეხური მეურნეობა დაადგა სრული გაჩანაგების გზას. დაიწყო სოფლად მასობრივი ლტოლვა ფაბრიკა–ქარხნებში, ამასთან ერთად რამდენიმე ათასი გაუმართებლად კულაკად მონათლული–გამრჯე მეურნე, ოჯახებით ან აყრილი იქნა მშობლიურ ადგილებიდან ან რეპრესირებული. სოფელს თანდათანობით აკლდებოდა მუშახელი. საქართველოს ზოგიერთ რაიონის

---

[1] საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1971, გვ. 202

გლეხობამ ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღს მიმართა. გლეხობის თავდაცვითი ბრძოლა მთავრობის ორგანოებმა კულაკურ გამოსვლებად მონათლეს.[1] ასეთ ვითარებაში მაინც, სოფლად გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. 1932 წლისათვის კოლექტივიზირებული იყო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის 36.1%, ნაცვლად 1929 წლის 0.9%-ისა. მაგრამ კოლექტივიზაციის პროცესი ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა სსრ კავშირის შესაბამის მაჩვენებელს.

1932 წლისათვის საქართველოში ყველა კატეგორიის მეურნეობის ნათესი ფართობი შეადგენდა 999.4 ათას ჰექტარს, რაც 206.3 ათასი ჰექტარით მეტი იყო ვიდრე 1928 წლს, მაგრამ მარცვლეულის მთლიანი მოსავალი არ აღემატება 1928 წლის დონეს. თუ ეს მაჩვენებელი 1932 წელს შეადგენდა 5632 ცენტნერს, მათ შორის ხორბლისა 1403 ცენტნერს, მარცვლეულის მთლიანი მოსავალი 1928 წლიდან შედარებით ნაკლებია 22.6%-ით, ხოლო ხორბალი 28.4 %-ით.[2] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს გამოწვეული იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომებით.

ამრიგად,როგორც ეს მოსალოდნელი იყო საქართველოს ხითწლედის გეგმით გათვალისწინებული მარცვლეულის დამზადება ვერ შესრულდა. მარცვლეულის წარმოების შემცირებამ თავის მხრივ გამოიწვია ისედაც არა მყარი პურ-ფურაჟის დეფიციტანობის გადიდება.

საბჭოთა კავშირში მთლიანი კოლექტივიზაციის დასაწყის ეტაპზე წარმოიქმნა მთელი რიგი სიძნელეები პურის შესყიდვის საქმეში.[3] რუსეთისა და უკრაინის მარცვლეულის მოსავლის მდიდარ რაიონებშიც კი შიმშილი მძვინვარებდა, რაც გამოწვეული იყო პურის დამზადების იძულებითი ფორმების გამო, თავის დროზე უარყოფილი თვით ხელისუფლების მიერ, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების დროს.

სურსათის კრიზისი თანდათან ღრმავდებოდა და უკიდურეს ზღვარს 1931-1932 წწ. მიაღწია.

---

1 ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 262-268.

2 ბექირბი ხასია, დასახ. ნაშრომი, გვ. 212, 213.

3 История социалистической экономики, СССР, том Третий, М., 1977, с. 329.

მარცვლეულისა და განსაკუთრებით ხორბლის დამზადებაში შექმნილი სიძნელეები დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ქალაქის მოსახლეობასა და არმიას პურზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის საქმეში. აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ასეთი ვითარება მოითხოვდა საბარათო სისტემის აუცილებელ შემოღებას. 1929 წლის დამდეგს ლენინგრადის მშრომელების მოთხოვნით დაწესდა პურზე საბარათო სისიტემა, შემდეგ იგი გავრცელდა მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკებში. ქალაქის მოსახლეობის გამომცხვარი პურით მომარაგების დადგენილი ნორმა შეადგენდა: მძიმე ფიზიკური შრომოთ დასაქმებული მუშისათვის 1 კგ., ყველა დანარჩენი მუშისა – 800 გრ., მოსახლეობისა – 400 გრ.-ს დღეში. აქ არ იგულისხმებოდა პური, რომელიც გაიცემოდა სადილზე საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში.

საბარათო სისტემის დაწესებით ქალაქების მოსახლეობის პურისთ მომარაგება შედარებით უმჯობესდება. მაგრამ ეს არ ითქმის გამომცხვარი პურის ხარისხზე და მის ასორტიმენტზე. სასურსათო კრიზისი მაინც ვერ იქნა დაძლეული.

1930 წლის ნოემბერს შეიქმნა საკავშირო მომარაგების სახალხო კომისარიატი, რომლის დაქვემდებარებაში შედიოდა "ზაგოტზერნოს" 171 მარცვლეულის სარელიზაციო ბაზა.[1] ამ ხანებში ქვეყნის პურით მომარაგების საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეერულებინა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

1932 წლის მაისში საბჭოთა მთავრობამ ნება დართო კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს პურის დამზადების გეგმის შესრულების შემდეგ თავისუფლად გაეყიდათ ბაზარზე ნამეტი პური. ამ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან იგი მიზნად ისახავდა არა მარტო ქვეყნის პურით მომარაგების გაუმჯობესებას, არამედ ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის განვითარებასაც.[2]

მსხვილი მანქანათმშენებლობის მშენებლობის უპირატესად განვითარების ბაზაზე შეიქმნა წანამძღვარი პირობები კვების მრეწველობის ზოგიერთ ახალ და ძველი დარგის უახლესი ტექნიკით აღჭურვისა, მაგრამ პურსაცხობები მრეწველობის მანქანათმშენებლობის

---

[1] იქვე, გვ. 452, 448.

[2] იქვე, გვ. 455.

განვითარების ტემპებით ჩამორჩებოდა მის პროდუქციის მოთხოვნილების ზრდას, ამის შედეგად პურსაცხობი მრეწველობა, განსაკუთრების მოკავშირე რესპუბლიკებში, ნაკლები ტემპით ვითარდებოდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მეტალოტრესტის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა აითვისეს რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებისთვის საჭირო ზოგიერთი სახის მანქანა-მოწყობილობის წარმოება. 1929-1930 წლებში ამ ქარხნებში დაიწყეს პურსაცხობი საწარმოებისთვის ღუმელების, მათ შორის მექანიზირებული ღუმელების, ცომსაზელი მანქანების, მათი სათადარიგო ნაწილებისა და სხვა დანადგართა წარმოება.[1] ამავე დროს (1930წ.) დამთავრდა საქართველოში პირველი—თბილისის პურსაცხობი ქარხნის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე დღე-ღამეში 40 ტონას შეადგენდა. ზოგიერთი მისი ტექნიკური აღჭურვილობა საქართველოს მანქანათნშენებლობის საწარმოებში დამზადდა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პურის ქარხნებში პურფუნთუშეულის საწარმოს ერთი მუშის გამომუშავება 33-ჯერ მაღალია, ვიდრე არამექანიზებულ პურსაცხობებში, თბილისის პირველ მექანიზებული პურის ქარხნის ექსპლოატაციაში გადაცემას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან იგი მიიღებდა შრომის დანახარჯების დიდ ეკონომიას.

მოსახლეობის სურსათით და განსაკუთრებით პურით მომარაგების უზრუნველყოფისა და პურსაცხობი მრეწველობის შემდგომი განვითარების დასახული ღონისძიებები საქართველოშიც განხორციელდა. გატარდა მარცვეულის დამზადებისა და განაწილების უწყებათა რეორგანიზაცია, შეიქმნა "ზაგოტზერნოს" დაქვემდებარების მსხვილი ბაზა, რომელსაც ხორბლითა და ხორბლის ფქვილით უნდა უზრუნველეყო სხვადასხვა ორგანიზაციები და კერძო პურის მცხობელები.

ხორბლის ფქვილის ყველაზე დიდი მომხმარებელი იყო პურისმცხობელთა და საკონდიტრო ნაწარმის კოოპერაციები. 1930 წლის მონაცემებით ასეთ ორგანიზაციებში გაერთიანებული იყო 48 პურსაცხობი არტელი, მათ შორის აღსანიშნავია "რაჭა" (მომმარაგებელ-გამ-

---

[1] ა. კოჭლავაშვილი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში, თბ., 1966, გვ. 220. ვ. დათუკიშვილი, ნარკვევები საქართველოს სსრ მანქანათსამშენებლო მრეწველობის განვითარების ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 290.

საღებელი), რომელიც აერთიანებდა 250 წევრს და ჰქონდათ 20-მდე საწარმო-სავაჭრო ერთეული; არტელი „სარეწკოპი“ აერთიანებდა 93 წევრს და ჰქონდა 27 საწარმო – სავაჭრო ერთეული; არტელი „ირანი“, აერთიანებდა 62 წევრსა და ჰქონდა 12 საწარმო-სავაჭრო ერთეული. არტელებს ფქვილს თავისი კავშირი აწვდიდა. აღნიშნული არტელები რენტაბელურად მუშაობდნენ და ფინანსურად საკმაოდ მტკიცე ორგანიზაციას წარმოადგენდნენ.

საკონდიტრო საწარმოების კოოპერაციაში გაერთიანებული იყო 9 არტელი: „მოსავალი“, „განთიადი“ და „წითელი დროშა“, რომლებიც აერთიანებდა 160 წევრს, პროდუქციის ღირებულება 1442 ათას მანეთს აღწევდა.

ამ დარგის ერთ-ერთი დიდი არტელი ყოფილა ბათუმში – „წითელი შინამრეწველი“, რომელიც 35 წევრს აერთიანებდა. ჰქონდა გახსნილი 7 სავაჭრო წერტი, რომლის საშუალებით საღდებოდა მთელი პროდუქციის 40 პროცენტი, დანარჩენს კი აბარებდნენ სახელმწიფოს და კოოპერაციულ ორგანიზაციებს.[1]

30-იან წლებში გამომცხვარი პურისა და საკონდიტრო ნაწარმის სავაჭრო ბრუნვაში სახელმწიფო ვაჭრობაზე მოდიოდა 0,5 პროცენტი, კოოპერაციულ ვაჭრობაზე 84,1 და კერძო ვაჭრობაზე 15,4 პროცენტი“.[2]

საქართველოს მთავრობის 1931 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის გაერთიანებულ მუშათა კოოპერაციის („მუშკოპის“) ლიკვიდირებული პურის განყოფილების მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე დაყრდნობით შეიქმნა საქართველოს პურის მრეწველობის ტრესტი – „საქპურტრესტი“. თითქოს იგი წარმოადგენდა დამოუკიდებელ სამეურნეო ორგანიზაციას, მაგრამ უნდა ეხელმძღვანელა ამიერკავკასიის „პურპროდუქტების“ სამმართველოს და „სოიუზხლებოპეჩენიის“ გეგმური დავალებათა შესაბამისად. როგორც „საქპურტრესტის“ დებულებიდან ჩანს, მას ევალებოდა:

1. საქართველოს პურსაცხობი მრეწველობის მართვა, ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება, 2. საქართველოში პურის ცხობის საქმიანობის ორგანიზაცია და რეკონსტრუქცია საწარმოთა პროცესების მექანიზაციისა და არსებული კუსტარული საწარმოების

---

[1] ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1930 წ., №4, გვ. 52.
[2] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, თბ., 1931, გვ. 483.

უახლესი ტექნიკით აღჭურვის გზით, 3. პურსაცხობების მშენებლობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა, 4. პურის ქარხნების, მექანიზებული, ნახევრადმექანიზებული და მსხვილი პურსაცხობების მომარაგება ნედლეულით და დამხმარე მასალებით (მოწყობილობები, სათბობი სამშენებლო მასალა და სხვ.), 5. მოსახლეობისათვის გამომცხვარი პურისა და პურსაცხობი მრეწველობის სხვა ნაწარმის მიყიდვა უნდა განხორციელებულიყო, როგორც თავის სპეციალიზირებულ სავაჭრო ქსელიდან, ისე სახელშეკრულებო საწყისებზე სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელის საშუალებით.

დებულების თანახმად ტრესტის შემადგენლობაში შესვლას ექვემდებარებოდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა პურის ქარხნები, მექანიზებული და ნახევრადმექანიზებული, შედარებით მსხვილი პურსაცხობები.

„საქპურტრესტის" ორგანიზაციის პერიოდში მის შემადგენლობაში მოხვდა №1 პურის ქარხანა, ნახევრადმექანიზებული თონე, 36-მდე კუსტარული პურსაცხობი და 10-მდე წვეილი ქართული პურსაცხობი თონე. ტრესტის შემადგენლობაში იყო აგრეთვე აჭარის წვრილი კუსტარული პურსაცხობები და ორი ქართული პურსაცხობი თონე. დანარჩენი პურსაცხობი საწარმოები, მაგალითად, აფხაზეთის, ქუთაისის, ზესტაფონის ბორჯომის, ახალქალაქის, ჭიათურის ტრესტში გაერთიანდნენ ცოტა მოგვიანებით. „საქპურტრესტის" დაარსებისას პურსაცხობი საწარმოთა ტექნიკური ერთობლივი სადღეღამისო სიმძლავრე დაახლოებით 150 ტონას შეადგენდა, 1932 წელს კი 184 ტონას, 1932 წელს საშუალოდ დღე-ღამეში ცხვებოდა 120 ტონა პური.[1]

პურსაცხობი მრეწველობის კონცენტრაციის შედეგად, სავაჭრო ბრუნვაში სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაზე მოდიოდა გამომცხვარი პურის 97 პროცენტზე მეტი, კერძო სექტორის ხვედრითი წონა კი უმნიშვნელო იყო.

1932 წლის დამლევს „საქპურტრესტში" დასაქმებული მუშამოსამსახურეთა პროფესიული კატეგორიისა და მათი საერთო რაოდენობის შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 5).

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 9, ფ. 2, 3.

როგორც ცხრილში მოტანილ მონაცემებიდან ჩანს პურსაცხობი მრეწველობაში დასაქმებული იყო: ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი – 38, მუშა – 583, მოსამსახურე – 56, უმცროსი დამხმარე პერსონალი – 78, მოწაფე – 32, სულ საწარმოებში – 787, ხოლო მთლიანად ტრესტის სისტემაში – 807 კაცი.

როგორც დავინახეთ მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საერთო რაოდენობაში ჯერ კიდევ მეტია დასაქმებული კუსტარულ პურსაცხობებში (287 კაცი). შეიმჩნევა აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობის ზრდა, რაც გამოწვეული იყო წარმოებაში მექანიზაციის დანერგვით. ამავე დროს გაიზარდა წარმოებაში დასაქმებულ დამხმარე მუშებისა და მოსწავლეთა რაოდენობაც, ეს კონტიგენტი წარმოადგენდა პროფესიულ მეპურეთა კადრების შევსების ერთ-ერთ წყაროს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მუშა-მოსამსახურე საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება, როგორც ხელფასის საერთო ფონდი, ისე საშუალო წლიური ხელფასი მაგალითად, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 1928-1929 წელს უდრიდა – 900 მანეთს, პირველი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი რესპუბლიკის პურსაცხობი მრეწველობის ფქვილით მომარაგების საქმეში, თუმცა თბილისის ფქვილით მომარაგება წინა წლებთან შედარებით უმჯობესდებოდა, ყოველ მიღებულ ფქვილს აუცილებლად ახლდა ფქვილის ხარისხის ამსახველი სერთიფიკატები, მაგრამ პერიფერიებში ეს საკითხი მოითხოვდა მოწესრიგებას 1927 წელს ფქვილზე დადგენილ სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად.

ფოთის ნავსადგურში გადმოტვირთულ ფქვილს არ ახლდა არავითარი ხარისხის მაჩვენებელი დოკუმენტი. ამავე დროს ფქვილი არ იყო ერთგვაროვანი ხარისხის და არ იყო გარკვეული მათი რაოდენობაც, რაც აძნელებდა საბარათო სისტემის პირობებში პურსაცხობების მუშაობას და მოსახლეობის ნორმალურად პურით უზრუნველყოფას, მაგალითად, ქუთაისის მოსახლეობას, რომ შეუფერხებლად მიელო გამომცხვარი პური, ფქვილის ნაცვლად იღებდნენ ხორბალს, რომელიცშემდეგ მოჰქონდათ 20-ზე მეტი კილომეტრის დაშორებით სოფლის პატარა წისქვილებში დასაფქვავად, რაც ცხადია

იწვევდა ტრესტის ზარალს და გეგმით გაუთვალისწინებელ ხარჯების გადიდებას.[1]

ცხრილი 5

„საქპურტრესტის“ საწარმოებში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1932 წ.[2]

წარმოების დასახელება	ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი	მოსამსახურე	მუშა	უმც. დამხმარე პერსონალი	მოწაფე	სულ
1. პურის ქარხნა	14	10	95	18	16	153
2. მექანიზებული პურსაცხობი	11	8	172	19	12	222
3. მექანიზებული თონე	1		6			- 7
4. კუსტარული პურსაცხობი	6	27	287	23	1	344
5. დანარჩენი წარმოება (თონე)	7	11	39	18	3	78

შექმნილი ვითარება უარყოფითად მოქმედება გამომცხვარი პურის ხარისხზე, ამას ისიც ემატებოდა, რომ ზოგიერთ პურსაცხობ საწარმო'ში მუშაობდა პურის ცხობის ტექნოლოგიური რეჟიმი, რაც კიდევ უფრო აუარესებდა პურის ხარისხს. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც პურის ცხობის ტექნოლოგიური პროცესი ირღვეოდა იმ მიზნითაც, რომ მოღებული ყოფილიყო რაც შეიძლება მეტი ნამატი და გაეზარდათ პირადი შემოსავალი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა 1932 წელს "საქპურტრესტის" ცენტრალურ ლაბორატორიის შექმნას, რომელსაც დაეკისრა რესპუბლიკაში პურის ცხობის ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, წარმოებუ-

[1] იქვე, საქ. 5, ფ. 1.
[2] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 2, ფ. 24.

ლი პროდუქციის ხარისხის ამაღლება და ასორტიმენტის გაფართოება.

მზა პროდუქციის რეალიზაცია (გარდა ქართული პურის საავჭრო საწარმოს) "საქპურტრესტს" არ ეკისრებოდა, ეს დავალებული ჰქონდათ თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციის პურის სექციას და "საქვაჭრობის" საცალო ვაჭრობის ქსელს. მაგრამ საწარმოებიდან პურის თავის დროზე გადატანას აბრკოლებდა სპეციალურ სატრანსპორტო ორგანიზაციების ("საქტრანსპორტი" და სხვ.) არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა და მათი შეუფერებლობა პურის გადაზიდვისათვის.

პირველ ხუთწლედში შესაძლებელი გახდა თბილისის მაკარონის საწარმოს რეკონსტრუქცია-გაფართოება, მისი საწარმოო სიმძლავის გადიდება დღე-ღამეში 2-3 ტონამდე, მაგრამ საწარმოო შეფერხებით მუშაობა სათანადო ხარისხის ფქვილის დროულად მიუღებლობის გამო.

პროდუქციის ხარისხი და მისი წარმოების მოცულობა ვერ აკმეყოფილებდა მასზე გაზრდილ მოთხოვნილებას, გადაუდებელ ამოცანად იქნა მიჩნეული მეორე ხუთწლედისათვის თბილისში ახალი მექანიზებული მაკარონის ფაბრიკის მშენებლობა.[1]

თბილისისა და სხვა ქალაქების მსხვილი წისქვილების გარდა საქართველოში 1928 წელს აღრიცხული იყო 12300 სოფლის წისქვილი, მიუხედავათ ამისა მათ არ შეეძლოთ ტერიტორიული გადაადგილებისა და მეტად მცირე სიმძლავრის გამო სამრეწველო დანიშნულების მარცვლეულის გადამუშავება, ისინი მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თუ გამოიყენებოდა.[2] ამიტომ, სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ფქვილსაფქვავი მრეწველობის შემდგომი განვითათარება იმ ვარაუდით, რომ მეორე ხუთწლედში დამთავრებულიყო 900 ტონა სადრეღამისო საფქვავი ფართობის სიმძლავრის საწარმოთა მსენებლობა, რომლებსაც უნდა მიეყვანათ საკუთარი ფქვილსაფქვავის ხვედრითი წონა რესპუბლიკის საერთო მოთხოვნილებების 60 პროცენტამდე.

---

[1] История индустриализации Грузинской ССР, (1926-1941 гг.) Документи и материалы, Тб., 1968, с. 323.

[2] საქართველოს უიცსა, ფონდი 632, ანაწ. 1, საქ. 1010, ფ. 9.

ამრიგად, 1928-1932 წლების მანძილზე საქართველოში აშენდა და გრძელდებოდა მრავალი საწარმოთა მშენებლობა, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, განხორციელდა საწარმოთა ახალი ტექნიკით გადაიარაღება,რამაც უზრუნველყო სოფლის მეურნობის პროდუქტების სამრეწველო გადამუშავების გაფართოება. სწრაფი აღმავლობით ვითარდება მსუბუქი მრეწველობა. საფუძველი ჩაეყარა კვების მრეწველობის, მათ შორის პურსაცხობი მრეწველობისა და მასთან ახლო მდგომი დარგების ინდუსტრიულ განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკურმა განვითარებამ ამ ხანებში მიიღო მრეწველური ხასიათი და მისი შემდგომი განვითარების ტენდენცია ასეთსავე გზით წარიმართა.

ბ. პუსაცხობი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

შემდგომ ეტაპზე ქვეყნის სოციალური გარდაქმნები ისეთსავე კურსით წარიმართა, როგორც პირველ ხუთწლედში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა კაპიტალური დაბანდების საგრძნობი ზრდა უფრო მეტად აჩქარებდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების ტემპებს. თუმცა ამ მხრივ უპირატესობა მძიმე მრეწველობას ენიჭებოდა, მაგრამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დასახულ იქნა მოსახლეობის უწინარესად სამომხმარებლო საქონლით და მათ შორის, სასურსათო პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესება.

პურსაცხობი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების მიზნით გამოყოფილი სახსრების რაოდენობა პირველ ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 4,9-ჯერ.

დასახული ამოცანის რეალიზაციის მიზნით საკავშირო მომარაგების სახალხო კომისარიატს გამოეყო (1934 წლის 29 ივლისი) კვების მრეწველობისა და შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარიატები. შეიქმნა შესაბამისი სახალხო კომისარიატები მოკავშირე რესპუბლიკებშიც.[1]

საქართველოში პურსაცხობი მრეწველობის შემდგომი განვითარების გეგმა ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობს სპეციალიზაციის

---

[1] История социалистической экономики СССР, том четвертый, М., 1979, с. 42.

გაღრმავების კვალობაზე საკავშირო ფონდიდან ხორბლეულის უფრო მეტი რაოდენობის გამოყოფას ვიდრე ეს პირველ ხუთწლედში იყო, მასთან ერთად სამრეწველო ცენტრების მანქანათმშენებლობის ბაზაზე დაყრდნობით მომქმედი პურსაცხობი საწარმოების რეკონსტრუქციას და ახალი სიმძლავრეთა ამოქმედებას.

1933 წლის დასაწყისში „საქპურტრესტის" პურსაცხობი წარმოების მთელი კუსტარული ბაზა, როგორც ტექნიკური, ისე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მიხედვით ვერ აკმაყოფილებდნენ პურისცხობის ნორმატიული მოთხოვნებს. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა თბილისის მსხვილი ნახევრადმექანიზებული პურის ქარხანა №1, რომელიც მოითხოვდა საფუძვლიან კაპიტალურ რემონტს, ამის გარეში იგი არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო თანამედროვე პურსაცხობ საწარმოდ. პურსაცხობის ნორმალურ მუშაობას აბრკოლებდა სათბობ-საწვავი მეურნეობების მექანიზაციის დაბალი დონე, აგრეთვე ზოგიერთ საწარმოთა საცხოვრელად გამოყენება.[1]

გამოცხობილი პურის თავისუფლად გაყიდვის მოსამზადებელ პერიოდში დაშვებულ იქნა ზოგიერთი შეცდომაც. ადგილებზე გათვალისწინებულ იქნა პურზე მოთხოვნილება გაცილებით მეტი, ვიდრე ეს რეალურად იყო საჭირო, მაგალითად, თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილება განსაზღვრა — 200 ტონა, ბათუმისა და სოხუმის თითოეულის 50,0 ტონა. ასეთი რაოდენობის პურის გამოცხობისათვის „საქპურტრესტმა" საჭიროდ სცნო ახალი პურსაცხბი საწარმოთა რეზერვის გამონახვა, მობილიზებული იქნა რამოდენიმე ათეული წვრილი კუსტარული პურსაცხობი. როდესაც რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების მითითებით „საქპურტრესტის" საწარმოებმა დაამზადეს აღნიშნული რაოდენობის პროდუქცია გამოირკვა, რომ თბილისისათვის საკმარისი ყოფილა 100 ტონა, ხოლო ბათუმისა და სოხუმისათვის 18-20 ტონა. ამრიგად, წარმოებული იყო იმაზე მეტი პური, ვიდრე მასზე იყო მოთხოვნილება. „საქპურტრესტი" იძულებული გახდა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ არარეალიზებული პური ორცხობილად გადაემუშავებინათ, ხოლო რეზერვში მყოფი წვრილი კუსტარული პურსაცხობები გადაეცათ სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის. ყოველივე ამის შედეგად საქართველოსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების პურსაცხობი მრეწველობა ჯერ კიდევ

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 2, ფ. 1, 2.

მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა შესაბამის დარგის განვითარების საერთო საკავშირო დონეს.

1933 წელს „საქპურტრესტის“ საწარმოო ბაზა შედგებოდა 63 ერთეულისაგან და მოიცავდა ქალაქებს: თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, გაგრას, ოჩამჩირეს, გუდაუთას, ცხინვალს და ბორჯომს. მათ შორის:

I. 1 პურის ქარხანა

II. 3 ნახევრადმექანიზებული პურსაცხობი (მათ შორის ბორჯომში და ცხინვალში არ იყო დამთავრებული მექანიზაცია)

III. 1 მექანიზებული თონე (ქართული პურის)

IV. 35 კუსტარული პურსაცხობი (რუსული პურის)

V. 23 კუსტარული თონე.

ყველა დასახელებულ საწარმოთა ერთობლივი სიმძლავრე შეადგენდა დღე-ღამეში — 362,5 ტონას, მათ შორის:

1. პურის ქარხნის 54 ტონა
2. ნახევრადმექანიზებული პურსაცხობების — 70,0 ტონას
3. ნახევრადმექანიზებული თონეების — 10,0 ტონას
4. კუსტარული ფურნეების (რუსული პურის) — 203,0 ტონას, მათ შორის ფუნთუშეულის ფაბრიკის — 3,0 ტონას.
5. კუსტარული თონეების (ქართული პურის) — 22,5 ტონას.

როგორც მოყვანილ მანაცემებიდან ჩანს, პურსაცხობების უმრავლესობა წარმოადგებდნენ კუსტარული ტიპის საწარმოებს (2-დან 4 ტონას), გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ოთხი შედარებით მსხვილი კუსტარული პურსაცხობი თბილისში, სოხუმში, ბათუმში და ქუთაისში, რომლებიც ექსპლუატაციაში გადაეცა 1930 წლის შემდეგ. მათი მექანიზაციის დასრულების შემდეგ, თვითოეული საწარმოს სიმძლავრე გაიზრდებოდა 30-35 ტონამდე, რაც უნდა განხორციელებულიყო 1934 წლის მეორე კვარტალში. იმისათვის, რომ დაჩქარებულიყო რესპუბლიკის პურსაცხობი მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქცია და ახალი სიმძლავრეთა ამოქმედება. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით (1933 წ. 27 თებერვალი) თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ხაშურის და ბორჯომის პურსაცხობი საწარმოების მშენებლობა, როგორც ქვეყნის თავდაცვითი მნიშნელობის ობიექ-

ტები, გამოცხადდა „დამკვრელურ მშენებლობად“,[1] მაგრამ მათი ფონდირებული მომარაგება მასალებით და მოწყობილობებით ფერხდებოდა.

1934 წელს „საქპურტრესტის“ სისტემას შემოუერთდა ახალქალაქის, ზესტაფონის, ფოთის და გუდაუთის პურსაცხობები, ამავე დროს ლიკვიდირებულ იქნა თბილისში 12 პურსაცხობი და 6 თონე. მთელი წლის მანძილზე საწარმოების მექანიზაცია საერთოდ არ განხორციელდა და ცხადია, არ შესრულდა გეგმით გათვალისწინებული მექანიზაცია თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალისა, ხაშურის და ბორჯომის პურსაცხობების. მხოლოდ 1934 წლის დეკემბერს დამთავრდა და ექსპლუატაციაში გადაეცა რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი თბილისის პურსაცხობი ქარხანა №2.

1934 წლის დამლევს „საქპურტრესტის“ საწარმოო ბაზა შედგებოდა: ორი — 154,0 ტონა სიმძლავრის პურსაცხობი ქარხნისაგან, 1 მექანიზებული პურსაცხობი (50,0 ტონა სიმძლავრის), 1 მექანიზებული თონე (9,0 ტონა სიმძლავრის), 56 კუსტარული პურსაცხობი (187,2 ტონა სიმძლავრის) მექანიზებული თონე (13,0 ტონა სიმძლავრის). ამრიგად ტრესტის შემადგენლობაში იყო 71 საწარმო, რომელთა ერთობლივი სიმძლავრე შეადგენდა 413,2 ტონას. როგორც დავინახეთ ძირითად საწარმოო ბაზას წარმოადგენდა 67 წვრილი, კუსტარული საწარმო — 0,8-დან 3,5-მდე ტონა სიმძლავრის.[2] ბევრ ასეთი ტიპის საწარმოებში (ზესტაფონის, ოჩამჩირის, ფოთის, ქუთაისის და სხვ.) შეუძლებელი იყო კაპიტალური რემონტის ან მექანიზაციის განხორციელება, მათი არარენტაბელურობა უარყოფითად მოქმედებდა ტრესტის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. 1935 წლის 1 იანვრიდან მთელ კავშირში გაუქმდა საბარათო სისტემა ფქვილზე, ბურღულზე და გამომცხვარ პურზე, რამაც კიდევ უფრო დიდი როლის შესრულება დააკისრა რესპუბლიკის პურსაცხობ მრეწველობასაც. მოვლენათა ვითარება მოითხოვდა პურის ცხობის წარმოების პროცესების ავტომატიზაციას და მექანიზაციის დანერგვა-გაუმჯობესებას, პროსუქციის წარმოების მკვეთრად გადიდებას. ამ მხრივ მდგომარეობა უმჯობესდება 1935 წლის პირველ მეოთხე-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 1, საქ. 2, ფ. 36.

[2] იქვე, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 5, ფ. 1.

დიდან. თბილისის ახალი პურსაცხობი ქარხანა №2 თანდათანობით ზრდის პროფუქციის წარმოებას. მწყობრში ჩადგა ჭიათურისა და ტყვარჩელის მექანიზებული პურსაცხობები. დაიწყო ტექნიკური რეკონსტრუქცია სოხუმის, ხაშურისა და ბორჯომის პურსაცხობების. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა თითქმის ყველა მექანიზებულ, ნახევრადმექანიზებულ და მსხვილ კუსტარულ საწარმოებს, რომლებსაც შეეძლოთ უზრუნველეყოთ მათი სიმძლავრეთა სრული დატვირთვით გამოყენება. 1935 წელს „საქპურტრესტის" საწარმოთა ერთობლივი სიმძლავრე შეადგენდა 514 ტონას, მათ შორის მექანიზებული ბაზის — 160 ტ. ნახევრადმექანიზებულის — 158 ტ. და კუსტარული ბაზის — 97 ტონას.

მექანიზებულ ბაზას მიეკუთვნებოდა ორი პურის ქარხანა თბილისში, სადაც პურის ცხობის თითქმის ყველა პროცესი იყო მექანიზებული. ნახევრადმექანიზებულ 6 პურსაცხობიდან ორი იყო თბილისში, სადაც მექანიზებული იყო ცომსაზელი და ფქვილსაცრელი საამქროები. სოხუმის, ჭიათურის, ხაშურისა და ბორჯომის საწარმოებში არ განხორციელებულა მთლიანი მექანიზაცია, მაგრამ საგრძნობლად შემცირდა ხელით შრომა.

კუსტარული ბაზა შედგებოდა 35 წვრილ საწარმოებისაგან, რომელთა ერთობლივი სიმძლავრე შეადგენდა 96 ტონას.

1935 წლის განმავლობაში მექანიზებული ბაზა უცვლელი დარჩა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა ნახევრადმექანიზებული ბაზა (167,7 პროცენტით), ახალი პურსაცხობების აშენების ხარჯზე. 17 წვრილი კუსტარული საწარმო (34 ტ. ერთობრივი სიმძლავრის) გადაეცა სავაჭრო ორგანიზაციებს, რამაც გავლენა იქონია მთელი საწარმოო ბაზის რიცხობრივ ზრდაზე, ახალი საწარმოების ექსპლუატაციაში გადაცემის მიუხედავად საწარმოო ბაზის სიმძლავრე გაიზარდა მხოლოდ 5 ტონით.

ფქვილის არასტაბილური მიღებისა და სავაჭრო ორგანიზაციების გაუმართავი მუშაობის შედეგად ზოგჯერ ფერხდებოდა მექანიზებულ საწარმოთა სრული დატვირთვით მუშაობა, რომელიც წლის მანძილზე 30 პროცენტს აღწევდა.[1] იმასთან დაკავშირებით, რომ წლის განმავლობაში მერყეობდა მექანიზებული საწარმოთა დატვირთვა — ორი თვე უქმად იდგა თბილისის ნახევრადმექანიზებული

---

[1] იქვე, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 9, ფ. 22, 23, 24.

პურსაცხობის №1-ის ერთ-ერთი საამქრო, ამასთან ერთად დაკონსერვებული იქნა თბილისის კუსტარული პურსაცხობები (5 ტონა) და ბათუმის (4 ტონა) ერთობლივი სიმძლავრის საწარმო.

1935 წლის მეორე ნახევრიდან მკვეთრად გაიზარდა პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობაში, კუსტარულ წარმოებასთან შედარებით, მექანიზებული ბაზის ხვედრითი წონა და იგი შეადგენდა 56,9 პროცენტს, ხოლო კუსტარულისა 43,1 პროცენტს.[1]

საქართველოს კვების მრეწველობის სისტემაში პურსაცხობი მრეწველობა გადაიქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდუსტრიულ დარგად.

1936 წლის მანძილზე პურის ქარხნებმა რიცხობრივად არ მოიმატა, მაგრამ მათი სადღეღამისო სიმძლავრე ახალი ნორმების დაწესებასთან დაკავშირებით გაიზარდა 21 ტონამდე. კუსტარული პურსაცხობის რეკონსტრუქციის შემდეგ მექანიზებული პურსაცხობების რაოდენობა გაიზარდა 2 ერთეულით: კვეზანის (12 ტონა სიმძლავრის) და ბათუმის (30 ტონა სიმძლავრის). კუსტარული ბაზა გაიზარდა 24 ერთეულით, მაგრამ მათი სადღეღამისო სიმძლავრე შემცირდა 14,3 ტონით. კუსტარული პურსაცხობების ზრდა გამოწვეული იყო ზოგიერთ რაიონში წვრილი თონეების აშენებით, რომელთა ერთობლივი სიმძლავრე შეადგენდა 15,7 ტონას: კუსტარული პურსაცხობების სადღეღამისო სიმძლავრის შემცირება კი დაკავშირებული იყო ბათუმის მსხვილი კუსტარული საწარმოს მექანიზებულ წარმოების კატეგორიაში გადაყვანით. ამრიგად, „საქპურტრესტის“ პურის ქარხნებისა და მექანიზებული პურსაცხობების სადღეღამისო სიმძლავრე გაიზარდა 84 ტონით ანუ 35 პროცენტით, ხოლო კუსტარული ბაზის სიმძლავრე შემცირდა 14,3 ტონით, ანუ 9,4 პროცენტით. მთლიანად „საქპურტრესტის“ საწარმოთა სიმძლავრე გაიზარდა 72,7 ტონით, ანუ 18,2 პროცენტით. ამრიგად, ტექნიკური ბაზის ხვედრითმა წონამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა კუსტარულს და იგი შეადგენდა 68,2 პროცენტს.

1936 წლის დამლევს დაკონსერვდა 5 პურსაცხობი (13 ტონა ერთობლივი სიმძლავრის), მათ შორის ორი პურსაცხობი (კოჯრისა

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 16, ფ. 18.

და ბარცხანას), როგორც სეზონური მნიშვნელობის, ხოლო დანარჩენი – როგორც სარეზერვო.[1]

ამრიგად, 1936 წლის დამლევს „საქპურტრესტის" მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წარმოგვიდგება შემდეგი სახით (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6

„საქპურტრესტის" მატერიალუ-ტექნიკური ბაზა 1936 წელს[2]

	რაოდენობა		სიმძლავრე	(ტონობით)
	მომქმედი	დაკონსერვებული	მომქმედი	დაკონსერვებული
პურის ქარხნები	2	–	146,0	–
მექანიზებული პურსაცხობები	9	–	189,0	–
კუსტარული პურსაცხობები	65	5	138,0	13,0
სულ	76	5	473,0	13,0

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ პურფუნთუშეულის მექანიზებული საწარმოთა ხვედრითი წონა 1936 წელს შეადგენდა 65,1 პროცენტს, ხოლო კუსტარული ბაზის 34,9 პროცენტს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ პურსაცხობ საწარმოში მიმდინარეობდა ახალი მანქანა-დანადგარებით შეიარაღების პროცესი, ამ მხრივ არსებობდა რიგი ნაკლოვანებანი, კერძოდ, ჯერ კიდევ საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოთავსებული იყო იჯარით აღებულ შენობებში. კუსტარული პურსაცხობები (ფურნეები) უმთავრესად აღჭურვილი იყვნენ რუსული და გერმანული ტიპის ღუმელებით. მიუხედავად იმისა, რომ შეკეთება ტარდებოდა სისტემატურად, მათი ამორტიზაცია შეადგენდა 30-40 პროცენტს. ნახევრადმექანიზებული პურსაცხობებიდან მხოლოდ ბათუმის პურსაცხობში განხორციელდა მოძველებული მანქანა-დანადგარების შეცვლა ახალი კონსტრუქციის ღუმელებით, ცომსაზელებით, ფქვილსაცრელებით და სხვა სახეობის

[1] იქვე, ფ. 8, 9, 10.
[2] იქვე, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 16, ფ. 8ᵃ.

სიმძლავრეებით. ხაშურის, ბორჯომის, ჭიათურისა და კვეზანის მექანიზებული პურსაცხობები აგებული იქნენ პურის ქარხნების ტიპიური პროექტის მიხედვით, სადაც დამონტჟდა თვითეულ საწარმოში 3 ახალი კონსტრუქციის ღუმელი, მაგრამ პროექტში შეტანილი ზოგიერთი ცვლილების გამო მათი სრული დატვირთვით გამოყენება ვერ მოხერხდა. თბილისის პურის ქარხანა №1 რომელიც მოითხოვდა ძირითად საწარმოო ფონდების მთლიან განახლებას, არ განხორციელდა მისი ქალაქის რეკონსტრუქციის ზონაში მოხვედრის გამო.

თბილისის პური ქარხნებს არ გააჩნდათ სათადარიგო ცომსაზელები, საერთოდ მექანიზებული საწარმოები არ იყვნენ უზრუნველყოფილი სათადარიგო ნაწილებით: როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს ხშირად ამ საკითხებზე მოთხოვნებს „გლავხლების“ მომარაგების განყოფილება უყურადღებოდ ტოვებდა, ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში სათადარიგო ნაწილები „საქპურტრესტის“ ძალებით მზადდებოდა. ტრესტის საწარმოები განიცდიდნენ ელექტროძრავების, ელექტროაღმრიცხველების, მცირე მოცულობის ორთქლის ქვაბების და სხვა მოწყობლობათა დიდ ნაკლებობას.[1]

1937 წლის სხვადასხვა დროს „საქპურტრესტის“ სისტემაში გადავიდა თბილისის მაკარონის ფაბრიკა, თბილისისა და ბათუმის 2 ტარის ქარხანა, „მარგანტრესტის“ მუშათა მომარაგების განყოფილბების პურსაცხობი ჭიათურაში და „ქვანახშირის“ ტრესტის პურსაცხობი ტყიბულში, „საქპურტრესტის“ ერთ საჩვენებელ მაღაზიას დაემატა კიდევ პურფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ორი მაღაზია. განხორციელდა აგრეთვე ტრესტის მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია. „საქპურტრესტთან“ სამეურნეო ანგარიშზე არსებული „პუგასაღების“ კანტორა, რომელსაც დავალებული ჰქონდა საცალო ვაჭრობის ქსელიბს ხელმძღვანელობა, ლიკვიდირებულ იქნა და ეს ფუნქცია გადაეცა ტრესტში ახლადშექმნილ გასაღების ჯგუფს. ტრესტის სისტემაში შეიქმნა 20 საბალანსო ერთეული: 16 პურსაცხობი საწარმო, 3 თბილისის საჩვენებელი მაღაზია და 1 ავტოსატრანსპორტო მეურნეობა, რომლებიც ანგარიშვალდებული იყვნენენ ტრესტის წინაშე. ხოლო თბილისის — ორი, ბათუმის ერთი

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 16, ფ. 43.

მაღაზია და მაკარონის ფაბრიკა ანგარიშს აბარებდნენ საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

საერთო ჯამში საწარმოთა ერთობრივმა სადღეღამისო სიმძლავრემ დაიკლო მხოლოდ 4 ტონით, ეს გამოწვეული იყო პროდუქციის ასორტიმენტის მნიშვნელოვნად გაფართოებით ვინაიდან მოთხოვნილების შესაბამისად პროდუქციის ერთ სახედან მეორეზე გადასვლა ამცირებდა სადღეღამისო პროდუქციის წარმოებას.

1937 წელს მომქმედ საწარმოთა სიმძლავრე უდრიდა 469 ტონას, აქედან 334 ტონა მოდიოდა 2 პურის ქარხანაზე და 10 ნახევრადმექანიზებულ პურსაცხობებზე. ამრიგად, კუსტარულ საწარმოებზე მოდიოდა მხოლოდ 135 ტონა, ანუ მომქმედ საწარმოთა ერთობრივი სიმძლავრის 34,5 პროცენტი.[1]

თუმცა ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განმტკიცდა, მაგრამ ზოგიერთი პურსაცხობები, გამსაკუთრებით რაიონებში, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქში, მოითხოვდნენ ტექნიკურ გაუმჯობესებას, ხოლო მსხვილი პურსაცხობის საამქროები უახლესი ტექნიკით აღჭურვას.[2] რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ მოქმედებდა ავტომატ-ქარხნები. ამის საჭიროებამ განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი თბილისის მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მექანიზირებული პურსაცხობი №1-ის ლიკვიდაციის გამო. 1938 წლის დასაწყისში „საქპურტრესტის" სისტემაში გაერთიანებული იყო საქართველოს კვების მრეწველობის სამი სახის წარმოება პურსაცხობის, საკონდიტროს და მაკარონის მრეწველობა. აქამდე „საქპურტრესტის" დაქვემდებარაბაში მყოფი ტარის წარმოება, საქართველოს კვების მერწველობის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, მეორე კვარტლის დასაწყისში გადაეცა სხვა სისტემას. ამოქმედდა ორი მექანიზებული პურის ქარხანა — ზასტაფონის 13 ტონა სიმძლავრის და ოჩამჩირის 26 ტონა სიმძლავრისა. ორივე ეს ქარხანა აღჭურვილი იყო გრინშპუნის სისტემის ღუმელებით და მოძრავი მექანიზმებით. 1938 წლის დამლევს „საქპურტრესტის" სა-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 18, ფ. 6, 34, 35.

[2] იქვე, ფ. 34.

წარმოო ბაზის სიმძლავრე დღე-ღამეში 576,3 ტონას შეადგენდა, ანუ 107 ტონით მეტს ვიდრე 1937 წელს.[1]

მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემის შედეგად 1939 წელსაც განხორციელდა „საქპურტრესტის“ სტრუქტურის ნაწილობრივი რეორგანიზაცია, მათ შორის ყურადღებას იმსახურებს განკარგულება (1939 წ. ივლისი) იმის შესახებ, რომ „საქპურტრესტის“ ჭიათურის განყოფილება ყველა თავისი პურსაცხობი საწარმოებით დაუყოვნებლივ უნდა გადასულიყო „საქვაჭრობის“ სისტემაში. ეს განყოფილება „საქვაჭრობის“ სისტემაში იმყოფებოდა მხოლოდ ორ თვემდე და კვლავ დაუბრუნდა „საქპურტრესტს“, მაგრამ არა მთლიანად, საჩხერის პურსაცხობი საწარმო ახლა გადასცეს სამომხმარებლო კოოპერაციას. მთელი წლის განმავლობაში ასეთმა სტრუქტურულმა ცვლილებამ უარყოფითად იმოქმედა ჭიათურის საწარმოო ბაზის სიმძლავრეთა დატვირთულობაზე და პროდუქციის თვითღიერბულებაზე. ასევე „საქპურტრესტის“ სისტემიდან გავიდა თბილისის საკონდიტრო ქარხანა №1, მაგრამ მის სისტემაში კვლავ დარჩა საკონდიტრო სახელოსნო. ისე, როგორც წინა წლებში ტრესტი ახორციელებდა თავის წარმოებრივ მოღვაწეობას თბილისში და სხვა ქალაქებში, აგრეთვე სამრეწველო ცენტრებსა და საკურორტო ზონებში.

1938 წელს თბილისის საფუნთუშე საწარმო №2-ის ბაზაზე შეიქმნა კუსტარულ საწარმოთა სამმართველო. მასში გაერთიანდა გარდა საფუნთუშესი, თბილისის ახლო მდებარე რაიონების კუსტარული პურსაცხობები და „თბილვაჭრობის“ ამავე ტიპის საწარმოები. წლის მანძილზე განხორციელდა ზოგიერთი საწარმოს მოდერნიზაცია და მათი არჭრუვა ახალი ტექნიკით. 1939 წლის პირველ კვარტალში ამოქმედდა ტყიბულის ახალი მექანიზებული პურსაცხობი, დღე-ღამეში 6 ტონა სიმძლავრის.[2] დამთავრდა ბათუმის მექანიზებული პურსაცხობის რეკონსტრუქცია და იგი ექსპლუატაციაში შევიდა როგორც პურის ქარხანა, დღე-ღამეში 39 ტონა სიმძლავრის. რეკონსტრუქციის შედეგად გაგრის კუსტარული საწარმო გადაკეთდა მექანიზებულ პურსაცხობად, რომლის სიმძლავრე დღე-ღამეში გაიზარდა 10 ტონამდე. დასრულდა აგრეთვე ფოთის მექანიზე-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 23, ფ. 130, 131.
[2] იქვე, საქ. 28, ფ. 141.

ბული პურსაცხობის რეკონსტრუქცია, მისი სიმძლავრე გადიდდა 12 ტონამდე. ჭალადიდში აშენდა ახალი კუსტარული პურსაცხობი. ცალკეულ საწარმოებში (თბილისში, ბათუმის) მექანიზაციის დანერგვის შემდეგ გაუმჯობესდა წარმოების ზოგიერთი პროცესი, შემცირდა ხელით შრომის მოცულობა და გაიზარდა საწარმოთა სიმძლავრე, ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს თბილისის პურის ქარხნის №2-ში ცომის დამანაწილებელი აგრეგატის ე. წ. „ჩემპიონის“ დადგმა, რამაც საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და ცალობითი პურის წარმოება. იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა მექანიზებული საწარმოების დატვირთულობა, შესაძლებელი გახდა რამდენიმე კუსტარული საწარმოს (ქუთაისი, ფოთი) დაკონსერვირება, მაგრამ ამავე დროს იქ, სადაც პურფუნთუშეულზე გაიზარდა მოთხოვნილება და მათ ვერ აკმაყოფილებდა მომქმედი ბაზა, ამოქმედდა ზოგიერთი დაკონსერვირებული საწარმო.

1938-1939 წწ. „საქპურტრესტის“ საწარმოო ბაზა წარმოგვიდგება შემდეგი სახით (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7

„საქპურტრესტის“ მომქმედი საწარმოო ბაზა 1938-1939 წწ.[1]

	1938 წ.		1939 წ.	
	რაოდენობა	სიმძლავრე (ტონობით)	რაოდენობა	სიმძლავრე (ტონობით)
პურის ქარხნები	4	131,3	5	210,5
მექანიზებული პურსაცხობები	10	167,3	12	176,1
კუსტარული პურსაცხობები	129	178,4	126	190,4
სულ	143	477,0	143	577,0

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს 1938-1939 წწ. მანძილზე პურის ქარხნების საერთო რაოდენობა გაიზარდა 1 ერთეულით, მექანიზებული პურსაცხობების 2, ხოლო კუსტარული საწარ-

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 28, ფ. 142.

მოები შემცირდა 3 ერთეულით. შესაბამის წლებში მომქმედი საწარმოო ბაზის სიმძლავრე გაიზარდა 100 ტონამდე.

იმასთან დაკავშირებით, რომ „საქპურტრესტს“ გადაეცა სავაჭრო ორგანიზაციებიდან კუსტარული საწარმოები, შესაძლებელი გახდა საწარმოების დატვირთულობის გადაჯგუფება მექანიზებული საწარმოების მთლიანი დატვირთვის მიმართულებით კუსტარული ბაზის ხარჯზე. ამასთან ერთად მექანიზებულ საწარმოებში ათვისებულ იქნა ისეთი სახის პროდუქციის წარმოება, რომლებიც აქამდე ცხვებოდა კუსტარულ საწარმოებში. უმჯობესდებოდა პურის ცხობის ტექნოლოგია და მისი ხარისხი. ამ საწარმოებში პროდუქციის წარმოების გაფართოების კვალობაზე მცირდება კუსტარულ საწარმოთა რაოდენობა მათი კონსერვაციაში გადაცემის გზით.[1]

1940 წლის მონაცემებით „საქპურტრესტის“ საწარმოებში სულ დადგმული იყო 267 პურსაცხობი ღუმელი, მათ შორის 21 მექანიზებული, 24 ცომისმზელავი და 18 გასაცრელი მანქანა.[2] ტრესტის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება 1939 წ. შეადგენდა – 9753,7 ათას მანეთს, ხოლო 1940 წ. – 10546,0 ათას მანეთს.[3]

თუმცა ძველი და ახალი საწარმოთა მექანიზაციის დონე წლითიწლობით უმჯობესდებოდა, მაგრამ პურსაცხობი მრეწველობის სამრეწველო-საწარმოო ფონდების ზრდის ტემპები რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა რესპუბლიკის კვების მრეწველობის სხვა დარგებს. (მაგალითად, ღვინის, კონიაკის, მინერალური წყლების წარმოებას).

პურსაცხობი მრეწველობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის გადაუდებელ ამოცანას შეადგენდა ძირითადი ფონდების სახეობრივი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა, კერძოდ, ძირითად საწარმოო ფონდებში აქტიური ნაწილის გადიდება წარმოების სიმძლავრეთა უფრო რაციონალური გამოყენებით. ამასთან ერთად, მეტი ყურადღების დათმობა სჭირდებოდა საწარმოებში ელექტროენერგეტიკის გამოყენების კოეფიციენტის გადიდებას და მუშათა შრომის ელექტროშეიარაღების ზრდის ტემპების დაჩქარებას.

---

1 საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 23, ფ. 35.

2 Пищевая промишленность Грузинскои ССР за 40 лет, М., 1961.

3 საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 1, საქ. 28, ფ. 3.

გ. წარმოებრივი პერსონალი

„საქპურტრესტის“ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა საწარმოების უზრუნველყოფას სათანადო კადრებით, მათ მომზადებისა და განაწილების სწორ ორგანიზაციის საკითხებს. ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების შედეგად, პურსაცხობი მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობა განიცდის საგრძნობ ცვლილებებს. ძველი კადრების ნაცვლად საწარმოებში მოვიდა ბევრი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდა კვალიფიციური სპეციალისტები, მათ შორის ქალებიც. როგორც კვების მრეწველობის სხვა დარგებში, წარმოების სპეციფიკა და მექანიზაცია, ჰქმნიდა სათანადო პირობებს ქალთა შრომის გამოყენებისათვის.

„საქპურტრესტის“ სისტემაში დასაქმებული კადრების რაოდენობა 1933-1937 წწ. ჩანს ქვემოთმოტანილ მონაცემებიდან (იხ. ცხრილი 8).

ცხრილი 8

„საქპურტრესტში“ დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რაოდენობა 1933-1937 წწ.[1]

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.
მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა	511	1541	1819	2050	1842
მათ შორის:					
მოსამსახურე	127	189	221	258	165
მუშა	247	1203	1398	1545	1452
ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი	48	61	99	130	115
დამხმარე მოსამსახურე პერსონალი	78	69	91	117	110
მოწაფე	11	19	10	–	–

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 2, ფ. 24, იქვე, საქ. 9, ფ. 99, საქ. 16, ფ. 2, საქ. 18, ფ. 39.

როგორც დავინახეთ 1933-1937 წლებში, „საქპურტრესტის“ სისტემაში დასაქმებული მუშათა საერთო რაოდენობა გაიზარდა 3,6-ჯერ, მუშათა რაოდენობა 5,8-ჯერ, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის 2,3-ჯერ. მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა აგრეთვე მოსამსახურეთა და დამხმარე მოსამსახურე კადრებს შორის.

1937 წელს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის, მათ შორის ინჟინერ-ტექნიკური და დამხმარე მოამსახურე პერსონალის შემცირება 1936 წელთან შედარებით გამოწვეულია ზოგიერთი წვრილი კუსტარული საწარმოთა შემცირებით, ხოლო მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდა საცალო ვაჭრობის ქსელის გაფართოებისა და მათში დასაქმებული თანამშრომელთა კონტიგენტის შემოერთებით.

ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის 2,3-ჯერ გაზრდა მეტყველებს პურსაცხობი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პურის ცხობის წარმოების განუხრელ აღმავლობაზე.

„საქპურტრესტის“ სისტემაში კადრების დენადობა რესპუბლიკის სხვა დარგებთან შედარებით უფრო სტაბილური იყო, მაგრამ 1935 წელს ზოგიერთი მსხვილი მექანიზებული საწარმოთა დაუტვირთველობამ და საერთო საცხოვრებლების არასაკმარისმა რაოდენობამ, გამოიწვია კადრების მაღალი დენადობა. თუ წლის მანძილზე ტრესტის სისტემაში მიღებული იყო 385 კაცი, წავიდა 404 კაცი, ანუ მუშათა საერთო რაოდენობის 24,7 პროცენტი. მუშათა დენადობა უმთავრესად მოდიოდა დაბალი კვალიფიკაციის კატეგორიის მუშებზე.[1]

საქართველოს პურსაცხობი მრეწველობის მექანიზაციის დონის ამაღლების პროცესი, მისი ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა საჭიროებდა სათანადო კვალიფიციური კადრების მომზადებას და მათ განაწილებას სამუშაოდ სხვადასხვა რაიონების საწარმოებში. ამ მიმართულებით თავიდან დიდი როლი შეასრულა თბილისის პურის ქარხნებმა და რაიონების მექანიზებულმა პურსაცხობებმა, მაგრამ პურსაცხობი მრეწველობა განვითარების საწყის ეტაპზე საჭიროებდა საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის მუშას, ტექნიკოსს, ინჟინერს, ტექნოლოგს, მგეგმავს და სხვა სპეციალისტს. ამ მიზნით 30-იან წლებში თბილისში შეიქმნა საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი. კადრების მომზადება წარმოებდა აგრეთვე „საქპურტრესტის“ ხაზი-

---

[1] იქვე, ფონდი 1395, საქ. 9, ფ. 36.

თაც, სადაც შეიქმნა სწავლების ფართო ქსელი. 1936 წელს კადრების მომზადების გაუმჯობესებისათვის გამოიყო 110472 მანეთი, აქედან მუშათა ტექნიკური სწავლებისათვის 55 ათასი მანეთი. ტრესტის სისტემაში კადრების სწავლებაზე (გარდა საქარხნო-საფაბრიკო სწავლებაზე) დაიხარჯა 53857 მანეთი. 1936 წელს გამოყოფილი თანხის აუთვისებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ ტრესტს არ შეეძლო რაიონებიდან მუშების მოწვევა საერთო საცხოვრებლის უქონლობის გამო.

1936 წელს საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი დაამთავრა და მიღებულ იქნა ტრესტის სისტემაში სამუშაოდ 16 კაცი, ხოლო პირველ კურსზე ჩაირიცხა 47 კაცი. 1935-1936 წწ. საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის საჭიროებისათვის დაიხარჯა 30745 მანეთი.

ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა ჰურის ქარხანა №2-ს, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საწარმოო მაჩვენებლებზე. ტექნიკურ სწავლებაში ასევე კარგ შედეგებს მიაღწიეს აფხაზეთისა და ქუთაისის განყოფილებებმა. ზოგიერთ რაიონულ საწარმოებში (ბორჯომი, ზესტაფონი, ჭიათურა და სხვ.) ტექნიკური სწავლება არ ტარდებოდა კვალიფიციური მასწავლებლების არ ყოლის გამო. რაც შეეხება ბათუმის განყოფილებას, აქ ტექნიკური სწავლების გეგმა მხოლოდ 30 პროცენტით შესრულდა.[1]

1937 წელს ტექნიკური მინიმუმის მომზადების სახელმწიფო გამოცდა ჩაბარა 412 კაცმა, მასიური კვალიფიკაციის კურსები დაამთავრა 63 კაცმა, ხელმძღვანელ მუშაკთაგან კვალიფიკაცია აიმაღლა 10 კაცმა, ტექნიკური მინიმუმის მომზადების გეგმა არ შესრულდა, მაგრამ გადაჭარბებით შესრულდა საკურსო სწავლების გეგმა. ტექნიკური მინიმუმის სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობას იწვევადა ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურისა და კვალიფიციური მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა.

ადგილობრივი კადრების მომზადების საქმეში დიდ დახმარებას უწევდნენ რესეთისა და უკრაინის მსხვილ საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. მაგალითად, ლენინგრადისა და ოდესის ჰურსაცხობი მრეწველობის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სისტემა-

---

[1] იქვე, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 16, ფ. 37, 38.

ტურად იგზავნებოდნენ გადამზადებისათვის პურსაცხობი საწარმოების დირექტორები, ტექნოლოგები და სხვა სპეციალისტები.

ახალი პურის ქარხნების მშენებლობამ, ძველი საწარმოთა მექანიზაციის გაუმჯობესებამ და პროდუქციის წარმოების გადიდებამ გამოიწვია „საქპურტრესტის“ სისტემის მუშა-მოსამსახურეთა და მათ შორის სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ზრდა. ამავე დროს საწარმოებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის თვისებრივი ცვლილებების მიმართულებით (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი 9

„საქპურტრესტში“ დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა საშუალოწლიური რაოდენობა 1938-1939 წწ.[1]

	1938 წ.	1939 წ.
მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა	2382	2570
მათ შორის:		
მუშა	1785	1928,5
იმჟინერ-ტექნიკური პერსონალი	159	179,5
მოსამსახურე	281,5	297
დამხმარე მოსამსახურე პერსონალი	124	132
მოწაფე	32,5	33

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს წლის მანძილზე მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა გაიზარდა 7,8 პროცენტით, მათ შორის მუშებისა 8 პროცენტით, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა 12,8 პროცენტით, მოსამსახურეთა 5,5 პროცენტით და ა. შ.

მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე სპეციალური ტექნოლოგიური ფაკულტეტის შექმნას.

თუ 1937 წელს „საქპურტრესტის“ სისტემაში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა 115 კაცს შეადგენდა, 1940 წლის დასაწყისში მათი რიცხვი გაიზარდა 180 კაცამდე. მათ შორის უმრავლესობას უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული. განსაკუთრე-

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 28, ფ. 112.

ბით აღსანიშნავია წინა წლებთან შედარებით საწარმოებში მოწაფეთა რაოდენობის მატება. 1935 წელს სულ 10 მოწაფე ირიცხებოდა, 1936-1937 წლებში საერთოდ მოწაფეები არ ჰყავდათ, 1939 წლისათვის კი ირიცხებოდა 33 მოწაფე. მოწაფეთა რაოდენობის მატება დაკავშირებული იყო ახალგაზრდა მუშათა კადრების ადგილზე მომზადების აუცილბლობით, მაგრამ ახალგაზრდა მუშათა კადრებით შევსება უმთავრესად ხდებოდა სპეციალიზებული საქარხნო-საფაბრიკო სასწავლბლიდან, ბევრი მათგანი მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ასე მაგალითად, წარმოების ხელმძღვანელად, ლაბორატორიის გამგედ და ა. შ.

კადრების მომზადებისა და გადამზადების ქსელში 1938 წელს ტექმინიმუმის პირველი საფეხურის სახელმწიფო გამოცდა ჩააბარა 376 კაცმა, ხოლო მეორე საფეხურისა — 206 კაცმა.

1939 წელს პირველი საფეხურის ტექმინიმუმის გამოცდა ჩააბარა664 კაცმა, მეორე საფეხურისა — 223 კაცმა.

წარმოებიდან მოწყვეტით მასობრივ კვალიფიკაციის კურსებზე მომზადდა 10 ცეცხლფარეში, 20 წუნმდებელი, 20 ლაბორანტი, სულ 50 კაცი. მოქმედებდა აგრეთვე ხელმძღვანელ შემადგენლობისა და სტახანოველთა კურსები.[1]

1939 წელს კადრების მომზადებისათვის გამოყოფილი იყო 242.706 მანეთი, მაგრამ ფაქტიურად დაიხარჯა 196.296 მანეთი. ამ თანხიდან გამოუყენებელი დარჩა 46.410 მანეთი, რაც გამოწვეული იყო ზოგიერთი კურსების დაუკომპლექტურობით, ნაწილობრივ მოსწავლეთა განთესვისა და გეგმასთან შედარებით მიღებული ეკონომიის შედეგად.

დ. შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი ფორმების დანერგვა და მისი შედეგები

ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის განხორციელების აღებული კურსის დროს, ადგილებზე კომინისტების ინიციატივით იქმნებოდა შრომის ნაყოფიერების გადიდების სულ ახალ-ახალი ფორმები, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცნობილი

[1] იქვე, საქ. 28, ფ. 9, 44.

ხდებოდა მთელ ქვეყნისათვის. ამ მოძრაობის რიგებში უმრავლესობა იყო პატიოსანი მშრომელი ადამიანები, რომლებიც უჩვეულო თავდადებით შრომობდნენ ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ასეთ ადამიანებს მაშინ უწოდებდნდენ სოციალისტური მშენებლობის დამკვრელებს, ნოვატორებს, წარმოების მოწინავეებს, ხოლო 1935 წლიდან სტახანოველებს, რომელთა მიზანს შეადგენდა შრომის ნაყოფიერების უფრო მკვეთრი გადიდება, ვიდრე ძველი ტექნიკური ნორმებით იყო გათვალისწინებული. მათ მაგალითს ბაძავდა ქვეყნის მრავალი მშრომელი, ამიტომ ომამდელ ხუთწლედებში ხსლხი დიდი ენთუზიაზმით შრომობდა. მათ სჯეროდათ, რომ უახლოეს მომავალში გაიმარჯვებდა სოციალიზმი, რომელიც უკეთესი ცხოვრების პირობებს შეუქმნიდა ვიდრე მას გააჩნდა. ამ დროისათვის ფართოდ გავრცელებულ ლოზუნგს „დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს" ხალხი დამაჯერებლად აღიქვამდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხალხს შთააგონებდნენ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვაში მყოფ საბჭოთა ქვეყანას ემუქრება გარეშე მტრები და ქვეყნის შიგნით მათი „მოკავშირეები", რომლებიც ყოველმხრივ ხელს უშლიან დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში სოციალიზმის მშენებლობის საბოლოო გამარჯვებას. ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ კაპიტალისტური სამყარო მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით და საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებით განწირულია დასაღუპად. ასეთი და კიდევ სხვა იდეოლოგიური ფორმებით და საშუალებებით ზემოქმედება ბადებდა ბრმა ენთუზიაზმს, ამიტომ ხალხი იტანდა ხშირად მძიმე და აუტანელ შრომას „...იმის ღრმა რწმენით, რომ თვითვე იცხოვრებდა იმ ბედნიერ სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელსაც ასეთი გაჭირვებით აშენებდა".[1] ასეთი ვითარება შექმნილი იყო ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში და მათ შორის საქართველოშიც.

ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით პირველ და მეორე ხუთწლედებში საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ სინამდვილეში ბევრ დარგებში გეგმური დავალებათა მაჩვენებლები ვერ შესრულდა, რასაც სტატისტიკური ორგანოები ხალხს უმალავ-

---

[1] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 273.

დნენ. მათ მიერ დამუშავებული მონაცემები კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანებთან იყო მორგებული და შელამაზებული. მაგრამ ფაქტია, რომ ამ წლებში გეგმის შესრულებისათვის ბრძოლში ხალხი არა მარტო დიდი ენთუზიაზმით შრომობდა, არამედ საქართველოს ზოგიერთი მსხვილი საწარმო არაერთხელ ყოფილა მთელ კავშირში შრომისა და წარმოების მაღალი მაჩვენებლების მიღწერვისათვის ბროძოლის წარმომწყები და ინიციატორი.

„საქპურტრესტის" დაარსებამდე და მას შემდეგაც პურსაცხობ საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი ფორმები კვების მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებად ინერგებოდა. ამ მხრივ მექანიზებულ პურსაცხობეგში თუ აღწევდნენ ზოგიერთი დადებით შედეგებს, სამაგიეროდ კუსტარული საწარმოთა ქსელი ჩამორჩებოდა. მთლიანად ტრესტი წლების მანძილზე მთელ რიგი მაჩვენებლის მიხედვით ვერ ასრულებდა გეგმურ დავალებებს.

1935 წელს, როდესაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაიწყო სტახანოვური და დამკვრელური მოძრაობა, მათში ჩაება საქართველოს პურსაცხობი მრეწველობის მშრომელებიც. მაგალითად, თბილისის პურის ქარხნის №2-ის მუშა ვ. სხირტლაძე სტახანოვური მუშაობის მეთოდის გამოყენებამდე ცვლაში ამზადებდა 200 ვედრო საფუარს, სტახანოვურ მეთოდზე გადასვლის შემდეგ კი 460 ვედროს. ამავე საწარმოს ფქვილისმცრელი გ. ჩლაიძე სტახანოვური მუშაობის მეთოდზე გადასვლის დღიდან ცვლაში მარტო ცრიდა 11,6 ტონა ფქვილს, ნაცვლად 10,6 ტონისა და მასთან ორი მუშის დახმარებით. დადგენილ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ სტახანოველები: პურისქარხანა №1-ის მცხობელი შ. მანაგაძე, ცომის მზელავი რ. ამირიანი, პურის ქარხნის №2 მექვაბე ჩიგორა და სხვ.

სტახანოვურმა მოძრაობამ მოიცვა არა მარტო ინდივიდუალური მომუშავეები, არამედ მთლიანად ბრიგადები, თუ 30 კაცისაგან შემდგარი ბრიგადის გამომუშავების ნორმა შეადგენდა ცვლაში 20 ტონა პურს, სტახანოვურ მუშაობის მეთოდზე გადასვლიდან ბრიგადა შემცირდა 22 კაცამდე, ხოლო პროდუქციის წარმოება გაიზარდა ცვლაში 23 ტონამდე.

1935 წლის დამლევს ტრესტის ყველა საწარმოში ირიცხებოდა 174 სტახანოველი, მათ შორის ინდივიდუალური 99 კაცი, ბრიგადებში 80 კაცი.[1]

უკვე 1936 წელს სოციალისტური შეჯიბრებები გავრცელდა აგრეთვე საწარმოთა შორისაც.

სტახანოვური და დამკვრელური მოძრაობის შედეგად შემცირდა ღუმელების საამქროების მუშათა რაოდენობა 50 პროცენტით (პურის ქარხანა №1 და სხვ.).[2] საშუალოდ ტრესტის საწარმოებში გამომუშავების ნორმები 60 პროცენტამდე გადაჭარბებით სრულდებოდა.

1936 წლის დამლევს „საქპურტრესტის" საწარმოებში მთლიანად სტახანოველთა რაოდენობა შეადგენდა 282 კაცს, ანუ მუშათა საერთო რაოდენობის 18,2 პროცენტს.

ამრიგად, სოციალისტური შეჯიბრებებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე 1936 წელს „საქპურტრესტმა" მისი ოთხნახევარი წლის არსებობის მანძილზე პირველად შეასრულა გეგმური დავალება და გადაიქცა საქართველოს კვების მრეწველობის ერთ-ერთ რენტაბელურ დარგად.

მიღწეული წარმატებები არ შენელებულა მომდევნო წლებშიც. 1937 წ. სტახანოველთა რაოდენობა შეადგენდა მუშათა საერთო რაოდენობის 19,8 პროცენტს.

ამ დროისათვის სტახანოვური მოძრაობა გულისხმობდა არა მხოლოდ ცალკეულ სტახანოველთა გამომუშავებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებას, არამედ აგრეგატების სიმძლავრეთა ათვისებას და ღუმელების ბრუნვის გადიდებას, მაგალითად, ფოთის განყოფილებაში სტახანოველებმა ღუმელების საცეცხლეების ბრუნვა გაადიდეს 1,5-2დან 4-4 1/5-მდე. ერთი მუშის 4 ღუმელზე მომსახურეობის გზით. პურის ქარხანა №2-ში ერთი სტახანოველი — ცომის მზელავი ემსახურებოდა 4 ცომსაზელ მანქანას. პურის ქარხანა №1-მა მთლიანად აითვისა აგრეგატების სიმძლავრის ახალი ნორმატივები. მრავალი დადებითი შედეგები ექნა მიღებული წარმოების სხვა სფეროშიც.[3] მიუხედავად ასეთი წარმატებებისა კუსტარული პურ-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 9, ფ. 30, 31.

[2] იქვე, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 16, ფ. 36.

[3] იქვე, საქ. 18, ფ. 48.

საცხობები, განსაკუთრებით თონეები ჩამორჩენილი ტექნიკური დონის გამო ჯერ კიდევ იყენენ დაბალი მწარმოებლური, თუმცა, დიდი გაჭირვებით იზრდებოდა წარმოებული პროდუქციის მოცულობა.

პურსაცხობი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესების სრულყოფის ღონისძიებათა საქმეში დიდი წვლილი შეჰქონდათ გამომგონებელ-რაციონალიზატორებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რას „საქპურტრესტის" სისტემაში დაინერგა მექანიზაცია და წარმოებაში მოვიდნენ კვალიფიციური კადრები.

1935 წელს რაციონალიზატორების მრავალ წინადადებათა შორის ყურადღებას იმსახურებდა და წარმოებაში დაინერგა: 1. ლავაშის დატვიფვრა სპეციალური ლითონის საშუალებით, ნაცვლად ხელით დამუშავებისა, რომელიც იძლეოდა დამუშავების ღირებულებისა და დროის ეკონომიას. ლავაშის გამოყანის ახალი საშუალება საკვებით შეესაბამებოდა სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. 2. შემსუბუქებული ტიპის ჩასასმელი, ტილოთი ჩაფენილი ყუთების გამოყენება, რომელიც ადვილად ირეცხებოდა და სხვა ყუთებთან შედარებით მნიშვნელოვნად იაფი ჯდებოდა. 3. მუკოვის სისტემის ფრქვევანის კონსტრუქციის შეცვლა, რომლის შედეგად მიღებული იქნა ეკონომია მაზუთზე.[1]

1936 წელს რაციონალური წინადადების შედეგად პურის ქარხანა №1-ში განხორციელდა საცრელი განყოფილების ტექნიკური რეკონსტრუქცია, რომლის შედეგად მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი ეკონომია ტომრებიდან ფქვილის გადმოცლის საშუალებით, ხოლო პურის ქარხანა №2-ში კონვეიერის რეკონსტრუქციით ლიკვიდირებულ იქნა გამომცხვარი პურის გატეხვა-დანაწერერება საცხობ საამქროდან საწყობში ტრანსპორტირების დროს.[2]

1937 წლიდან „საქპურტრესტის" სისტემის საწარმოებში წინა წლების გამოცდილების საფუძველზე უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრებები და სტახანოვური მოძრაობა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე.სოციალისტური შეჯიბრებები ხორციელდებოდა, როგორც მთლიანად ბრიგადებს შორის, ისე ინდივიდუალური წესით. ამის გარდა ყველა სა-

---

[1] იქვე, საქ. 9, ფ. 30, 31.

[2] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 16, ფ. 17.

წარმო ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ხოლო თბილისის პურის ქარხანა №1 და პურის ქარხანა №2 ეჯიბრებოდა ერევნისა და ბაქოს შესაბამის საწარმოებს, მთლიანად „საქპურტრესტი“ კი ჩაბმული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში აზერბაიჯანის პურსაცხობ ტრესტთან. 1938 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა რაოდენობა მოიცავდა დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა 95,5 პროცენტს. ამავე დროს გაფართოვდა სტახანოვური და დამკვრელური მოძრაობა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათ გადადსვლას მრავალ დაზგაზე მუშაობისა და პროფესიათა შეთავსების ახალ მეთოდებზე (იხ. ცხრილი 10).

ცხრილი 10

„საქპურტრესტში“ დასაქმებული მუშათა საერთო რაოდენობაში სტახანოველთა ზრდის დინამიკა[1]

1937-1940 წწ.

წლები	მუშათა საერთო რაოდენობა	სტახანოველთა რაოდენობა	%-ით
1.1.1937	1542	282	18,2
1.1.1938	1648	326	19,7
1.1.1939	1785	452	25,3
1.1.1940	1928	839	43,5

როგორც ამ ცხრილის მონაცემებიდან დავინახეთ 1.1.1937 წელს სტახანოველი იყო – 282 კაცი, 1.1.1940 წელს 839, ამრიგად სტახანოველთა რაოდენობა შესაბამის წლებში გაზრდილა 537 კაცამდე, ანუ 2,9-ჯერ. განსაკუთრებით მაღალია სტახანოველთა ზრდის მაჩვენებელი 1940 წელს. 1938 წელთან შედარებით სტახანოველთა რაოდენობა თითქმის 2-ჯერ მეტად გაზრდილა. ასევე მაღალია შესაბამის წლებში დამკვრელთა ზრდის მაჩვენებელიც. 1939

[1] ცხრილი შედგენილია „საქპურტრესტის“ შესაბამისი წლების ანგარიშგებათა საფუძველზე.

წლის პირველ იანვრისათვის დამკვრელთა რაოდენობა შეადგენდა 330 კაცს, 1940 წელს კი 491 კაცს, ამრიგად ზრდა შეადგენს თითქმის 50 პროცენტს.

ვითარდება აგრეთვე მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაციონალიზატორული ინიციატივა, რაც მიმართული იყო წარმოების ტექნიკისა და კულტურის ამაღლებისაკენ. მათი ინიციატივით დაინერგა ისეთი მნიშვნელოვანი სიახლე როგორიც იყო პურის ცხობაში მალტოზური სიროფის (თხევადი ფქვილის) გამოყენება. თბილისის პურის ქარხანა №2-ის ცომსაზელ საამქროში ფქვილკომბინატიდან მექანიკურად მოწოდებულ მალტოზას განსაზღვრულ რაოდენობით აზავებდნენ 96 პროცენტისა და 85 პროცენტის ფქვილებს. ამის შედეგად მაღალი ხარისხის გამომცხვარ პურს იღებდნენ. ამ მიმართულებით განოხორციელდა დიდი წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა. ცენტრალური ლაბორატორია სისტემატურად აწარმოებდა მალტოზის სიროფის გამოყენებით საცდელ პურის ცხობას, რათა დადგენილიყო მისი ხარისხი, ფქვილის ეკონომია, პურის გამოსავალი, ქარხნის წარმადობაზე გავლენა და ა. შ. მიღებული დადებითი შედეგებისა და შეფასების შედეგად ეს ახალი ტექნოლოგიური პროცესი დაინერგა სხვა საწარმოებშიც.

როგორც ზემოთ ითქვა 1933-1936 წლამდე მთლიანად „საქპურტრესტის“ მიხედვით ძირითადი პროდუქციის წარმოების გეგმური დავალებები ვერ სრულდებოდა, რაც უმთავრესად აიხსნება არასაკმარისი რაოდენობის და ხარისხის ფქვილის მიწოდების, ტექნიკური ბაზის დაბალი დონის, სიმძლავრეთა ნაკლებ დატვირთულობის, შრომისა და წარმოების სუსტი ორგანიზებულობის გამო. განსაკუთრებით დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება, მაგალითად, 1934 წელს ერთი მუშის საშუალო გამომუშავება ცვლაში შეადგენდა 296 კგ. ყველაზე მაღალი გამომუშავება მოდიოდა პურის ქარხნების მუშაზე –761 კგ., ხოლო დაბალი გამომუშავება კუსტარულ თონეების მუშაზე – 115 კგ.[1] 1935 წელს საწარმოო გეგმის შესრულებას დააკლდა 8.5 პროცენტი, მოხდა ხელფასის გადახარჯვა 13 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერებასმ (ნატურით) დაიკლო 28.2 პროცენტით.[2]

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 5, ფ. 3.

[2] იქვე, საქ. 16, ფ. 20.

1936 წელს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა სტახანოვურმა მოძრაობამ და შრომის ახალი მეთოდების ათვისებამ.

ლენინგრადის კონფერენციის მიერ დასახულმა ღონისძიებებმა საშუალება მისცა „საქპურტრესტის“ საწარმოებს დაესახათ ორგანიზაციულ-ტექნიკური მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესების გზები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ღუმელებისა და დანადგარების სიმძლავრეების მაქსიმალურად დატვირთვას. გამომუშავებოს ახალი ნორმებისა და ინდივიდუალურ სანარდო გარიგებების დანერგვას. ყოველივე ამის შედეგად იზრდება ერთი მუშის გამომუშავება და ხელფასი.[1]

1938 წელს მუშათა რაოდენობიდან დასაქმებულია მხოლოდ 90,3 პროცენტი, საწარმოო გეგმა კი შესრულდა 32,2 პროცენტის გადაჭარბებით. ეს აიხსნება იმით, რომ სტახანოვური მოძრაობის შედეგად ბრიგადებში შემცირდა მეღუმელეების, ცომისმზელავების, მექვაბეების, აგრეთვე დამხმარე კვალიფიციური მუშების რაოდენობა, გეგმით დადგენილი ნორმების საწინააღმდეგოდ, მაგალითად, პურის ქარხანა №1-ში გეგმით ბრიგადა ითვალისწინებდა ცვლაში 24 კაცს, ფაქტიურად მუშაოდა — 17; პურის ქარხანა №2-ში 50 კაცს, ფაქტიურად მუშაობდა 35. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა თითქმის ყველა საწარმოში.[2]

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეთა და უმცროსი დამხმარე პერსონალის ზრდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამოწვეული იყო ახალ საწარმოთა და საცალო ვაჭრობის ქსელის ტრესტთან შემოერთებით, რაც არ იყო 1936 წლის გეგმით გათვალისწინებული.

მთლიანად „საქპურტრესტის“ საწარმოებში წლის მანძილზე ერთი მუშის გამომუშავება უცვლელ ფასებში შეადგენდა გეგმით — 11,5 ათას მანეთს, ფაქტიურად 16,8 ათას მანეთს, ანუ 146,5 პროცენტს, ერთი მუშის საშუალო ხელფასი გეგმით — 2168 მან., ფაქტიურად — 2786 მან., ანუ 128,5 პროცენტს. ამრიგად, შრომის ნაყოფიერება მთლიანად ტრესტის მიხედვით იზრდება 46,5 პროცენტით, ხოლო საშუალო ხელფასი 28,5 პროცენტით. როგორც დავინა-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 15, ფ. 16.
[2] იქვე, საქ. 16, ფ. 21.

ხეთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები უსწრებდა საშუალო წლიური ხელფასის ზრდას და მათ შორის თანაფარდობა სავსებით კანონზომიერი იყო.

არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ისიც, რომ ვიცოდეთ ცალკეული საწარმოთა მიხედვით როგორია შრომის ნაყოფიერებისა და ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასის ზრდა, მაგალითად, 1936 წ. პურის ქარხანა №1-ში გეგმით ერთი მუშის გამომუშავება უცვლელ ფასებში შეადგენდა (მანეთობით) — 24788, ფაქტიურად — 40003, იზრდება 161,4 პროცენტით, ხელფასი იზრდება 29,2 პროცენტით; პურის ქარხანა №2-ში გეგმით — 18667, ფაქტიურად — 39274, იზრდება 210,3 პროცენტით, ხელფასი იზრდება 78 პროცენტით; მექანიზებულ პურის საცხობ №21-ში გეგმით — 8757, ფაქტიურად 12995. იზრდება 48,3 პროცენტით, ხელფასი იზრდება 25,1 პროცენტით.

დანარჩენ საწარმოებზე შრომის ნაყოფიერების ზრდა საშუალოდ მერყეობდა 15-დან 58 პროცენტამდე, საშუალო ხელფასისა — 7-დან 30 პროცენტამდე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1936 წელს ერთ-ერთი წარმოება, რომელმაც გეგმური დავალება ვერ შეასრულა ეს იყო საკონდიტრო ნაწარმის ფაბრიკა. გეგმური დავალება აქ შესრულდა 81,3 პროცენტით, ხოლო მუშის საშუალო წლიური გამომუშავება 33,5 პროცენტით. ასეთი ჩამორჩენა გამოწვეული იყო იმით, რომ ფაბრიკა ხშირად არასრული დატვირთვით მუშაობდა, ამავე დროს დაბალი იყო შრომის ორგანიზაცია. მუშების არასწორი განაწილების გამო ერთ ბრიგადებში თავი მოიყარეს რამდენიმე მაღალკვალიფიციურმა მუშამ, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საშუალო ხელფასის ზრდაზე.[1]

„საქპურტრესტის“ პურსაცხობ საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდა არ შენელებულა შემდგომ წლებშიც, მაგალითად, 1939 წელს ერთი მუშის საშუალო გამომუშავება უცვლელ ფასებში შეადგენდა გეგმით — 18 ათას მანეთს, ფაქტიურად — 22 ათას მანეთს, ანუ 22,2 პროცენტით მეტს, ხოლო 1938 წლიდან შედარებით 10 პროცენტს; ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი გეგმით 3454 მანეთს, ფაქტიურად — 4096 მანეთს, ანუ 18,6%-ს. მთლიანად ტრესტის საწარმოების მიხედვით შრომის ნაყოფიერება იზრდება

---

[1] იქვე, საქ. 15, ფ. 15, 16, 17.

23,7 პროცენტით, ხოლო საშუალო ხელფასი 18,6 პროცენტით. ზოგიერთი პურსაცხობი საწარმო ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო შრომის ნაყოფიერების გეგმურ დავალებებს ვერ ასრულებდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა მეტად მცირე იყო.[1]

როგორც ფაქტობრივი მასალათა ანალიზიდან ჩანს შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალი ფორმების დანერგვის სულ უფრო მზარდი მოძრაობა დადებითად მოქმედებდა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, მაგრამ მალე იგი მოექცა ბრძნებლურ-ბიუროკრატიული დიქტატის გავლენის სფეროში, რასაც მოჰყვა უარყოფითი შედეგები: ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი, მიწერები, მიღწეული შედეგების მეტისმეტად გადაჭარბებული პროპაგანდა, მუშათა შრომის სამართლებრივი ნორმების დაუცველობა და აქედან გამომდინარე სოციალური სიძნელეების წარმოქმნა და კიდევ სხვა ნეგატიური ხასიათის ნაკლოვანებანი. ყოველივე ეს ჰქმნიდა წინააღმდეგობას სოციალიზმის იდეების პროპაგანდისა და მის განხორციელების პრაქტიკულ შედეგებს შორის, ცხადია, შექმნილი ვითარება დამახასიათებელი იყო აგრეთვე საქართველოს პურსაცხობ მრეწველობის სისტემაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი ფორმების დანერგვის მოძრაობისთვისაც.

ე. პროდუქციის წარმოების ზრდის დინამიკა, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის სტრუქტურული ცვლილება, წარმოების რენტაბელობა და პროდუქციის რეალიზაცია

როგორც მოყვანილი ფაქტობრივ მასალათა ანალიზიდან გამომდინარეობს პურსაცხობი მრეწველობის განვითარების ტემპები 1936 წლიდან დაჩქარებული მიმართულებით წარიმართა და მალე კვების მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მოპოვებული შედეგები უწინარესად მიღწეულია წარმოების უმთავრესი მაჩვენებლების — ძირითადი პროდუქციის წარმოების მოცულობისა და მთლიანი პროდუქციის ღირებულების განუხ-

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 28, ფ. 3.

რელი ზრდით, რაც ჩანს ქვემოთმოყვანილი ცხრილიდან (იხ. ცხრილი 11).

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1924-1935 წწ. მანძილზე პურის საწარმოების გეგმური დავალება ვერ სრულდება, მაგრამ 1936 წლიდან მისი წარმოება განუსაზღვრელად იზრდება, განსაკუთრებით კი 1939-1940 წწ.

1937 წელს წარმოებული იყო 1934 წელთან შედარებით 27,1 პროცენტით მეტი პურფუნთუშეული, ხოლო მთლიანი პროდუქციის ღირებულება (უცვლელ ფასებში) გაიზარდა 1936 წ. შედარებით 21,2 პროცენტით. 1940 წელს გამოშვებული იყო 1938 წელთან შედარებით 57928,9 ტონა პურფუნთუშეული, ანუ 39,4 პროცენტით მეტი.

ცხრილი 11

„საქპურტრესტის" საწარმოთა ძირითადი პროდუქციის წარმოებისა და მთლიანი პროდუქციის დინამიკა 19340194 0 წწ.[1]

წლები	ნატურული გამოხატ. (ტონობით)			მთლიანი პროდუქცია (ათას მანეთ. უცვლელ ფასებში)		
	გეგმით	ფაქტ.	%-ით	გეგმით	ფაქტ.	%-ით
1934	123400,0	109651,6	88,8	–	–	–
1935	134000.0	104264,0	77,8	15230,5	1395,5	91,6
1936	110100,0	117000,4	106,8	19680,0	26060,0	132,0
1937	122745,0	139371,4	113,5	30499,3	31594,8	103,5
1938	139802,0	146737,0	105,0	34592,5	37278,7	107,8
1939	149800,0	168654,0	112,6	33700,0	42305,7	125,5
1940	159680,0	204665,9	128,1	39249,0	50629,0	128,9

1940 წელს მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1938 წელთან შედარებით გაიზარდა 13350,3 მანეთით (უცვლელი ფასებში) 1938 წ. „საქპურტრესტის" 12 საწარმოო განყოფილებიდან გეგმური დავალება ზემოთაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით ვერ შეასრულა

[1] ცხრილი შედგენილია „საქპურტრესტის" შესაბამისი წლების ანგარიშგების საფუძველზე.

ტყიბულის, ჭიათურის და ზესტაფონის განყოფილებებმა,[1] ხოლო 1939 წ. გეგმა ნატურით ვერ შეასრულა თბილისის მექანიზებულმა პურსაცხობმა №1-მა და ბორჯომის განყოფილებამ, რაც გამოწვეული იყო დაგეგმვის ორგანოების არაგამართლებული გადაწყვეტილების გამო, მაგალითად, თბილისის მექანიზებულ პურსაცხობს №1 დაევალა პურის ცხობა პირველი ხარისხის ფქვილისაგან, ეს იმ დროს, როცა გეგმა ითვალისწინებდა მეორე ხარისხის ფქვილის გამოყენებას, რამაც გამოიწვია საწარმოო სიმძლავრის გამოყენების შემცირება, შემდგომ კი რემონტის დაწყებასთან დაკავშირებით მისი მუშაობის შეწყვეტამ. ბორჯომის განყოფილებამ ნატურით გეგმის შესრულება ვერ შეძლო, ზემდგომის ორგანოების განკარგულებით ბაკურიანისათვის პურის მიწოდების შეწყვეტის გამო (იგი გადაეცა სხვა უწყებას), რაც არ იყო გათვალისწინებული გეგმით.[2]

მიუხედავად ასეთი ხასიათის ნაკლოვანებებისა პურფუნთუშეულის პროდუქციის მოთხოვნილების კვალობაზე იზრდება „საქპურტრესტის" სიმძლავრეთა სადღეღამისო პროდუქციის წარმოება, როგორც თბილისში, ისე რაიონებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, მაგალითად, 1940 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა (ტონობით): თბილისში — 285, აფხაზეთში — 77, აჭარაში — 69, ქუთაისში — 59, ფოთში — 30, ზესტაფონში — 12, ბორჯომში — 19, ხაშურში — 10, ტყიბულში — 8. სულ ავტონომიურ რესპუბლიკებისა და რაიონების მიხედვით კი — 560 ტონას, ხოლო პურფუნთუშეულის საშუალო თვური წარმოება ფაქტიურად შეადგენდა: „თბილისში — 8692 ტონას.[3]

საკონდიტრო საწარმოს გამოშვებული პროდუქციის გეგმური დავალება ნატურალური გამოხეტულებით შესრულდა 1938 წელს — 108,8 პროცენტით. 1939 წელს — 106 პროცენტით. 1940 წელს — 105,9 პროცენტით. 1940 წ. წარმოებული საკონდიტრო ნაწარმი — 212 ტ. შეადგენდა.[4]

საჭირო თვისებისა და ხერისხის ფქვილის უკარისობის გამო მაკარონის ფაბრიკა ხშირად პროდუქციის წარმოების გეგმურ დავა-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 23, ფ. 4.

[2] იქვე, საქ. 28, ბ. 45.

[3] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 1, საქ. 35, ფ. 32.

[4] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 23, ფ. 36, საქ. 28, ფ. 45.

ლებას ვერ ასრულებდა, მაგალითად, 1940 წ. ფაბრიკას უნდა გამოეშვა 8000,0 ტონა მაკარონი, ფაქტიურად დამზადდა – 5526,0 ტონა. გეგმური დავალება შესრულდა 69 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქციის გეგმა 77,2 პროცენტით. წამოებული იქნა 2702,0 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია. ამრიგად, წინა წლებთან შედარებით მნშვნელოვნად უმჯობესდება როგორც თბილისის, ისე სხვა ქალაქებისა და საკურორტო ზონების მოსახლეობის პურფუნთუშეულითა და საკონდიტრო ნაწარმით უზრუნველყოფა, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ჩამორჩება მაკარონის წარმოება.

1936 წლიდან მაღლდება პურფუნთუშეულის ხარისხი და ფართოვდება ასორტიმენტი მათი სახეობათა გადიდების ხარჯზე. მაგალითად, 1936 წელს მოსახლეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა ასორტიმენტი გადიდებულიყო 20 სახეობამდე.

1936 წელს დაწესდა პურფუნთუშეულის ხარისხის ქულებით შეფასების მეთოდი. იგი განხორციელდა 5 საწარმოში (პურის ქარხნები №1 და №2, მექანილური პურსაცხობი №1 და №2 და ფუნთშეულისსაწარმო). მის შემდგომ გავრცელებას ხელს უშლიდა ადგილობრივ ხორბლეულზე ქულების დაუწესებლობა. იმავე წელს ტრესტის სისტემაში შემოღებული იქნა ცენტრალურ ლაბორატორიაში მაღალხარისხოვანი პროდუქციის ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის შემოწმება. მზა პროდუქციის ხარისხი მოწმდებოდა, როგორც ცენტრალურ ლაბორატრიაში, ისე ცალკეულ საწარმოთა ლაბორატორიებში, კონტროლი მოიცავდა მთელი წარმოებული პროდუქციის 81,5 პროცენტს, დანარჩენი მოდიოდა ხაშურის, ჭიათურის, კვეზანის, გაგრის, ოჩამჩირის და ზესტაფონის საწარმოებზე, სადაც არ იყო მზა პროდუქციის ხარისხის შემომწმებელი ლაბორატორიები.

„საქპურტრესტის“ სისტემის საწარმოებმა პირველად აითვისეს გამტკიცული ფქვილის პურისა (65 პროცენტიანი ფქვილისაგან) და ბატონის (85 პროცენტიანი ფქვილისაგან) გამოცხობა, წამოებდა აგრეთვე ჭვავის პურის, ირანული ლავაშის, ფუნთუშის, სამი სახის სამკურნალო პურისა და ამდენივე სახის პურის წარმოება. საკონდიტრო ნაწარმიდან იზრდება წარმოება ნუგის, თაფლაკვერის, კარამელის, შოკოლადის კამფეტისა და სხვა.[1]

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 16, ფ. 15, 16.

1937 წელს წარმოებული პროდუქციის ასორტიმენის ცვლილება გამოიხატებოდა უმთავრესად ცალობითი პურის (72 და 85 პროცენტი ფქვილისაგან) გამოშვების გადიდებით, რაც არ იყო 1936 წელს. გარდა ამისა ათვისებული იქნა ახალი სახის პურის გამოცხობა, როგორიც იყო: ბერძნული ლავაში, წვრილი — ცალობითი პური ქიშმიშით და ხაშხაშით და სხვ. სულ საკონდიტრო და პურფუნთუშეულის წარმოებულ პროდუქციაში ასორტიმენტის რაოდენობა გაიზარდა 49 სახეობამდე. ასორტიმენტის მნისვნელოვან გაფართოებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ერთი ტონა პურფუნთუშეულის პროდუქციის საშუალო ღირებულება უცვლელ ფასებში 1936 წელს — 221 მანეთს, ხოლო 1937 წელს 228 მსნეთს შეადგენდა.[1]

ამ მიმართულებით კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევა შეიძლებოდა, რომ „ზაგოტზერნოს" ბაზებს უზრუნველყოთ პურსაცხობი საწარმოები სათანადო ხარისხის ფქვილით. თუმცა 1935 წელს 12 მარტს ამოქმედდა თბილისის №1, ხოლო 1936 წლის დამლევს ფოთის საფქვავკომბინატები, მაგრამ აქედან და სხვა რეგიონებიდან შემოტანილი ფქვილი ხშირად არასტანდარტული ან კიდევ დეფექტური იყო. ამიტომ პურის ცხობის ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის მიზნით საჭიროდ მიიჩნევდნენ დაბალი ხარისხის ფქვილის შერევას მაღალი ხარისხის ფქვილთან, რაც აძნელებდა პროდუქციის წარმოების პროცესებს და აუარესებდა ხარსხს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტრესტის საწარმოების მიერ მაღალხარისხოვანი პურფუნთუშეულის პროდუქციის წარმოების ზრდას აბრკლოლებდა დაკვეთების დროულად მოულებლობა და არ იყო გარკვეული თუ სავაჭრო ორგანიზაციებს რა სახის პროდუქცია ესაჭიროებოდათ. გარდა ამისა მათ გააჩნდათ საკუთარი საწარმო ბაზა, სადაც ცხვებოდა რამდენიმე სახის (გარდა ცალობით პურის) პურფუნთუშეული, ამიტომ ტრესტის საწარმოებიდან პური (განსაკუთრებით ცალობითი), რომელიც სარგებლობდა დიდი მოთხოვნით, გაჰქონდათ არარეგულარულად. ეს ალბათ გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ცალობით პურის მოთხოვნილების ზრდას არ გამოეწვია სავაჭრო ორგანიზაციების საწარმო ბაზის შესაბამისად გარდაქმნა, ყველა-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 18, ფ. 36, საქ. 23, ფ. 35.

ზე მაღალი მოთხოვნილების ეროვნული პურის წარმოების შეზღუდვის ხარჯზე.

პურის ქარხანა №1 თუ აქამდე აწარმოებდა ერთი ასორტიმენტი პური ცხობას, ახლა ათვისებული იქნა 95 და 85 პროცენტიანი ფქვილისაგან რამდენიმე სახის პურის ცხობა, მათ შორის ქართული პურისა და სხვა ლავაშის, აგრეთვე თავკვერისა ("პრიანიკის") და ახალი ასორტიმენტის პურის წარმოება, ხოლო ორივე პურსაცხობ ქარხანაში ბლინის ფქვილის დამზადება, რომელიც მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. ამრიგად, პურის ქარხნებმა დაიწყეს ისეთი ახალი ასორტიმენტის პურის ცხობა, როგორიცაა კარელიის, ვიტებსკის, მინსკის, ბოროდინის და სხვ. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე სხვადასხვა რეცეპტით დამზადებული საცალო საკონდიტრო ნაწარმი.

1939 წელს მთელ პროდუქციაში მაღალი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონა გეგმით 5,5 პროცენტს შეადგენდა, ფაქტიურად გეგმა შესრულდა 10,2 პროცენტით, ანუ წინა წელთან შედარებით 4,7 პროცენტით მეტი.[1]

უცვლელ ფასებში ერთი ტონა პროდუქციის საშუალო-სადღეღამისო მაჩვენებელი 1938 წელს – 254 მანეთს შეადგენდა.[2]

1938-1940 წწ. მანძილზე „საქპურტრესტის" საწარმოები, განსაკუთრებით თბილისის, შედარებით უკეთესად მარაგდებოდა ფქვილით, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ „ზოგოტზერნოს" ბაზებში სტანდარტული ფქვილი არ იყო საკმარისი, ზოგიერთ რაიონში რამდენადმე ადგილი ჰქონდა ფქვილით მომარაგების შეფერხებას, აგრეთვე ნაკლებად უზრუნველყოფდნენ გარკვეული ასორტიმენტისა და რაოდენობის ფქვილით. მაგალითად, 1939 წელს შემოწმებულ 78417 ტონიდან არასტანდარტული (დაავადებისა და ფერის გამო) აღმოჩნდა 18943 ტონა, ანუ 24,1 პროცენტი, ასეთი ფქვილის მიუღებლობას ხელს უშლიდა ფქვილზე საერთო საკავშირო და ადგილობრივი ეტალონების უქონლობა. ამის დაწესება იმითაც იყო აუცილებელი, რომ ადგილობრივი (თბილისის წისქვილკომბინატი) და შემოტანილი ფქვილი ხშირად დაბალი ხარისხისა იყო – მოულოდნელად გარდაიქმნებოდა მუქ ფერად. წისქვილკომბინატში დამუშავებულ

---

[1] იქვე, საქ. 28, ფ. 7.

[2] იქვე, საქ. 3, ფ. 34.

ფქვილს ნაცვლად 5 დღის დაყოვნებისა „ზაგოტზერნო“ მაშინვე აგზავნიდა საწარმოებში. ერევნის წისქვილკომბინატიდან მიღებული პირველი ხარისხის ფქვილიც აღმოჩნდა დეფექტური. ამიტომ იძულებული გახდნენ იგი შეერიათ ნორმალურ ფქვილთან.[1] „ზაგოტზერნოს“ ბაზებიდან მიღებული სხვადასხვა სახის ფქვილი საწარმოებს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

საქართველოს პურსაცხობი მრეწველობა როგორც ითქვა 1936 წლიდან უკვე რენტაბელურ დარგს წარმოადგენდა, აქედან მოყოლებული კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესდა მოგების ისეთი უმთავრესი წყაროები, როგორიცაა: პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, წარმოების მოცულობისა და რეალიზაციის გადიდება, ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესება და ა. შ. ამ მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო, წლითიწლობით იზრდება საწარმოო მოგება და ჰქმნიდა პირობებს ეროვნული შემოსავლის გასადიდებლად. თუ 1936 წელს გეგმით საწრმოო მოგება მთლიანად ტრესტის მიხედვით ითვალისწინებდა — 4880 ათას მანეთს, ფაქტიურად მოგება მიღებულ იქნა — 6968,0 ათასი მანეთი, ამრიგად, მოგების გეგმა შესრულდა — 142,7 პროცენტით. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ვინაიდან რამდენიმე რაიონში (ქუთაისი, ბორჯომი, ჭიათურა და სხვ.) აიკრძალა ერთი კილოგრამი ადგილობრივი სახის პურის — ლავაშის გაყიდვა 10 კაპიკზე უფრო მეტად ვიდრე ჩვეულებრივი პური, ამის შედეგად ფაქტიურად მიღებულ იქნა ნაკლები მოგება, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო 1936 წელს. აღნიშნულ პუნქტებში ლავაში გამოცხობილი იყო — 3770,0 ათას მანეთს. მიუხედავად ამისა 1936 წელს მოგება 1935 წელთან შედარებით გაიზარდა 43,7 პროცენტით.[2]

1940 წელს საწარმოო მოგება შეადგენდა — 12239,7 ათას მანეთს, ანუ 1935 წელთან შედარებით 75,6 პროცენტით მეტს. 1939 წელს საწარმოო მოგება უდრიდა — 19321,0 ათას მანეთს. ამავე წლის მონაცემებით პროდუქციის თვითღირებულება გეგმის წინააღმდეგ 1,2 პროცენტით გაიზარდა, რომლის აბსოლუტური თანხა — 2684,2 ათას მანეთს აღწევდა. თვითღირებულების ზრდა გამოწვეული იყო ნედლეულის ელემენტების გადიდებით, რომელიც გეგმის წი-

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 28, ფ. 44.
[2] იქვე, საქ. 16, ფ. 34.

ნაღმდეგ იძლეოდა 0,6 პროცენტის მატებას, ანუ – 1141,41 ათას მანეთს. უნდა აღინიშნოს, რომ პურსაცხობ მრეწველობაში ნედლეულის ელემენტი გადამწყვეტი გავლენას ახდენდა თვითღირებულებაზე. ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესების შედეგად 1939 წელს პროდუქციის თვითრირებულების შემცირების გეგმა შესრულდა – 0,3 პროცენტის გადაჭარბებით.[1]

1939 წელს საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა 119,1 პროცენტი გადაჭარბებით და მიღებულ იქნა – 18110,2 ათასი მანეთი.[2]

„საქპურტრესტის" დაარსების დღიდან წარმოებული პურფუნთუშეულის მთავარი მომხმარებელი ორგანიზაციები იყვნენ „საქვაჭრობა" და ამიერკავკასიის სამხედრო ვაჭრობა. ამავე დროს, „საქპურტრესტს" გააჩნდა თბილისში და რაიონებში საკუთარი სავაჭროს ქსელი, მათი რაოდენობა 1937 წელს შეადგენდა 55 წერტს.

გარდა ამისა, ტრესტის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა აგრეთვე საცალო ვაჭრობის ქსელი, სადაც დასაქმებული იყო 33 კაცი. ამ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ რეალიზებული იქნა 23033,0 მანეთის პროდუქცია.[3]

„საქპურტრესტის" საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მომხმარებლებთან დროულად მიწოდების გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ხანგრძლივი მოცდენის ლიკვიდაციის მიზნით რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით (1938 წ. 10 მაისი) პურფუნთუშეულის მიწოდება თბილისის სავაჭრო ქსელში, მოსკოვისა და ლენინგრადის მაგალითის მიხედვით დაეკისრა „საქპურტრესტს". ამიტომ „თბილპურვაჭრობის" კუთვნილი ავტოტრანსპორტი გადაეცა ტრესტს. შეიქმნა დამოუკიდებელ ბალანსზე სატრანსპორტო-საექსპლუატაციო კანტორა, სადაც საავტომობილო ტრანსპორტის გარდა შედიოდა თბილისის №1 და №2 საჩვენებელი მაღაზია (№3 მაღაზია და ცენტრალური საწყობი გადაეცა "თბილპურვაჭრობას").[4] 1940 წლის დასაწყისში „საქპურტრესტის"

---

[1] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, ანაწ. 2, საქ. 28, ფ. 23.
[2] იქვე, საქ. 28, ფ. 56.
[3] იქვე, საქ. 18, ფ. 58, 59.
[4] იქვე, საქ. 23, ფ. 31.

სავაჭრო ქსელის გადაადგილება და რაოდენობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 12).

სავაჭრო ქსელის ტერიტორიული განლაგება ითვალისწინებდა გამომცხვარ პურზე მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას და საჭიროების სემთხვევაში ახალი წერტების რაოდენობის გადიდებასც.

ცხრილი 12

„საქპურტრესტის" სავაჭრო წერტების რაოდენობა 1940 წ. 1 იანვრის მონაცემებით[1]

№	განყოფილებათა დასახელება	მთელი ქსელი	მათ შორის		
			საჩვენ.	ფარდულები	დამტარებელ-გამანაწილებელი
1.	თბილისი	10	2	8	25
2.	ქუთაისი	2	2	–	–
3.	ბათუმი	1	1	–	–
4.	ხაშური	1	1	–	–
5.	ზესტაფონი	3	1	2	1
6.	ჭიათურა	1	1	–	–
7.	ტყიბული	4	–	4	–
8.	ახალქალაქი	3	–	3	–
9.	ფოთი	1	1	–	3
10.	ბორჯომი	1	–	1	–
11.	სოხუმი	2	–	2	–
	სულ	29	9	20	29

ამრიგად, პურსაცხობი მრეწვწლობა დაჩქარებული ტემპებით განვითარების შედეგად უმოკლეს დროში გადაიქცა საქართველოს კვების მრეწველობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს დარგად და მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით დაუახლოვდა ან გაუსწრო ისეთ მაპროფილებელ სპეციალიზირებულ დარგებს როგორიც იყო ღვინის, ჩაის და კონსერვის მრეწველობა. მისი ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციის მოცულობის მიხედვით დაახლოებით 10 პროცენტს შე-

[1] იქვე, საქ. 28, ფ. 51.

ადგენდა, ძირითადი საწარმოო ფონდებისა 5 პროცენტს, სამრეწველო-საწარმო პერსონალის – 17,1 პროცენტს. პურსაცხობმა მრეწველობამ სამრეწველო-საწარმო პერსონალის მიხედვით კვების მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო მთლიანი პროდუქციის მოცულობის მიხედვით მესამე ადგილი (ღვინისა და ჩაის მრეწველობის შემდეგ), ძირითადი საწარმო ფონდების მიხედვით მეოთხე ადგილი. აღსანიშნავია ისიც, რომ პურსეცხობ მრეწველობას საწარმოთა საერთო რიცხოვნობით კვების მრეწველობის დარგობრივ სტუქტურაში პირველი ადგილი ეკავა.[1]

საქართველოს პურსაცხობი მრეწველობის საწარმოთა რენტაბელური მუშაობა ამავე დროს ხელს უწყობდა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ყოველწლიურად მოწინავე მუშებს ურემონტებდნენ ცალკეულ ბინებს და საერთო საცხოვრებლებს.[2] მსხვილ საწარმოებში გაიხსნა კეთილმოწყობილი სასადილო და ბუფეტი, ფართოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

ამრიგად „საქპურტრესტმა" თავის არსებობს თითქმის 9 წლის მანძილზე შესძლო დასახული ამოცანის შესრულება, წვრილი კუსტარული პურსაცხობების ნაცვლად შეიქმნა პურსაცხობი წარმოების მძლავრი მატერიალუ-ტექნიკური ბაზა, მომზადდა სათანადო კვალიფიკაციური კადრები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი ხარისხობრივი სტრუქტურა. მოპოვებული იქნა დადებითი შედეგები სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. საქართველოს პურსაცხობი მრეწველობა გახდა რესპუბლიკის ერთერთი რენტაბელური დარგი. თუმცა, ამ მხრივ მნიშვნელოვნად გაუსწრო რესპუბლიკის საუწყებო ორგანიზაციებზე დაქვემდებარებულ პურსაცხობ საწარმოებს და მოიპოვა მათ შორის უპირატესობა, მაგრამ იგი მაინც ვერ უტოლდებოდა რუსეთსა და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკებში მრეწველობის ამ დარგის მიღწეულ დონეს.

მიუხედავად ამისა, პურსაცხობი მრეწველობის მიერ წარმოებული ძირითადი პროდუქცია აკმაყოფილებდა მოსახლეობის დიდი

---

[1] Н. Сантеладзе. Основные вопросы экономики и перспективного развития пищевого промышленности Грузинской ССР, II, Батуми., 1976. с. 199. Д. Цицишвили, Актуальные вопроси хлебопскарной промышленности Грузинской ССР. Диссертация на соискание учений степени кандидат экономических наук, Тб., 1971, с. 4.

[2] საქართველოს უიცსა, ფონდი 1395, საქ. 9, ფ. 31.

ნაწილის მოთხოვნილებას და გარკვეულ წილად ხელს უწყობდა სოფლად საოჯახო პირობებში პურის ცხობის შემცირებას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ პურსაცხობი მრეწველობის ჩამოყალიბების პროცესში ხშირად თავს იჩენდა მთელი რიგი ნაკლოვანება, რაც ნაშრომის სათანადო გვერდებზე გვაქვს მითითებული, მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად მიგვაჩნია საერთოდ, პურის ხარისხის და განსაკუთრებით ქართული პურის ხარისხის გაუარესება. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო ერთი მხრივ, პურის ცხობის მანქანური წარმოებით, რომელიც ემყარებოდა იმ დროის არასრულყოფილ მექანიზაციას და მეორე მხრივ, კერძო წვრილ პურსაცხობ სავაჭრო-საწარმოთა (მეცნიერთა) ლიკვიდაციით, რომლებიც კონკურენციის პირობებში ადგილობრივი წარმოების ხორბლის ფქვილისაგან მაღალი ხარისხისა და მრავალი ასორტიმენტის პურს აცხობსნენ. კერძო მეპურეთა პროდუქციის შეწყვეტის შედეგად, გლეხობამ დაკარგა ასეთი მაღალი ხარისხის და თვისებების ხორბლის მოყვანისა და წარმოების ტრადიცია და მათი აღდგენა დღემდე შეუძლებელი გახდა.

როგორც განვლილი წლების ანალიზი გვიჩვენებს საქართველოს პურსაცხობი მრეწველობა კიდევ უფრო ჩქარი ტემპით განვითარდებოდა, რომ არ დაწყებულიყო მეორე მსოფლიო ომი.

Annotation

This work is written on the basis of a lot of scientific research of historical and economical materials and archive fund. Georgia is an ancient agricultural country and its inhabitants are the first who started to use wheat as a food product and learned to bake bread. Since ther the production of breadbaking has passed such stages of development as it had been in civilized countries of the East and West.

The industry of breadbaking in feudal Georgia such as (family production, shop corporation and handicraft industry) has been studied.

Analized the reasons why small handicraft bakeries didn't turn into such capitalist industries.

In connection with the foundation of "Sakpurtrest" (1931) widens the base of industry of breadbaking. It turns into a large combined branch in the structure of Industry.

The production of breadbaking industry is presented in dynamics and analysed principal economical indices.

It also indicates the place of breadbaking industry in the economy of Georgia.

Аннотация

Работа написана на основании многочисленных историко-экономических исследований и материалов выявленных в архивных фондах. Грузия древнейшая земледельческая страна и население одоним из первых применило пшеницу как продукта питания и научился печь хлеб. С тех пор хлебопекарное производство прошло такие этапы, как это было в цивилизированных странах древнего Востока и Запада.

Изучено хлебопекарное производство в феодальной Грузии (домашняя промышленность, амкарская корпорация и кустарная промышленность).

Проанализированы причины почему существующие мелкокустарные хлебопекарные не стали крупными капиталистическими производствами.

В связи созданием "Сакпуртреста" (1931 г.), расширяется база хлебопекарной промышленности, она преобразовалась в крупную комбинированную отрасль в структуре пищевой промышленности Грузии.

Показана динамика продукции хлебопекарной промышленности и проанализированы другие основные экономические показатели.

Указана роль и место хлебопеканой промышленности в экономике Грузии.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადვაძე ვ. საქართველოს მრეწველობის ზრდის ტემპები და სტრუქტურა ომისშემდგომ პერიოდში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. თბილისი, 1970
2. ადვაძე ვ. საქართველოს ეკონომიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში. „საბჭოთ საქართველო". თბილისი, 1968
3. ადვაძე ვ. მიქელაძე ი. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა. „საბჭოთ საქართველო". თბილისი, 1977
4. ადეიშვილი გ. წრამოების ინტენსიფიკაცია და სპეციალიზაცია კადრების მომზადების საკითხებში. „საბჭოთ საქართველო". თბილისი, 1988
5. ადეიშვილი გ. შრომის რესურსების კვლავწარმოების პრობლემები. „საბჭოთ საქართველო". თბილისი, 1971
6. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ი. ანთელავამ. თბილისი, 1991
7. ახალაია ვ. საქართველოს სსრ ელექტროფიკაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1984
8. ბაგრატიონი იოვანე (ბატონიშვილი) კალმასობა. საბჭოთა მწერლობა, ტომი მერვე, თბილისი, 1991
9. ბარათაშვილი იესე, ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონით და საძიებლით ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1959
10. ბედუკიძე ს. წყლის მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბილისი, 1960
11. გიორგობიანი ო. კვების მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია. „მნათე", თბილისი, 1993
12. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართულად თარგმნითურთ ქართულად გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ვ. გელაშვილმა ტ. I, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1962

13. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. მესამე. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959, ტ. მეოთხე, „მენიერება“, თბილისი, 1965, ტომი მეხუთე. „მეცნიერება“, თბილისი, 1962
14. დათუკიშვილი ვ. ნარკვევები საქართველოს მანქანათმშენებელი მრეწველობის განვითარების ისტორიიდან. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984
15. დიასამიძე დ. სასურსათო პროგრამისა და აგროსამრეწველო კომპოექსის ფორმირება და განვითარება. „მეცნიერება“, თბილისი, 1988
16. ზარზმელი ბასილი. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. ქართული მწეროლობა, ტომი პირველი, თბილისი, „ნაკადული“, 1987
17. თბილისის ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989
18. თეთრაული ა. გაფართოებული კვლავწარმოების ტემპები და მისი ინტენსიფიკაცია საქართველოს სსრ რესპუბლიკაში. „მეცნიერება“, თბილისი, 1987
19. თეთრაული ა. გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემები საბჭოთა საქართველოში, „მეცნიერება“, თბილისი, 1978
20. იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას რედაქციით. „ფედერაცია“, თბილისი, 1936
21. კლიმიაშვილი ა. მიწა დაიძრა მთებიდან. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968
22. კ. კოხისა და სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. „მეცნიერება“, თბილისი, 1968
23. კოსვენი მ. პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1971
24. კოჭლავაშვილი ა. მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში, „მეცნიერება“, თბილისი, 1966
25. კუცია კ. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში. „მეცნიერება“, თბილისი, 1984

26. მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976
27. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი III, ნაწ. 2. „მეცნიერება“, თბილისი, 1976
28. XV საუკუნის იტალიელი მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. „მეცნიერება“, თბილისი, 1985
29. მელქაძე ვ. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის რეგიონლური სტრუქტურა. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1978
30. მშვილდაძე გ. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973
31. ნებიერიძე დ. დასავლეთ ამერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრინდელი საფეხურები. „მეცნიერება“, თბილისი, 1986
32. საქართველოს არქეოლოგია, რედაქტორი ა. აფაქიძე, თბილისი, 1959
33. საქართველოს ისტორია. სემდგენელ-რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი, „მეცნიერება“, თბილისი, 1980
34. საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 90-იან წლებიდან დღემდე, რედაქტორი ი. კაჭარავა, „განათლება“, თბილისი, 1984
35. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. „მეცნიერება“, ტომი მეორე, თბილისი, 1973, ტომი მეოთხე, თბილისი, 1973, ტომი მეშვიდე, თბილისი, 1976
36. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, „მეცნიერება“, თბილისი, 1967
37. სოსელია ზ. წარმოების ეფექტიანობა საქართველოს კვების მრეწველობაში. „მეცნიერება“, თბილისი, 1985
38. სურგულაძე ა., სურგულაძე პ. საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991
39. ფრუიძე ლ. რაჭა ეთნოგრაფის თვალით. „მეცნიერება“, თბილისი, 1988

40. ქართლის ცხოვრება ტომი მეოთხე, აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „მეცნიერება“, თბილისი, 1973
41. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი მეორე, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. „მეცნიერება“, თბილისი, 1965
42. ყუფუნია გ. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის აქტუალური საკითხები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974
43. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. „მეცნიერება“, თბილისი, 1975
44. ჩანტლაძე ვ. ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.) თბილსი სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975
45. ჩიქავა ლ. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965
46. ჩუბინიშვილი ნ. ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961
47. ძნელაძე დ. კვების მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967
48. ჭანტურიშვილი ს. ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984
49. ხასია ბ. სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში. ტომი პირველი. „მეცნიერება“, თბილისი, 1962, ტომი მეორე, „მეცნიერება“, თბილისი, 1968
50. ხოშტარია ე. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში. „მეცნიერება“, თბილისი, 1966
51. ხუცესი იაკობი. შუშანიკის წამება. ქართული მწერლობა, ტომი პირველი, თბილისი, 1987
52. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნაწილი პირველი, გამოცემა მე-2, თბილისი, 1930
53. ჯალაბაძე ც. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. „მეცნიერება“, თბილისი, 1987

54. ჯაოშვილი ვ. ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. „მეცნიერება“, თბილისი, 1987
55. Ваолейко .В. П. и Цицишвили Д. Ш. Хлебопекарная промышленность Грузинской ССР. "Сабчота Сакартвело", Тбилиси, 1972
56. Борикин К. К. Хлеб, который мы еддим. Политиздат, Москва, 1982
57. Воробьев Ю. Ф. В книге История социалистической экономики СССР, Том третий. "Наука", Москва, 1977б Том - четвертый, "Наука", Москва, 1978
58. Гришин А. С. Хлеб и булочная изделия в СССР и за рубежом, Москва, 1967
59. Гулишамбаров С. Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1888
60. Гуния А. Л. Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР. Издательство Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, 1961
61. Гуния А. Л. вопросу о темпах и пропорциях воспроизводства в экономикс Грузии. "Мецниереба", Тбилиси, 1969
62. Ильязова Э. И. Хлеб Азербайджана, Баку, 1985
63. Казаков Е. Д. От зерна к хлебу, Москва, 1975
64. Караулов Н. Сведения арабских географов IX-X веков. СМОМПК, 38
65. Кармазин В. Наш хлеб, "Правда", Москва, 1986
66. Опацкий Л. В. Размещение пищевой промышленности СССР, Госполитиздат, Москва, 1958
67.
68. Первый Закавказский съезд Советов, стенографическая том I, Тбилиси, 1933
69. Пищевая промышленность Грузинской ССР за 40 лет. Под ... редакцией Г. Джомарджидзе. "Политиздат", Москва, 1961
70. Послемнова А. В книге История социалистической экономики СССР, Том третий, "Наука", Москва, 1979, том четвертый, "наука", Москва, 1978
71. Экономика пищевой промышленности СССР. Под редакцией проф. Виноградова Н. В. "Пищевая промышленность", Москва, 1968

72. Фальковский Н. И. Москва, в истории техники. "Московский рабочий", Москва, 1950
73. Цагарели А., Грамоты, том первый, СИБ, 1902
74. Цицишвили Д. И. Диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук, Тбилиси, 1971

სტატიები

75. ანთელავა ი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. „საისტორიო მოამბე“, თბილისი, 1950, №5
76. ბრეგვაძე გ. პურის ცხობის წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, თბილისი, 1990, №1
77. ბრეგვაძე გ. საქართველოს პურსაცხობი მრეწველობა დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1956 წწ.), „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, თბილისი, 1985, №4
78. ბრეგვაძე გ. საქართველოს ფქვილსაფქვავი მრეწველობის განვითარების ისტორიიდან, „მეცნიერება და ტექნიკა“, თბილისი, 1989, №5
79. ბრეგვაძე გ. საქართველოს ფქვილსაფქვავი წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში, „მაცნე“ ეკონომიკისა და სამართლის სერია, თბილისი, 1989, №1
80. ვაშაკიძე ა. მუშათა კლასი თბილისის გუბერნიაში პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914-1917 წწ.). „საისტორიო მოამბე“, თბილისი, 1975
81. მესხია შ. ქართული ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი 3, თბილისი, 1949
82. ნასყიდაშვილი პ. „პურის ქვეყანა“, გაზ. „კომუნისტი“, 1984, 7 ივნისი.
83. ნატროშვილი თ. „ინგლისური მხატვრის თვალით“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, 30 იანვარი.
84. ჩანტლაძე ვ. საქალაქო ფინანსები აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტომი 3, თბილისი, 1949

85. ჩიქავა დ. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა. „საქართველოს ეკონომისტი“, თბილისი, 1985, №11
86. გაზ. „ერთობა“, თბილისი, 1920 წ., №237
გაზ. „თემი“, თბილისი, 1903 წ. 27 ივლისი
87. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, თბილისი, 1930
88. ჟურ. „საისტორიო მოამბე“, თბილისი, 1950 წ., №9.
გაზ. „ცნობის ფურცელი“, თბილისი, 1993 წ. 23 სექტემბერი.
89. გაზ. „ცნობის ფურცელი“, თბილისი, 1998 წ. №334
90. газ. "Борьба", Тбилиси, 1918, №183
91. газ. "Заря Востока", Тбилиси, 1923 г. 26 января
92. газ. "Правда Грузии", Тбилиси, 1921 г. 12 октября

სტატისტიკური კრებულები

93. საბჭოთა საქართველოს 10 წელი 1921-1931, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1931
94. საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატისტიკური კრებული, „სტატისტიკა“, თბილისი, 1971
95. Народное хозяство Грузинской ССР в 1985 году, Статистический ежегодник, Сабчота Сакартвело, Тбилиси, 1986
96. Советская Грузия к 50-летию Великой октябрьской социалистической революции. "Статистика", Тбилиси, 1967
97. Сборник статистических сведений по Закавказскому краю, том первый, Тифлис, 1902
98. Советская Грузия за 40 летию Великой октябрьской социалистической революции. "Статистика", Тбилиси, 1967

გამოქვეყნებული საარქივო მასალები და დოკუმენტები

История индустриализации Грузинской ССР (1926-1941 гг.), "Мецниереба", Тбилиси, 1968
Революционные комитеты Грузии в борьбе за гстановление и гкрепление Советской власти (февраль за 1921-март 1922),

Сборник документов и материалов, составитель И. Ахалая, I, Тбилиси, 1963

გამოუქვეყნებელი მასალები და დოკუმენტები საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (შემოკლებით-საქართველოს ცსია)

ფონდი 1923, ანაწ. 1, საქ. 126, ფ. 293, საქ. 1013, ფ. 12, საქ. 71, ფ. 4

ფონდი 17, ანაწ. 2, საქ. 8305, ფ. 152, საქ. 643, ფ. 29, საქ. 9328, ფ. 2-6

ფონდი 108, საქ. 4380, ფ. 250

ფონდი 414, ანაწ. 1, საქ. 13, ფ. 113

ფონდი 351, ანაწ. 1, საქ. 192, ფ. 61, 62, 13

ფონდი 1864, ანაწ. 1, საქ. 19, ფ. 10, 11

ფონდი 1923, ანაწ. 1, საქ.126, ფ.293, საქ.1013, ფ.12, საქ.71, ფ.4

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით – საქართველოს უიცსა)

ფონდი 281, საქ. 223, ფ. 42, 43, 217-222, საქ. 114, ფ. 7

ფონდი 617, ანაწ. 1, საქ. 3, ფ. 17, საქ. 46, ფ. 78-83, საქ: 38, ფ. 29, საქ. 67, ფ. 2, საქ. 483, ფ. 19, 21-23, საქ. 461. ფ. 117-120

ფონდი 632, ანაწ. 1, საქ. 35, ფ. 47, საქ. 52, ფ. 5, საქ. 354, ფ. 12, საქ. 357, ფ. 26

ფონდი 600, ანაწ. 1, საქ. 296, ფ. 3, საქ. 356, ფ. 1, საქ. 357, ფ. 4, 11, 16, 26, 55, საქ. 355, ფ. 16, საქ. 607, ფ. 150, საქ. 11 74 ფ. 11

ფონდი 819, ანაწ. 1, საქ. 481, ფ. 4

ფონდი 700, ანაწ. 1, საქ. 2636, ფ. 104

ფონდი 1395, საქ. 9, ფ. 2, 3, 30, 31, 36, 99, საქ. 5, ფ. 1, 3, საქ. 2, ფ. 24, საქ. 16, ფ. 15, 16, 17, 18, 20, 21, 34, 36, 37, 38, საქ. 287, ფ. 3, 4, 7, 9, 23, 44, 45, 51, 56, 112, საქ. 15, ფ. 16, 17, საქ. 18, ფ. 23, 36, 48, 58, 59, საქ. 23, ფ. 4, 31, 33, 35, 56, 58, 59, საქ. 35, ფ. 32, საქ. 3, ფ. 34, საქ. 4, ფ. 3

შინაარსი

თავი პირველი. პურსაცხობი მრეწველობა საბჭოთამდელ საქართველოში---------- 5

თავი მეორე. პურსაცხობი მრეწველობა საბჭოურ ხელისუფლების პირველ წლებში ---------- 49

თავი მესამე. პურსაცხობი მრეწველობის განვითარება ომამდელ ხუთწლედში (1928-1940 წწ.) ---------- 75

ა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირული გარდაქმნები. „საქპურტრესტის" შექმნა და მისი ამოცანები ---------- 75

ბ. პურსაცხობი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ---------- 85

გ. წარმოებრივი პერსონალი ---------- 97

დ. შრომის ნაყოფიერების ზრდს ახალი ფორმების დანერგვა და მისი შედეგები ---------- 101

ე. პროდუქციის წარმოების ზრდის დინამიკა, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ასაორტიმენტის სტრუქტურული ცვლილება, წარმოების რენტაბელობა და პროდუქციის რეალიზაცია ---------- 110

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 123